




მთავარი თემა:

# საქართველო 2011 წელს





[www.ucnobifm.ge](http://www.ucnobifm.ge)

მთავარი რედაქტორი

შორენა შავერდაშვილი

რედაქტორები

სოფო ბუკია

მაგდა მემანიშვილი

შურნაღისტური ბამოქიება

ნინო ზურიაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი

ნანა საჯავია

შურნაღისტები:

მაია წიკლაური, ეკა ჭითანავა, თამარ

ფარადაშვილი, ცირა გვასალია,

მალხაზ ჭკადუა, ზურა ვარდიაშვილი,

ანიტა თვაური, ანი ქანკოტაძე,

ლიკა ზაკაშვილი, თათია ხალიანი,

სალომე ცეცხლაძე, თინა ყიფშიძე

კონტრიბუტორები:

გიორგი ცხადაია, მარკ მალენი, გიორგი

მგელაძე, ინალ ხაშიგი, მარია ბესტაევა,

კახა თოლორდავა, ვასო კუჭუხიძე, ნანა

ბიგანიშვილი, მზია საგანელიძე

რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი

ლევან ზერხუელიძე

გრაფიკული დიზაინი

თორნიკე ლორთქიფანიძე

რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია

კორექტორი თამარ ლონღაძე

ბამოქიება:

დირექტორი

ქეთევან ბაბუნაშვილი

ბაჟიფავისა და ბიზნისის

ბანკითარების მენეჯერი

რუსუდან ბარათაშვილი

კლიენტთა მომსახურების და

დისტრიბუციის მენეჯერი

ნათია რუსაძე

ბაჟიფავის მენეჯერები:

ლევან ჯაბუა, სოფო პაპუნაშვილი,

ქეთევან ქავთარაძე, ქეთევან

მეგრელიძე, ელენე ხარაზაშვილი,

მარიამ მიქელაშვილი, ზურაბ

ზანდარაშვილი, თინა ოსეფაშვილი

დისტრიბუტორი:

მიხეილ გედენიძე

ჟურნალის გამოწერის მსურველები

დაგვიკავშირით: 2471005.


საზოგადოება



ფოტო: ლევან წიხრაძე


ბუღიაშვილის მოქაღვი

დიდი ისტორიის და არქიტექტურული მნიშვნელობის მიუხედავად, გუდიაშვილის მოედნის მომავალი უცნობია. „ყველა ჩემს მეგობარს, რომელსაც ჰგონია, რომ თბილისის სიყვარულზე ექსკლუზივი გააჩნია, მოვახსენებ – გუდიაშვილის მოედნის რეკონსტრუქციის არანაირი განხილული და დამტკიცებული პროექტი არ არსებობს. გუდიაშვილს არავინ არ ანგრევს.“ ეს სტატუსი სოციალურ ქსელ Facebook-ზე საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ გოკა გაბაშვილმა 20 დეკემბერს მას მერე დადო, რაც ქსელში გუდიაშვილის მოედნის რეკონსტრუქციის პროექტის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა.

 ნინო რობაქიძე 33.56

სამოქალაქო საზოგადოების მითი

დროა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებიდან აქცენტი პროგრესული პოლიტიკური მოძრაობების განვითარებაზე გადავიტანოთ. სამოქალაქო საზოგადოება კი მხოლოდ დამოუკიდებელი მედიისა და კვლევითი ცენტრების ნაკრებად მოვიაზროთ. შევეცდები, დავადგინო, სად გადის ზღვარი სამოქალაქო საზოგადოებას, პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და რელიგიურ ინსტიტუტებს შორის. ბოლოს კი იმაზე ვისაუბრებ, თუ რა არის საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების სისუსტის მიზეზი და რა შეიძლება იყოს სიტუაციიდან გამოსავალი.

 გიორგი ცხადაიას თვალსაზრისი 33.10



ფოტო თემო ბარჩხვაძე/ეპი

## "საქათვის ფოსტა" - ბუნებრივი ბიზნესად სახელმწიფო სექტორისგან

2011 წლის საპრივატიზაციო გეგმა 40-მილიონიანი გადაჭარბებით შესრულდა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ წელს 1 267 ობიექტი გაყიდა. დაგეგმილი 150 მილიონი ლარის მაგივრად სახელმწიფო ბიუჯეტში 190 მილიონ ლარზე მეტი თანხა შევიდა. თუმცა, „საქართველოს ფოსტა“, კომპანია, რომელიც, გეგმის მიხედვით, წლის ერთ-ერთი მთავარი საპრივატიზაციო ობიექტი უნდა ყოფილიყო, ისევ გასაყიდა.

მანანა ვარდიაშვილი  
83.52

## ფასადების ფაქიში

გუდიაშვილის სკვერის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ახლახან მცირე დაპირისპირება იყო. ვინც არ იცით, გეტყვით, რომ ეს თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ძველი მოედანია და მის ირგვლივ ძველი შენობების ახლით ჩანაცვლების გეგმა მალევე მოედო ქალაქს.

მარკ მალენის თვალსაზრისი  
83.12

## საქართველოში, ივანიშვილის ბუნება "ნაციონალური მოძრაობა" სახელმწიფო სექტორის ხანძარი

მართლაც, საქართველოში ორი პოლიტიკური პოლუსი ჩამოყალიბდა – პირველი სააკაშვილის, მეორე კი ივანიშვილის გარშემო. ჯერ ადრეა იმაზე საუბარი, თუ რამდენად ძლიერი იქნება ივანიშვილის ეფექტი. ბუნებრივია, მას აქვს ის, რის ნაკლებობასაც ოპოზიცია ამდენი ხნის განმავლობაში განიცდიდა – დიდი ავტორიტეტი



ფოტო ივანიშვილი/ნოტი

და ფინანსები. თუმცა ივანიშვილის არაერთი ამოცანა აქვს გადასაჭრელი, ახალბედა პოლიტიკაში – მისი გუნდიც და პროგრამაც მხოლოდ ახლა ყალიბდება.


ხელისუფლებას კი ძლიერი იარაღი აქვს „იმედისა“ და „რუსთავი 2“-ის, ასევე რეგიონებში ძლიერი ადმინისტრაციული მხარდაჭერის სახით. ასე რომ, წარმოუდგენელია, ივანიშვილის გუნდმა „ნაციონალური მოძრაობა“ სახელისუფლებო პარტიის რანგში შეცვალოს.

მალბაზ ჭკადუას ინტერვიუ  
ტომას დე ვაალთან  
83.14

## გვხსოვს აფხაზეთი?

ეს მასალა ფოკუსირებულია აფხაზეთზე; სამხრეთ ოსეთის თემას აქ, პრაქტიკულად, არ შეეხება. ეს იმიტომ, რომ ვითარება, ერთი მხრივ, აფხაზეთისა და მეორე მხრივ, სამხრეთ ოსეთის გარშემო ყოველთვის განსხვავებული იყო და დღესაც ასეთად რჩება, მიუხედავად ფორმალური მსგავსებისა: ორივე სეცესიური ტერიტორია ხომ თითქოს ერთი მიმართულებით მოძრაობს (შორდება საქართველოს).

აფხაზეთა და ოსთა მისწრაფებები განსხვავებულია ისევე, როგორც მათი რესურსები და რუსეთის გავლენა მათ ელიტებზე და საზოგადოებრივ დისკურსზე.


 ივლიანე ხაინდრავას თვალსაზრისი 83.3

### ფოტოჩაპოხტაუი

## "ქიხისტა იშვა ბეთილსა"



ფოტო მალბაზ ჭკადუას

 მალბაზ ჭკადუას ფოტორეპორტაჟი 83.60-65

### ბამოცხველი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ულენიტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge

### სხვა ბამოცხველი:

„ცხელი შოკოლადი“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

### ბაჟი:

სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02. გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ხუთშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

### ნომერი:

- 04 მოკლედ
- 06 რიცხვები, ციტატები  
**ორი აზრი**
- 08 რით დაგამახსოვრდათ 2011 წელი?  
**კომენტარი**
- 10 სამოქალაქო საზოგადოების მითი  
გიორგი ცხადაია
- 12 ფასადების ფეტიში  
მარკ მალენი  
**ინტერვიუ**
- 14 წარმოუდგენელია, ივანიშვილის  
გუნდმა „ნაციონალური მოძრაობა“  
სახელისუფლებო პარტიის რანგში  
შეცვალოს  
ტომას დე ვაალი  
**კონფლიქტები**
- 18 გვხსოვს აფხაზეთი?  
ივლიანე ხაინდრავა  
**აფხაზეთი**
- 22 კონტრაბანდული კავშირები  
**მსოფლიო 2011**
- 24 მსოფლიო 2011 წელს  
**მთავარი თემა**
- 29 საქართველო 2011 წელს  
**ეკონომიკა**
- 52 „საქართველოს ფოსტა“ –  
გზა მომგებიან ბიზნესად  
ტრანსფორმაციისკენ  
**საზოგადოება**
- 56 გუდიაშვილის მოედანი  
**ფოტორეპორტაჟი**
- 60 „ქრისტე იშვა ბეთლემსა“  
**ლიბერალის ვებგვერდიდან**
- 67 რას უყურებდნენ Youtube-ზე  
2011 წელს  
**ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები**
- 68 რამე ხომ არ შეგვეკეთებინა?



ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

*The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.*

## საპროტესტო მუხტი მოსკოვში



24 დეკემბერს მოსკოვში დემონსტრაციაზე ათიათასობით ადამიანი შეიკრიბა. მათ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შედეგები გააპროტესტეს. აქციის ორგანიზატორების ცნობით, აქციაზე 100 ათასზე მეტი ადამიანი მივიდა. პოლიციის ინფორმაციით კი, მათი რიცხვი მხოლოდ 28 ათასი იყო.

აქციის მონაწილეებს მიმართეს ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა ბორის ნემცოვმა და მწერალმა ბორის აკუნინმა, ასევე ბლოგერმა ალექსეი ნავალნიმ. დემონსტრაციაზე სიტყვით გამოვიდა რუსეთის ყოფილი ფინანსთა მინისტრი ალექსეი კუდრინი. მისი თქმით, რუსეთმა ახალი არჩევნები უნდა ჩაატაროს, რისთვისაც ახალი საარჩევნო კანონები უნდა მომზადდეს, ასევე სამსახურიდან უნდა გათავისუფლდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვლადიმირ ჩუროვი და მის ადგილზე ისეთი პირი უნდა დაინიშნოს, რომელსაც ხალხი ენდობა. კუდრინმა გამოსვლისას მთავრობას აქციის მონაწილეებთან დიალოგის გამართვისკენ მოუწოდა.

„4 მარტის არჩევნები ახალი პირობებით უნდა გაიმართოს. მთავრობამ ეს გადაწყვეტილებები ამ დრომდე უნდა მიიღოს. აუცილებელია დიალოგისათვის პლატფორმის ორგანიზება. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქნება რევოლუცია და დაკარგავთ შანსს მშვიდობიანად შევცვალოთ სიტუაცია“, – აღნიშნა კუდრინმა.

4 დეკემბერს ჩატარებული სათათბიროს არჩევნების შედეგები რუსეთის

სხვა ქალაქებშიც გააპროტესტეს. დემონსტრანტები არჩევნების შედეგების გაუქმებას და ხელახალ კენჭისყრას მოითხოვენ. აქციის მონაწილეები ფიქრობენ, რომ მმართველმა პარტიამ არჩევნებში გამარჯვებას გაყალბების შედეგად მიაღწია.

აქციების საპასუხოდ რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა სახელმწიფო დუმაში შეიტანა კანონპროექტი, რომელიც არჩევნების ლიბერალიზაციას ისახავს მიზნად. კანონპროექტის მიხედვით, არჩევნებში მონაწილეობისათვის პარტიების რეგისტრაციისა და ხელმოწერების შეგროვება გამარტივდება. ეს კანონპროექტი შესაძლოა 2012 წლის თებერვალში მიიღონ. საპროტესტო მუხტის მიუხედავად, რუსეთის დუმაში ახლად არჩეული სათათბიროს პირველი სხდომა ჩატარდა და საკანონმდებლო ორგანომ მუშაობა ჩვეულ რეჟიმში დაიწყო. სახელმწიფო დუმის სპიკერის სერგეი ნარიშკინის თქმით, პარლამენტში ყველაზე აქტიუალური საკითხი პოლიტიკური სისტემის რეფორმებია.

## თუჩათმა საფრანგეთთან ახითუათობა ბანყვიტა



22 დეკემბერს თურქეთმა საფრანგეთთან პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთობის განყვეტის გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც საფრანგეთის ქვედა პალატამ სომეხთა გენოციდის საკითხზე კანონპროექტი დაამტკიცა. ამ კანონპროექტის მიხედვით, საფრანგეთში დანაშაულად გამოცხადდა იმის უარყოფა, რომ

1915 წელს ოსმალეთის იმპერიაში სომეხთა გენოციდი მოხდა. ამ კანონპროექტს გამოეხმაურა თურქეთის პრემიერ-მინისტრი. რეჟუმ ტაიპ ერდოღანმა განაცხადა, რომ თურქეთი წყვეტს პოლიტიკურ და სამხედრო კავშირს. 23 დეკემბერს თურქეთის ელჩმა საფრანგეთი დატოვა.


ერდოღანს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალან ჟუპემ უპასუხა. მან პრემიერ-მინისტრს მკვეთრი რეაქციებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა.

„ეს იყო საპარლამენტო ინიციატივა, რომელსაც ანგარიშს ვუწვევთ და იმედი მაქვს, რომ ჩვენი თურქი მეგობრები ზედმეტად მკვეთრ რეაქციას არ იქონიებენ ამ გადაწყვეტილებაზე“, – განაცხადა ალან ჟუპემ.

სომეხები აცხადებენ, რომ ოსმალეთში 1915 წელს გენოციდი მოხდა და მაშინ მილიონნახევარი ადამიანი გაჟლიტეს. თურქეთი გენოციდს არ აღიარებს, თუმცა აცხადებს, რომ მსხვერპლი ორივე მხარეს დიდი იყო. საფრანგეთი 1915 წლის მოვლენებს გენოციდად 2001 წლიდან აღიარებს. თურქული მხარის გაღიზიანება კანონპროექტის მიღებამ გამოიწვია. საფრანგეთის ქვედა პალატაში დამტკიცებული კანონპროექტი საბოლოოდ ზედა პალატამ, სენატმა უნდა განიხილოს.

## ბლოკი ჩხეთში

ჩხეთის ყოფილი პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი 23 დეკემბერს დაკრძალეს. მისთვის პატივის მისაგებად პრალაში მსოფლიოს ქვეყნების ლიდერები და ოფიციალური წარმომადგენლები ჩავიდნენ. სტუმრებს შორის იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი, მეუღლესთან ჰილარი კლინტონთან ერთად, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი, გერმანიის პრეზიდენტი კრისტიან ვულფი, საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი, პო-



ლონეთის ყოფილი პრეზიდენტი ლეხ ვალესა, ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ჩეხეთში დაბადებული მადლენ ოლბრაიტი. ცერემონიას ესწრებოდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც.

ვაცლავ შაველი ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ 1989 წელს გახდა. ამ რევოლუციაში მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, რასაც სახელმწიფო სისტემის შეცვლა მოჰყვა.

ის ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად 1993 წელს აირჩიეს, როდესაც ქვეყანა ორ ნაწილად: ჩეხურ და სლოვაკურ ნაწილებად გაიყო. შაველი ჩეხეთის პრეზიდენტის თანამდებობაზე 2003 წლამდე დარჩა. მისი ცხედარი პრატის, სტრაშნიცის კრემატორიუმში გადაასვენეს. მისი ფერფლი ოჯახის აკლდამაში მოათავსეს. შაველის დაკრძალვამდე ჩეხეთში 3-დღიანი გლოვა გამოცხადდა. ვაცლავ შაველი 17 დეკემბერს 75 წლის ასაკში გარდაიცვალა.

**მოლოვას ენახისსპიხათის ხსანი ჰიხონიენსი**

მოლოვას სეპარატისტულ დნესტრისპირეთში საპრეზიდენტო

არჩევნების მეორე ტურში პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა ევგენი შევჩუკმა გაიმარჯვა. მან პარლამენტის ახლანდელი სპიკერი ანატოლი კამინსკი დაამარცხა. კამინსკის მოსკოვში უჭერდნენ მხარს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ პიოტრ დენისენკომ შევჩუკის გამარჯვება ოფიციალურად დაადასტურა. მისი ინფორმაციით, შევჩუკმა ამომრჩეველთა ხმების დიდი ნაწილი – 73,88 პროცენტი მიიღო. კიდევ ერთმა კანდიდატმა ანატოლი კაჩინსკიმ კი – 19,67 პროცენტი. ევგენი შევჩუკი 43 წლისაა. ის დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობის დათმობას არ აპირებს, თუმცა მოლდოვასთან კავშირების განმტკიცებასა და დნესტრისპირეთის 500 ათასი მცხოვრებისათვის გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფას გეგმავს.

**ბაიხოს ბიჯატი მსიხება**

ბოლო 50 წლის განმავლობაში მეორედ გაეროს ბიუჯეტი შემცირდება. 24 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 193 წევრი ქვეყანა ორგანიზაციის ბიუჯეტის შეკვეცა-

ზე შეთანხმდა. გაეროს ბიუჯეტი 5 პროცენტით მცირდება. 2012-2013 წლებში გაერთიანებული ერების ბიუჯეტი 5, 15 მილიარდი დოლარი იქნება. გასული წლის ბიუჯეტი კი 5,41 მილიარდი დოლარი იყო. გაეროს ბიუჯეტის შეკვეცის ინიციატორი ვალების მქონე ევროპული ქვეყნები და ამერიკის შეერთებული შტატები იყო, რომელიც ამ მსოფლიო ორგანიზაციის ბიუჯეტის 20 პროცენტზე მეტს იხდის. წევრი ქვეყნების შეთანხმებას მიესალმა გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი. მისი თქმით, ეკონომიკური პრობლემების გამო მოლაპარაკებების პროცესი საკმაოდ რთული იყო. განვითარების პროცესში მყოფი სახელმწიფოები თავდაპირველად შემცირებას არ ემხრობოდნენ.



**749** ჯარისკაცს გაგზავნის საქართველო ავღანეთში და გახდება „ნატოს“ არანეერი სახელმწიფო, რომელსაც ავღანეთში ყველაზე მეტი სამხედრო ჰყავს.

**10** მილიონი დოლარი დაანესა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „ალ ქაიდას“ დამფინანსებლის ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმირებისთვის.

**63** მსჯავრდებულს პატიმართა შეწყალების კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე საახალწლოდ გაათავისუფლებენ.

**1500**-მდე ადამიანი იმსხვერპლა ფილიპინებზე მომხდარმა წყალდიდობამ.

**2 800 000**-მდე ვიზიტორი შემოვიდა საქართველოში 2011 წელს.

**3000**-მდე პატიმრის გათავისუფლებას გეგმავენ კუბაში ჰუმანიტარული მოსაზრებებით.

**66** ჟურნალისტი დაიღუპა მსოფლიოს 28 ქვეყანაში 2011 წელს.

**5 557** ქურდობის შემთხვევა დაფიქსირდა საქართველოში 2011 წლის პირველ ნოემბერში.

**20 000**-მდე დევნილი საქართველოში, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ინფორმაციით, ალტერნატიული ფართითაა დაკმაყოფილებული.

„საქართველომ უნდა მოინანიოს, რასაც პერმანენტულად აკეთებდა სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. უნდა მოინანიოს – გამსახურდიას, სააკაშვილის გამო“.

ალა ჯიოევა, დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტობის კანდიდატი



„ჩვენ არ ვჩერდებით, ვვითარდებით, ვხდებით უფრო თანამედროვე, უფრო ევროპული, უფრო ციფრული“.

ვანო მერაბიშვილი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი



„როგორც არ უნდა შეიკრან წარსულის და ბნელეთის ძალები, როგორც არ უნდა მიგვათრევდნენ უკან, საბჭოთა კავშირში, ამ ჩაბნელებულ ეპოქაში, მართლა ჩამორეულ, გახრწნილ შევარდნაძისდროინდელ მთავრობაში, უმუქობაში, უგზოობაში,

უპერსპექტივობაში, ერთი და იგივე ხალხის მიერ მუდმივად ქვეყნის ძარცვაში, ქართველი ხალხი არის არა იქ, სადაც ისინი იკრიბებიან. ქართველი ხალხი არის ის, ვინც აქამდე მოიტანა ეს ქვეყანა, არ დაანგრევინა და ბოლომდე არ მოასპობინა ჩვენი იმედი, არ მოაშლევინა მათ ჩვენი ოცნება“.

მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი




„რუსეთის ხელისუფლება არ მისცემს საშუალებას პროვოკატორებსა და ექსტრემისტებს, მოქალაქეები ჩაითრიონ ავანტიურაში და არ დაუშვებს გარეშე ძალის ჩარევას... რუსეთს სჭირდება დემოკრატია და არა ქაოსი“.

დიმიტრი მედვედევი, რუსეთის პრეზიდენტი



„არის ასეთი ზღაპარი, სადაც წერია, რომ როცა პინოჩიო ცრუობდა, მას ცხვირი ეზრდებოდა. ახლა კი საფრანგეთში, როცა რეალობა მახინჯდება, ზოგიერთებს ქუსლები ეზრდებათ ფეხსაცმელებზე“.

ეგემენ ბაგიში, თურქეთის მინისტრი ევროკავშირის საკითხებში, ის საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზიზე საუბრობდა.





versatile know-how

highly certified

low hierarchies

advisor

we implement individual scalable solutions

**Our aim is to increase visual communication.**

interdisciplinary

customer proximity

economic solid

direct reference persons

**We live with our hearts and heads visual communication.**

specialized manpower

we reclaim new technologies

**And we are good in what we do.**

experienced process quality

vendor neutral

international

we help you to create value

we integrate advantages in solutions

flexibility

creative ideas

transparent



## ჩიტი დაბამასსოვ

### მარინა

#### 48 წლის, მხატვარი

მე 2011 წლიდან ყველაზე მკვეთრად 26 მაისი დამამასსოვრდა. რა თქმა უნდა, ამ მოვლენამ ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა და გამოაჩინა ჩვენი მთავრობის დამოკიდებულება თავისი მოქალაქეების მიმართ. მრავლისმთქმელია ის სიმკაცრე, რომლითაც დემონსტრანტებს მოექცნენ. ამ აქციის ძალიან ცივილიზებულად დაშლა შეიძლებოდა, მაგრამ რაც მოხდა, ის მხოლოდ ცალსახად უარყოფითად შეიძლება შეფასდეს.

### დავითი

#### 34 წლის, პროგრამისტი

მგონი, წელს მთავარი მოვლენა ივანიშვილის გამოჩენა და პოლიტიკაში მის მოსვლაზე საზოგადოების ძალიან

სწორი რექცია იყო. ხალხი, ფაქტობრივად, აღარ გაყვა ახალ მესიას. პირადად ჩემთვის, ეს იმის ნიშანია, რომ საქართველოში, როგორც იქნა, დაიწყო სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, რაც ძალიან მასარებს.

### ანა

#### 19 წლის, სტუდენტი

ყველაზე დასამასსოვრებელი იაპონიის ტრაგედია იყო, რომელმაც მთელი მსოფლიო შეძრა. ყველა დააფიქრა ამდენმა კატაკლიზმმა, რომლებიც შეიძლება, ისევე განმეორდეს. მნიშვნელოვანია, ან რა გველის.

ასევე, მნიშვნელოვანი იყო სამეფო ქორნილი ბრიტანეთში, იმ ადამიანების დაღუპვა, რომლებმაც გარკვეული კვალი დაამჩნიეს მსოფლიო ისტორიას. მაგალითად, ემი ვაინჰაუზი,

რომელმაც თავისი მუსიკალური სამყარო შექმნა.

### მინაილი

#### 18 წლის, სტუდენტი

ჩემთვის მთავარი მოვლენა სამედიცინო უნივერსიტეტში ჩაბარება იყო, სტუდენტი გავხდი, ამით ჩემი მშობლების მოლოდინი გავამართლე. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისთვის თვალი არ მიდევნებია, რადგან მთლიანად ჩემს პირად მიზნებსა და ჩაბარებაზე ვიყავი ორიენტირებული.

### ნინო

#### 65 წლის, რეჟისორი

ჩემთვის ივანიშვილის მოსვლა იყო მნიშვნელოვანი მოვლენა. ბე-



# ჩხელათ 2011 წელი?

ვრი რამე შეიცვალა. ჯერჯერობით რთული სათქმელია, უკეთესობისკენ შეიცვლება ყველაფერი თუ უარესობისკენ, მაგრამ რაღაც იმედები გამიჩნდა.

## ნანა

### 21 წლის, სტუდენტი

ივანიშვილის მოსვლა იყო გამოკვეთილი მოვლენა. პირადად მე ყველა იმედს მასზე ვამყარებ და არჩევნებზეც ხმის მიცემასაც მისთვის ვაპირებ.

## ნოდარი

### 55 წლის, უმუშევარი

2011-ში დიდი ცვლილებები მოხდა პოლიტიკაში. პირველ რიგში, ივანიშვილის გამოჩენას ვგულისხმობ. ასევე,

რუსეთში არეულობა დაიწყო. მგონი, აქაც იქნება არეულობები და ღმერთმა ქნას, გამოსწორდეს ეს ქვეყანა და ეშველოს მშრომელ და პატიოსან ხალხს. მე გზები და ტურისტული ბაზები არაფერში არ მჭირდება. აუცილებელია რომ ხალხს მიხედონ, სოფლის მეურნეობაში ჩადონ ფული და უმუშევრობას ებრძოლონ, თორემ ხალხი გადატაკებულია. წელს ამ სფეროსთვის ყურადღება საერთოდ არ მიუქცევიათ.

## ნინო

### 53 წლის, კავშირგაბმულობის სპეციალისტი

2011 წელს სააკაშვილმა გააკეთა ბევრი კარგი რამე: საავადმყოფოები გახსნა, გზები გააკეთა, საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესდა. იმედი

მაქვს, 2012-იც ასეთივე წელი იქნება.


## ბია

### 28 წლის

2011 წელს ჩემთვის მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. პოლიტიკა დიდად არ მაინტერესებს და არ ვადევნებ თვალ-ყურს და არც პირად ცხოვრებაში მომხდარა რაიმე განსაკუთრებული.

## სოფო

### 24 წლის, ფარმაცევტი

პოლიტიკური მოვლენებისგან შორს ვარ, ყოველ შემთხვევაში, წელს. კულტურულ სფეროში კი შეიძლება „ქეთო და კოტი“ აღინიშნოს. ძალიან ნასიამოვნები დავრჩი, როდესაც ბათუმში პრემიერაზე ვიყავი. 

# სამოქალაქო საზოგადოების მითი

გიორგი ცხადაია  
ილიას უნივერსიტეტის  
პოლიტიკური  
მეცნიერების  
მაგისტრანტი



დროა, რომ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებიდან აქცენტი პროგრესული პოლიტიკური მოძრაობების განვითარებაზე გადავიტანოთ. სამოქალაქო საზოგადოება კი მხოლოდ დამოუკიდებელი მედიისა და კვლევითი ცენტრების ნაკრებად მოვიაზროთ.

24 დეკემბერს გუდიაშვილის მოედნის დასაცავად გამართულ მიტინგზე (მერია მოედანს გარდაქმნას უპირებს), ძირითადად, სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მომხმარებლები შეიკრიბნენ, რომელთაგან უმრავლესობა ერთმანეთს იცნობდა. ქართული სამოქალაქო საზოგადოება სწორედ ასეთი ვინაობა, ექსკლუზიური ჯგუფებისგან შედგება. საქართველოში დიდი ხანია მსჯელობენ იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი, მაგრამ თავად „სამოქალაქო საზოგადოების“ კონცეფციაში ეჭვი იშვიათად შეაქვთ.

ქვემოთ შევეცდები, გარკვეული კონცეპტუალური ჩარჩო მოვხაზო იმისთვის, რომ დავადგინო, სად გადის ზღვარი სამოქალაქო საზოგადოებას, პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და რელიგიურ ინსტიტუტებს შორის. ბოლოს კი იმაზე ვისაუბრებ, თუ რა არის საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების სისუსტის მიზეზი და რა შეიძლება იყოს სიტუაციიდან გამოსავალი.

„სამოქალაქო საზოგადოების“ კონცეფცია ჩვენთან დასავლეთიდან შემოვიდა – საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სხვადასხვა პოლიტიკური, აკადემიური და ბიზნეს წრეების წარმომადგენლები ფიქრობდნენ იმაზე, თუ როგორ განეხორციელებინათ აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მშვიდობიანი გარდაქმნა ავტორიტარულიდან დემოკრატიულ რეჟიმებად და საბოლოოდ, ამ ქვეყნებში დასავლური ტიპის ლიბერალური დემოკრატიის განვითარება (ამით დასავლელი პარტნიორები პოლიტიკურ და კომერციულ მოგებას ნახავდნენ).

იქიდან გამომდინარე, რომ თავად დონორი ჯგუფები, როგორც წესი, რომელიმე კონკრეტულ პოლიტიკურ იდეოლოგიას არ მიეკუთვნებოდნენ და ყველა იდეოლოგიის მიმართ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილები, მათ გადაწყვიტეს, რომ აქცენტი პოლიტიკური პარტიების და იდეოლოგიების განვითარებაზე არ გაეკეთებინათ.

ამავე პერიოდში, 90-იანების დასაწყისში, ამერიკელი პოლიტოლოგი ფრენსის ფუკუიამა „ისტორიის დასასრულზე“ საუბრობდა. მისი აზრით, სწორედ საბჭოთა კავშირის შემდეგ დადგა დრო, როდესაც იდეოლოგიებს შორის ბრძოლა კომუნიზმის დამარცხებით დასრულდა და ერთმა დომინანტურმა იდეოლოგიამ – ლიბერალურმა დემოკრატიამ საბოლოოდ გაიმარჯვა.

ზემოთ აღნიშნული განწყობის შესაბამისად, სახელმწიფო, არასამთავრობო და ბიზნეს დონორებმა აქცენტი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე გადაიტანეს. რა თქმა უნდა, უცხოური დახმარების მიღება სხვა ფორმით შეუძლებელიც იქნებოდა (თითქმის ყველა ქვეყანაში უცხოეთიდან პოლიტიკური პარტიების დაფინანსება აკრძალულია); თუმცა ამავე დროს, სამწუხარო ფაქტია ის, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების განვითარებაზე მზრუნველი სახელმწიფო მოხელეების, პოლიტიკოსების, მეცნიერებისა და აქტივისტების ნაწილმა მართლა დაიჯერა, რომ დემოკრატიული გარდაქმნისთვის გადაწყვეტილი ფაქტორი სამოქალაქო საზოგადოების განვითარება იქნებოდა.

სინამდვილეში, სამოქალაქო საზოგა-

დოებას დემოკრატიის განვითარებისთვის გადაწყვეტილი როლი მხოლოდ იმ ქვეყანაში შეიძლება ეთამაშა, რომელშიც ძლიერი და მრავალრიცხოვანი საშუალო ფენა იარსებებდა.

განვითარებად ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების კონცეფცია დამახინჯებულ ფორმას იღებს და ძირითადად, უცხოური დონორებისგან დაფინანსებული ორგანიზაციების სახით არსებობს. მართალია, ასეთი ორგანიზაციების არსებობა კვლევითი და პროფესიული სტანდარტების დამკვიდრების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, მაგრამ მათი დემოკრატიული განვითარების ქვაკუთხედად განხილვა რეალობას აცდენილია.

პირობითად, საზოგადოებრივი საქმიანობა სამ ნაწილად შეიძლება დავყოთ: პოლიტიკური (პოლიტიკური პარტიები და მოძრაობები), სამოქალაქო (არასამთავრობო ორგანიზაციები და ასოციაციები) და სახელმწიფო – საჯარო (აპოლიტიკური საჯარო ინსტიტუტები) საქმიანობები.

საქართველოში დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ქვეყნის განვითარებას მოსახლეობის პოლიტიზირება უშლის ხელს და ამ სიტუაციიდან გამოსავალს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში ეძებენ.

სამოქალაქო საზოგადოებაში კი ხალხის ფართო მასების ჩაბმა ვერ ხერხდება, რადგან ნაკლები ალბათობა იმისა, რომ საშუალო ფენის გარდა, ასეთმა ორგანიზაციებმა სხვა ფენის წარმომადგენლები მიიზიდოს. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში საშუალო ფენა მოსახლეობის ძალზე მცირე ნაწილს შეადგენს; მოსახ-

ლეობის უდიდესი ნაწილი კი სიღარიბეში ცხოვრობს.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება მხოლოდ ორი გზით არის შესაძლებელი: პირველი, იმ შემთხვევაში, თუ საშუალო ფენა საქართველოში უფრო მრავალრიცხოვანი გახდება და მეორე, თუ უცხოური დონორებისგან ნამოსული დაფინანსება ისე გაიზრდება, რომ უფრო და უფრო მეტი სამოქალაქო ორგანიზაციის შენახვას გასწვდებ. თუ ამ ტემპებით განვითარებას გავაგრძელებთ,

საბამისად, საქართველოში „სამოქალაქო საზოგადოება“ ლიბერალური „ელიტის“ აღმნიშვნელ სინონიმად იქცა. ბევრი მოქალაქის თვალში ტერმინი „სამოქალაქო საზოგადოება“ მხოლოდ უარყოფით დატვირთვას შეიცავს.

მთავარი კითხვა უკავშირდება იმას, თუ როგორ უნდა დაუკავშირდეს ეს სამოქალაქო ჯგუფები მოსახლეობის ფართო ფენებს. რაც დრო გადის, ეს კითხვა სულ უფრო და უფრო მეტად აქტუალური ხდება, რადგან სამოქალა-

ქო საზოგადოების „შენების“ მცდელობები, ერთმანეთის მიყოლებით, კრახით სრულდება.

საზოგადოებრივი აქტივობის იმ სამი სფეროდან, რომელიც ზემოთ ჩამოვთვალე, მხოლოდ პოლიტიკას შეუძლია მოქალაქეებსა და პროფესიულ ელიტებს შორის კავშირის დამყარება. პოლიტიკური საქმიანობა კი, თავის მხრივ, იდეოლოგიის არსებობას მოითხოვს.

ბოლო დროს, ქართულ პოლიტიკურ დისკურსში განსაკუთრებით ორი იდეოლოგია გვხვდება: ნაციონალიზმი (რომელსაც ხელისუფლება იყენებს მასების მობილიზაციისთვის) და რელიგიური რიტორიკით გაჯერებული კონსერვატიზმი (რომელსაც უფრო ხშირად ოპოზიცია მიმართავს). ორივე ეს იდეოლოგია საზოგადოებაში სოციალური განსხვავებების წაშლასა და გადაფარვას ცდილობს, რადგან ყურადღება სოციალურ-ეკონომიკური თემებიდან კულტურულ და იდენტობის თემებზე გადააქვს.

ერთადერთი იდეოლოგია, რომელსაც შეუძლია, რომ ახლანდელი ჩიხიდან გამოგვიყვანოს, სოციალური დემოკრატიაა. სოციალურ თემებზე ყურადღების გამახვილებით, შესაძლებელი გახდება პოლიტიკური პროცესებიდან გამოთიშული მასების გააქტიურება და აბსტრაქტულ თემებზე საუბრის ნაცვლად, კონკრეტულ საზოგადოებრივ პრობლემებზე საუბარი.

სოციალური დემოკრატიის იდეებმა ევროპის სახელმწიფოებს და ევროკავშირს ჩაუყარა საფუძველი. თანამედროვე ამერიკელი დემოკრატების (და მათი ლიდერის – ბარაკ ობამას) პოლიტიკური პლატფორმაც ევროპული სოციალური დემოკრატიისგან დიდად არ განსხვავდება (მოუხედავად იმისა, რომ ევროპულ სოციალურ-დემოკრატიასთან შედარებით, ის ნაკლებად პროგრესულია).

აქედან გამომდინარე, დროა, რომ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებიდან, აქცენტი პროგრესული პოლიტიკური მოძრაობების განვითარებაზე გადავიტანოთ, სამოქალაქო საზოგადოება კი მხოლოდ დამოუკიდებელი მედიისა და კვლევითი ცენტრების ნაკრებად მოვიაზროთ. **■**

ფოტო: ლეონი სირხაძე



„ტიფლისის ჰამქის“ კამპანია „დაიკავე გუდიაშვილი“, თბილისი 24 დეკემბერი 2011

ნაკლებად სავარაუდოა, რომ პირველი სცენარი განხორციელდეს, მეორე ვარიანტი კი რეალობის და საღი განსჯის საზღვრებს ბევრად სცილდება.

თავად დონორების მხრიდანაც პრიორიტეტები აშკარად შეიცვალა: თუ ადრე ჯერ კიდევ არსებობდა იმის ილუზია, რომ შესაძლებელი იყო ფართომასშტაბიანი სამოქალაქო აქტივობების მოწყობა, დღეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მხოლოდ ე.წ. Think Tank-ების, ანუ სამოქალაქო კვლევითი ცენტრების ან მედია ორგანიზაციების სახით ფუნქციონირებენ.

იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული think tank-ები და მედია ორგანიზაციები, ძირითადად, „ელიტური“ და არასახალხო ხასიათისაა, მოსახლეობის ფართო ფენებში მათ საქმიანობაში ვერ ერთვებიან. შე-

**■ ქართულ პოლიტიკურ დისკურსში განსაკუთრებით ორი იდეოლოგია გვხვდება: ნაციონალიზმი (რომელსაც ხელისუფლება იყენებს მასების მობილიზაციისთვის) და რელიგიური რიტორიკით გაჯერებული კონსერვატიზმი (რომელსაც უფრო ხშირად ოპოზიცია მიმართავს).**

# ფასადების ფაქიში

მარკ მალენი



გუდიაშვილის სკვერის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ახლახან მცირე დაპირისპირება იყო. ვინც არ იცით, გეტყვით, რომ ეს თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ძველი მოედანია და მის ირგვლივ ძველი შენობების ახლით ჩანაცვლების გეგმა მალევე მოედო ქალაქს.

ამ ისტორიის მოკლე ვერსიის თანახმად, არავინ იცოდა, რა ბედი ელოდა ამ სკვერს. მხოლოდ ჭორის დონეზე იყო ცნობილი, რომ სკვერის ადგილას ახალი შენობების მშენებლობა იგეგმებოდა. მოულოდნელად Facebook-ში გავრცელებულ ავსტრიული კომპანიის გეგმებს, რაც, სხვა ყველაფერთან ერთად, გუდიაშვილის სკვერის ირგვლივ „შანელის“ და „პრადას“ მაღაზიების გახსნასაც გულისხმობდა, მოსახლეობის აღშფოთება მოჰყვა. მერიამ მაშინ განაცხადა, რომ მომხდარი მათ არ ეხებოდა და პასუხისმგებლობა მთლიანად კერძო კომპანიას ეკისრებოდა.

მსოფლიოში არ არსებობს ძველი ქალაქი, სადაც მსგავსი მოვლენები არ ხდებოდა. ყველგან არსებობენ ადამიანები, რომლებიც ძველი შენობების შენარჩუნებას ყველაფრის ფასად უჭერენ მხარს. ისინი მიიჩნევენ, რომ ქალაქი ყველას და მომავალს ეკუთვნის, ამიტომაც მათი დანგრევა სხვა არაფერია, თუ არა უპასუხისმგებლობა. ისინი არ უფიქრდებიან, თუ საიდან უნდა მოდიოდეს ამ ძველი შენობების შენარჩუნებისთვის და შეკეთებისთვის საჭირო თანხები და არც ამ შენობების მფლობელების უფლებები აღელვებთ. ფულის და საკუთრების საკითხი, მართლაც რომ, ძალიან მნიშვნელოვანია. ყველა იმ ადამიანს, რომელთაც თბილისის არქიტექტურის შენარჩუნება სურს, ვურჩევდი ამ შენობების შეკეთების და შენარჩუნების ფინანსებზეც დაფიქრდნენ. ფარისევლობას, როგორც წესი, ძალიან დიდი საფრთხე ახლავს თან. არქიტექტურის შენარჩუნება იმ ადამიანებისთვის უფრო მნიშვნელოვანი ჩანს, რომლებიც ამ შენობებს არ ფლობენ.

თუმცა საკმარისია, საქმე შენს საკუთრებას ეხებოდეს, რომ სურათი რადიკალურად იცვლება. ერთი სიტყვით, ამ ისტორიაში კარგები და ცუდები არ არსებობენ.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის მსგავს მდიდარი არქიტექტურული მემკვიდრეობის მქონე სხვა ქალაქებს გაცილებით გამართული მიდგომები აქვთ შემოფოთებული მოქალაქეებისთვის იმის ასახსნელად, თუ რა გზებით განვითარდება კონკრეტული საკუთრება, რა უფლებები გააჩნიათ მესაკუთრეებს, როგორ უნდა მიიღონ საჭირო ინფორმაცია და სხვა. მოკლედ, რომ ვთქვათ, ისინი გაცილებით გამჭვირვალეები არიან. გამჭვირვალობას, ამ შემთხვევაში, უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ნარსულში არაერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც მოულოდნელად მთელი კორპუსები ქრებოდა, ამის შესახებ კი წინასწარ არავის ატყობინებდნენ.

მერიაში განაცხადეს, რომ ეს საჯარო ინფორმაცია იყო, თუმცა რეალურად ასე არ ყოფილა. ამიტომაც როდესაც საზოგადოებისთვის მომავალი გეგმების შესახებ არაფერია ცნობილი, რაიმეს დანგრევის, რეკონსტრუქციის, გაუმჯობესების ამ ცვლილების შესახებ მოულოდნელად გავრცელებული ცნობა, საზოგადოებაში მეტი ინფორმაციის მიღების სურვილს აძლიერებს. ამით გამოწვეული პანიკა კი ინფორმაციას ნაკლებად სანდოდ აქცევს ხოლმე. ინფორმაციის მიღებამდე და საბოლოო ანალიზამდე ეს მოქალაქეები ყველაფერს ეწინააღმდეგებიან. ეს მესაკუთრეებს და მერიის წარმომადგენლებს აფიქრებინებს, რომ ეს ადამიანები ირაციონალურები და აგრესიულები არიან, რაც სამწუხაროდ, მათ გეგმების კიდევ უფრო დაჩქარებისკენ და ინფორმაციის დამალვისკენ უბიძგებს. კონსენსუსის ნაცვლად ვიღებთ ურთიერთბრალდებებს.

საკუთრების დეველოპერებს ფულის კეთება სურთ და ამის სრული უფლება აქვთ. ნგრევისთვის განწირული ლამაზი შენობების

უბრალოდ შენარჩუნება და საუბარი იმაზე, რომ მათი გამოყენება ნაკლებად თუ შეიძლება რამეში, ამიტომაც მათი ყიდვა არავის სურს, ნაკლებად სწორ მიდგომად მიმაჩნია.

აუცილებელია, რომ შენობების პირვანდელი სახით შენარჩუნების და შეკეთების პარალელურად, მათ საცხოვრებლად ვარგისიანობაზე და სარგებლიანობაზეც დაფიქრდეთ. ეს შესაძლოა ძალიან ძვირადღირებული გზა იყოს. ძველი შენობების აღდგენის ეკონომიკურად ლოგიკურ ქმედებად ქცევა რთული, თუმცა უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია. სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები ხშირად უგულბელებულად ისტორიული შენარჩუნების ლოგიკას და მხოლოდ სირთულეებზე ამახვილებენ ყურადღებას. ქალაქი ხელს უწყობს, რომ შენობები იმაზე სწრაფად ინგრეოდნენ, ვიდრე ეს ჩვეულებრივ პირობებში მოხდებოდა. მათ საკუთრების განვითარება და მშენებლობები სურთ და კარგად ესმით, რომ მშენებლობა დანგრევის გარეშე შეუძლებელია.

კიდევ ერთი თემა, რის მიმართაც მთავრობას სირთულეები შეექმნა, საჯარო კერძო თანამშრომლობებია. ნათელია, რომ საქართველოში სახელმწიფო მაკონტროლებელს წარმოადგენს. მეორე მხრივ, ამავე ხელისუფლებისთვის ეკონომიკური ზრდა და ბიზნესიც მნიშვნელოვან პრიორიტეტებს წარმოადგენს. ბევრი სამშენებლო კომპანია არსებობს, რომელთაც ხელისუფლების წარმომადგენლებთან მჭიდრო კავშირი გააჩნიათ. თუმცა საკუთრების კერძო მფლობელებს, სახელმწიფოსა და ბიზნესის ინტერესებს შორის ნონასწორობის უზრუნველყოფა ჯერაც ვერ მოხერხდა. რა თქმა უნდა, ისინი ყველანი დაკავშირებულნი არიან, თუმცა ეს ურთიერთობები იოლი არ არის. აქ პრობლემის გადაჭრის მარტივი გზა არსებობს: მუნიციპალიტეტი გამჭვირვალე უნდა იყოს. ცხადი უნდა იყოს, თუ როგორ შეეძლება მოქალაქეებს ამ გეგმების განხილვა და რა უფლებები და პასუხისმგე-


ბლოგები ექნება თითოეულ მონაწილე მხარეს: მესაკუთრეს, მეზობელს, დეველოპერს და მუნიციპალიტეტის ცალკეულ ერთეულს. წესები ასე სწრაფად არ უნდა იცვლებოდეს.

თბილისის უდიდესი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. მიყვარს ისტორიების მოსმენა, როდესაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ხანშიშესული მოქალაქეები მათ თბილისში ვიზიტებს იხსენებენ: როგორ აფარებდნენ ამ ქალაქ თავს, როგორი ლამაზი და კოსმოპოლიტური იყო ის. ქალაქი კვლავაც ლამაზი და კოსმოპოლიტურია, თუმცა მასში მნიშვნელოვანი საგანგაშო ცვლილებებიც მოხდა. შვიდი-რვა წლის წინ ხშირად ვსეირნობდი რუსთაველზე და „ლალიდის კაფეში“ ცნობილ წყალს მივირთმევი ხოლმე სულ რაღაც 20 თეთრად. იქ ხშირად გადააწყდებოდი ტურისტებს, რომელთაც ლალიდის წყლების შესახებ წლების წინ თბილისში მყოფმა მათმა მშობლებმა უამბეს. ახლა ლალიდის წყლების ნაცვლად ბავშვთა ტანსაცმლის ბრიტანული მაღაზიაა. რა თქმა უნდა, ამაში არაფერია საგანგაშო, თუმცა ასეთ მაღაზიას მსოფლიოს ნებისმიერ სხვა

ქალაქში იხილავთ. თბილისის ქუჩებში ამის მსგავსი ბევრი მაღაზიაა, განსაკუთრებით კი რუსთაველზე, თუმცა რატომღაც ისინი ყოველთვის ცარიელი ჩანს. უცხოელებს ამ მაღაზიების მონახულება მშობლიურ ქალაქებშიც შეუძლიათ, ქართველები კი, რომლებსაც ამ ბრენდებზე მიუწვდებათ ხელი, თავადაც ხშირად მოგზაურობენ უცხოეთში. მაშ, რა მიზანს ემსახურებიან ეს მაღაზიები? დეველოპერების მაკეტები და ნახაზები ყოველთვის ასახავენ ძვირადღირებული ბრენდების მაღაზიებს, რომლებიც თბილისში ან მის გარეთ ნაკლებად თუ აღეგებს ვინმეს.

ტურისტები ფოტოებს ძველი შენობების, განსაკუთრებით კი ძველი კარების წინ იღებენ. წარმატებულ ტურისტულ ქალაქებს ჭეშმარიტი ისტორიული სული აქვთ და არა „ჰუგო ბოსს“. „ჰუგო ბოსი“ ყველას აქვს. ქალაქის ისტორია მისი სახეა და როდესაც ტურისტი ჩამოდის, მას ამ ქალაქში ყოფნის ვიზუალური საბუთი სჭირდება, რომელზეც რაიმე ძველი, ქალაქის ისტორიის ამსახველი კადრი იქნება ალბეჭდილი: ლამაზი ძველი ჭიშკარი ან აივანი.

რაც მთავარია, ტურისტებს ყველაფერი ნამდვილი სურთ. მათ არც ახალი „პლასტმასის“ ვერსიები სჭირდებათ და არც ძველი თბილისის მიერ „შთაგონებული“ არქიტექტურული ნიმუშები. მათ სინამდვილის შეგრძნება სურთ. თაობები სახლებს ტოვებენ და ახალ ქალაქებში გადადიან საცხოვრებლად: ახალ, უშნო და არაშთაგონებელ ქალაქებში. ამიტომაც მათ უჩნდებათ სურვილი, რაიმე ჭეშმარიტად ძველი ნახონ და იქ ფული დახარჯონ.

ძველი არქიტექტურა იზიდავს ტურისტებს, რომლებიც საკუთრების დეველოპერულ პროექტებზე მეტ ფულად ნაკადებს უზრუნველყოფენ. თუმცა, რა თქმა უნდა, ძველი შენობების შენარჩუნების მხარდასაჭერად გაცილებით უკეთესი არგუმენტებიც არსებობს. უმთავრესი ამ მიზეზებს შორის კი ალბათ შემდეგია: ამით ჩვენს რეალურ სახეს ვინარჩუნებთ. ლამაზი შენობების ნაცვლად იმიტაციების აშენებით, ჩვენც ასლებად გარდავიქმნებით. მარტივად რომ ვთქვათ, ეს ჩვენ ყალბ ქმნილებებად გვაქცევს. 



# 2012

# ნახმოვანები, ივანიშვილის ბუნება "ნასიონაღი მოძრაობა" სახელისუფლებო ზახვიის ხანში შესვლას

ინტერვიუ კარნეგის ცენტრის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამების უფროს სპეციალისტთან,  
ტომას დე ვალთან

2011 წლის ივლისში გამოქვეყნებულ ანგარიშში „საქართველოს არჩევანი – ცვალებად პირობებში გამოკვეთილი სამომავლო სურათი“ წერთ, რომ საქართველოს განვითარების სამი ალტერნატივა აქვს: სინგაპურის და „ძველი საქართველოს“ მოდელები, ასევე, განვითარება ევროკავშირის მიმართულებით. საით იხრებოდა საქართველოს ხელისუფლება წელს?

ვფიქრობ, ხელისუფლებას ამ კუთხით სტრატეგიული გადაწყვეტილებები არ მიუღია. მთელი პოლიტიკური სისტემა არჩევნებისა და ხელისუფლების გადაცემის საკითხებით არის დაკავებული. თუმცა გადაიდგა მცირე მასშტაბის, მაგრამ მაინც დადებითი ნაბიჯები ევროპული ინტეგრაციისკენ. არის იმის იმედიც, რომ მომავალ წელს ევროკავშირთან მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები დაიწყება.

სამწუხაროდ, ჩემთვის ამ დრომდე გაურკვეველია, თუ რა მიმართულებით სურს ხელისუფლებას ქვეყნის წაყვანა. ამ დრომდე ურთიერთსაინანაღმდებო ნიშნებს ვაწყდებით. ვფიქრობ, საქართველოსთვის უმჯობესი იქნება, თუ ევროინტეგრაციის გზას

უფრო მყარად დაადგება და გახდება სახელმწიფო, სადაც თავისუფალი სამართლებრივი სივრცე, თავისუფალი მედია ბაზარი და მრავალპარტიული სისტემა იქნება.

**ამ დრომდე გაურკვეველია, როგორ გააგრძელებს ან გააგრძელებს კი საერთოდ პოლიტიკურ საქმიანობას პრეზიდენტი სააკაშვილი ვადის ამოწურვის შემდეგ. რამდენად რეალურია ვერსია, რომ მიხეილ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრი გახდება?**

მე საქართველოში არ ვცხოვრობ და ქვეყნის შიდა პოლიტიკურ „სამზარეულოში“ არც ისე კარგად ვერკვევი, ამიტომაც მიჭირს ამაზე საუბარი. ამ საკითხზე მხოლოდ ორი ბანალური დაკვირვება მაქვს – რა თქმა უნდა, პრეზიდენტმა განგებ შეცვალა კონსტიტუცია, რომ ახალ ამპლუაში საკუთარი თავისთვის ძალაუფლების შენარჩუნების შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ მან ისიც შესანიშნავად იცის, რომ თუ პრემიერ-მინისტრი გახდება, დასავლეთში იმიჯი სერიოზულად შეელახება – ეს კი მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ჩვენს წინა ინტერვიუში, პრეზიდენტ სააკაშვილზე საუბრისას თქვით, რომ საქართველოს ხელისუფლების ბუნება ისეთია, სადაც მთელ ლანდშაფტს ერთი პოლიტიკური ფიგურა ფარავს. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური განცხადებების შემდეგ გაჩნდა კიდევ ერთი ცენტრი, რომელსაც ისეთივე უპირატესობით უნდა ხელისუფლებაში მოსვლა, როგორც ეს, თავის დროზე, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გააკეთა. არსებობს იმის საფრთხე, რომ საქართველო „ნაციონალურ მოძრაობა 2“-ს მიიღებს?

მართლაც, საქართველოში ორი პოლიტიკური პოლუსი ჩამოყალიბდა – პირველი სააკაშვილის, მეორე კი ივანიშვილის გარშემო.

ჯერ ადრეა იმაზე საუბარი, თუ რამდენად ძლიერი იქნება ივანიშვილის ეფექტი. ბუნებრივია, მას აქვს ის, რის ნაკლებობასაც ოპოზიცია ამდენი ხნის განმავლობაში განიცდიდა – დიდი ავტორიტეტი და ფინანსები. თუმცა ივანიშვილს არაერთი ამოცანა აქვს გადასაჭრელი, ახალბედაა პოლიტიკაში – მისი გუნდიც და პროგრამაც მხოლოდ ახლა ყალიბდება.





ფოტო: ირაკლი ლომიძე

ხელისუფლებას კი ძლიერი იარაღი აქვს „იმედისა“ და „რუსთავი 2“-ის, ასევე რეგიონებში ძლიერი ადმინისტრაციული მხარდაჭერის სახით. ასე რომ, წარმოუდგენელია, ივანიშვილის გუნდმა „ნაციონალური მოძრაობა“ სახელისუფლებო პარტიის რანგში შეცვალოს. ეს კარგიც არის – სახელმწიფო სისტემა გაცილებით ჯანსაღია, როცა ის არა ერთპარტიული, არამედ მრავალპარტიულია.

**Foreign Policy-ში გამოქვეყნებულ სტატიაში წერთ, რომ ივანიშვილი არავის პროექტი არ არის, საკუთარი თავის გარდა. ამ ვარაუდის არგუმენტად კი მასთან შეხვედრისას მიღებული შთაბეჭდილება მოიშველიეთ. იქნებ კიდევ ერთხელ განმარტოთ, რატომ ფიქრობთ ასე?**

დიახ, ნამდვილად ასეთი დასკვნა გამოვიტანე, რასაც მარტივად ვხსნი: ის საკმაოდ ექსცენტრიკული ადამიანია, რომელმაც ძალიან თავისებური დღის წესრიგი ჩამოაყალიბა და ძალიან რთულია წარმოვიდგინო, რომ ის ვიღაცის გავლენას განიცდის. მას არ სჭირდება საგარეო მხარდაჭერა, ივანიშვილს მოკავშირეთა საკმაოდ შთამბეჭდავი წრე ჰყავს. ის მეგობრობს პატრიარქთან, ირაკლი ალასანიასთან და ფრანგებთან. მას საქართველოს მომავალთან დაკავშირებით საკუთარი ხედვა აქვს, სხვა საკითხია – ვის მოსწონს და ვის არა ეს ხედვა.

**ამავე სტატიაში წერთ, რომ ივანიშვილს თავისებური ქარიზმა აქვს...**

ნამდვილად, ის ძალიან საინტერესო პიროვნებაა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ დიდი ქარიზმის მატარებელია. თავდაჭერილი ქცევის ადამიანია, რომელიც მოსაუბრეს ყურადღებით უსმენს, რასაც ვერ ვიტყვით კავკასიაში მცხოვრებ ბევრ პოლიტიკოსზე. იგრძნობა, რომ საჯარო სივრცეს და პოლიტიკურ ცხოვრებას მხოლოდ ახლა ეჩვევა. ამასთან, თვითდაჯერებული და მყარი ფსიქიკისაა. მან ხომ 90-იან წლებში რუსული

ბიზნესის ძალიან რთული სკოლა გაიარა.

**მომდევნო ორი წელი საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. მეგობარი და პარტნიორი სახელმწიფოების პოლიტიკოსები ხაზს უსვამენ, რომ არჩევნები დემოკრატიის მორიგი ტესტი იქნება. მზად არის თუ არა ქვეყანა ამ გამოცდის ჩასაბარებლად?**

ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ მომდევნო ორი წელი საქართველოს და განსაკუთრებით ხელისუფლებას ძალიან დიდი გამოცდა ელის. ვფიქრობ, რომ ერთი მხრივ, საზო-

**■ ვფიქრობ, რომ მოქმედი ხელისუფლება ასეთი**

**ნაბიჯის გადასადგმელად**

**მზად არ არის, თუმცა მინდა**

**ვცდებოდე. მისი ყველაზე**

**დიდი მიღწევა სწორედ ის**

**იქნება, თუ მშვიდობიანად**

**შეიცვლება.**

გადოება დაიღალა „მუდმივი რევოლუციით“ და სიურპრიზებით, რასაც ხელისუფლება მიმართავს, მეორე მხრივ კი, ბუნებრივია, რომ მმართველ გუნდს ძალაუფლების შენარჩუნება უნდა.

ერთია – იყო ხელგაშლილი და კეთილშობილი, როცა სერიოზული ოპოზიცია არ გყავს, თუმცა სულ სხვაა, როცა არსებობს იმის რისკი, რომ არჩევნები შენს სასარგებლოდ არ დასრულდება.

საქართველოში და ზოგადად, მთელ სამხრეთ კავკასიაში ბოლო ოცი წლის განმავლობაში არცერთ ხელისუფლებას ძალაუფლება მშვიდობიანად, არჩევნების გზით არ დაუთმია.

ერთადერთი შემთხვევა, როცა ასეთი რამ მოხდა, 1990 წელს ჩატარებული არჩევნები იყო და ისიც, დამოუკიდებლობის აღდგენამდე მოხდა. ვფიქრობ, რომ მოქმედი ხელისუფლება ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად მზად არ არის, თუმცა მინდა, ვცდებოდე. მისი ყველაზე დიდი მიღწევა სწორედ ის იქნება, თუ მშვიდობიანად შეიცვლება.

**ხელისუფლების მშვიდობიანად გადაცემაზე ისაუბრეთ... საზოგადოების ნაწილი ივანიშვილში „მორიგ მესიას“, ნაწილი კი კრემლის პროექტს ხედავს. რას უნდა ველოდოთ შეფასებების ასეთი რადიკალიზაციისგან?**

საერთოდ, ვფიქრობ, რომ ივანიშვილის სახით ალტერნატიული პოლუსის გამოჩენა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისთვის დადებითი მოვლენაა. თუმცა ნამდვილად მაშფოთებს ის დამოკიდებულება, თუ როგორ მიიღო ბევრმა მისი მოსვლა პოლიტიკაში. ვფიქრობ, რომ როგორც ბევრი ქართველისთვის, ისე საქართველოს პოლიტიკური რეალობის მიმოხილველისთვის, მოსაბუზრებელია, რომ ივანიშვილის გამოჩენას ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებები მოჰყვა.

ჩემი სურვილია, რომ საზოგადოება უფრო მეტად მომწიფდეს და გააანალიზოს, რომ ერთ ადამიანს ან თუნდაც რადიკალურ ცვლილებას არ შეუძლია, მისი ცხოვრება უკეთესი გახადოს.

სამწუხაროდ, ალტერნატიული ცენტრის გამოჩენის შემდეგ გახმაურებული პოზიციებიც მორიგი სიმპტომია იმ დაავადებისა, რომელსაც „სისტემის ზევიდან ქვევით“ ცვლილება ჰქვია. ასეთ დროს ქვეყნის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მსჯელობისას არ ჩანს საზოგადოება. სწორედ ამიტომ არის, რომ ადამიანები პრეზიდენტს აღიქვამენ, როგორც მეფეს ან როგორც მტერს – შესაბამისად, მის ახალ ოპონენტსაც ამგვარადვე აფასებენ. **■**

**ესაუბრა მალხაზ ჭყაძეა.**



# რადიოქალაქი წარმოგიდგენთ

ყოველ სამუშაო დღას

17:30

ბაღაძემას

დღის ბიზნეს სტუმარი

მანია ჯავახიშვილთან ერთად

ბაღაძემას წარმოგიდგენთ



ელიტ ელექტრონიკსი  
ELIT ELECTRONICS

კომენტარი

# ბვასსოვს აფხაზეთი?

ივლიანე ხაინდრავა  
სამხრეთკავკასიური  
კვლევების პროგრამის  
დირექტორი, რესპუ-  
ბლიკური ინსტიტუტი



ამთავითვე აღვნიშნავ: ეს მასალა ფოკუსირებულია აფხაზეთზე; სამხრეთ ოსეთის თემას აქ, პრაქტიკულად, არ შეეხება. ეს იმიტომ, რომ ვითარება, ერთი მხრივ, აფხაზეთისა და მეორე მხრივ, სამხრეთ ოსეთის გარშემო ყოველთვის განსხვავებული იყო და დღესაც ასეთად რჩება მიუხედავად ფორმალური მსგავსებისა: ორივე სეცესიური ტერიტორია ხომ თითქოს ერთი მიმართულებით მოძრაობს (შორდება საქართველოს).

აფხაზეთა და ოსთა მისწრაფებები განსხვავებულია ისევე, როგორც მათი რესურსები და რუსეთის გავლენა მათ ელიტებზე და საზოგადოებრივ დისკურსზე: აფხაზური „ნაციონალური პროექტის“ ზეამოცანაა დამოუკიდებელი აფხაზეთი; სამხრეთელი ოსების ოცნება ჩრდილოელებთან გაერთიანებას (რუსეთის ფედერაციის ფარგლებში) ვერ ცდება. ამდენად, გვეჭირდება ასიმეტრიული მიდგომა ამ კონფლიქტების ტრანსფორმაციის, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების ნორმალიზების მიმართ და „ოსური თემაც“ ცალკე განხილვას მოითხოვს (ამგვარი მცდელობა ავტორის სტატია „ორი ოსეთი ქართულ-რუსული ურთიერთობების კონტექსტში“, კრებულში „რუსეთი და საქართველო: გამოსავლის ძიებაში“, GFSIS, 2011).

2008 წლის აგვისტოს ომისა და რუსეთის მიერ აფხაზეთის [და სამხრეთ ოსეთის] დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ მსოფლიო ორ არათანაზომად ბანაკად დაიყო: ერთ მხარესაა საქართველო, დასავლეთი, სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციების უდიდესი უმრავლესობა, ხოლო მეორე მხარეს – „ამლიარებელთა კლუბი“ რუსეთის მეთაურობით. ნიშანდობლივია, რომ რუსეთის არცერთ პარტნიორს ისეთი

ორგანიზაციებიდან, როგორებიცაა СНГ, ОДКБ, ШОС არ უღიარებია აფხაზეთი [და სამხრეთ ოსეთი]. ამგვარი კონსოლიდირებული პოზიცია როგორც სამართლებრივ, ისე პოლიტიკურ არგუმენტებს ეფუძნება. პირველთაგან მოვიტან „ტალიავინის კომისიის“ ორ დასკვნას: 1. [სამხრეთ ოსეთსა და] აფხაზეთს არ ჰქონდათ საქართველოსგან სეცესიის უფლება; 2. აფხაზეთის [და სამხრეთ ოსეთის] დამოუკიდებლობის აღიარება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს. რაც შეეხება პოლიტიკურ

**ჩვენი საკუთარი პრაქტიკა ადასტურებს, რომ დისტანცია ე.წ. „გაყინული“ მდგომარეობიდან ძალადობის რეციდივამდე უფრო მოკლეა, ვიდრე კონფლიქტის მოგვარებამდე.**

არგუმენტებს, ის მრავლადაა და სხვადასხვა [ქვეყნის] შემთხვევაში სხვადასხვა მოტივია განმსაზღვრელი. აქაც ორ მიზეზს მოვიტან მხოლოდ: 1. როგორც ინგლისური ანდაზა ამბობს „თითოეულს მოეძებნება ჩონჩხი საკუთარ კარადაში“ (ესპანეთს – ბასკებისა და კატალონიის პრობლემა აქვს, ჩინელებს – ტიანანისა და ტიბეტის, კანადელებს – კვებეკისა, ინდოელებს – ქაშმირისა და ა.შ.); 2. არაღიარება არა მხოლოდ აფხაზეთს [და სამხრეთ ოსეთს] ეხება, არამედ – რუსეთს. სწორედ რუსეთის ნამოქმედარის (როგორც არ-

სით, ისე ფორმით) ამკარა მიუღებლობა განაპირობებს საერთაშორისო თანამეგობრობის ერთსულოვნებას, რომელიც ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის არაღიარების სადარია (იქ თურქეთი სრულ მარტობაშია). არ გამოვირიცხავ, რომ სხვა გარემოებებთან ერთად რუსეთის ფაქტორთან ამგვარი ბმა კიდევ უფრო ურთულესს აფხაზეთს სანუკვარი მიზნის მიღწევას, რადგან მათი დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთისთვის 2008 წლის ომისათვის ინდულგენციის ავტომატურ რეჟიმში გაცემის ტოლფასი იქნება.

ერთი ნიუანსიც, რომელიც სწორედ აფხაზეთს ეხება: 2008 წლის აგვისტოს ომის გაჩაღებაში სხვადასხვა მხარეს სხვადასხვა დოზით ედება ბრალი, თუმცა უდანაშაულოდ არავინაა მიჩნეული. მათ შორის – არც აფხაზეთი: ამ მიმართულებაზე ქართულ არმიას მაშინ სამხედრო ქმედება არ განუხორციელებია; პირიქით – კოდორის ხეობაში ერთობლივი აფხაზურ-რუსული სამხედრო ოპერაცია განხორციელდა, რაც იმავე „ტალიავინის კომისიის“ მიერ საერთაშორისო სამართლის დარღვევად და, ამდენად, უკანონოდ შეფასდა. ამ გარემოებასაც აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შანსები ნამდვილად არ გაუზრდია.

აფხაზეთის [და სამხრეთ ოსეთის] „ამლიარებელთა კლუბის“ წევრების რიცხოვნობის ზრდის შესაჩერებლად ოფიციალური თბილისი სერიოზულად აქტიურობს (გაიხსენეთ თუნდაც პრემიერ ნ. გილაურის ვიზიტი ახალ ზელანდიაში) და პრევენციის სახით ორიოდ წელიწადში სამოც ქვეყანასთან ამყარებს დიპლომატიურ ურთიერთობებს. 2011 წლის დეკემბერში საქართველომ აფრიკის კავშირშიც კი მოიპოვა დამკვირვებლის სტატუსი. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს პრო-

ცესი დასავლეთის წამყვანი ქვეყნების (უპირველესად – აშშ-ის) მხარდაჭერით სარგებლობს, რაც, პრინციპში, მის წარმატებულობას განაპირობებს. თავის მხრივ, რუსეთიც, როგორც ჩანს, განსაკუთრებით არ ირჯება „ამლიარებელთა კლუბის“ გაფართოებისათვის: მას საკუთარი მოსაზრებები აქვს აფხაზეთის [და სამხრეთ ოსეთის] შემდგომ ბედთან დაკავშირებით, რაც, სხვათა შორის, დაფიქრებისა და ანალიზის საფუძველს იძლევა. „ვანუ-ატუს ეპოპეა“, რომელმაც ჯერ აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა, შემდეგ გაიწვია აღიარება, მერე, თითქოს, კვლავ „აღიარა აღიარება“, ნიშანდობლივია: შეუერთდა თუ არა ვანუ-ატუ „ამლიარებელთა კლუბს“ – მესამეხარისხოვანი საკითხია; სულ სხვაგვარად იქნებოდა საქმე, ვანუ-ატუს ადგილას გავლენიანი სახელმწიფო (ევრაზიის რომელიმე რეგიონის მასშტაბით) რომ აღმოჩენილიყო.

ამ (და სხვა) გარემოებების გათვალისწინებით შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ არსებული გეოპოლიტიკური კონიუნქტურ-

ის პირობებში აფხაზეთის [და სამხრეთ ოსეთის] არაღიარების პოლიტიკა საკმარისად მდგრადია და მისგან რამდენადმე მნიშვნელოვან გადახვევას ახლო მომავალში არ უნდა ველოდოთ. იმავდროულად, კონფლიქტების ხელახლა „გაყინვა“ 2008 წლის ომის შემდგომ კონფიგურაციაში არ უნდა აძლევდეს ხელს საქართველოსა და დასავლეთს. ჯერ ერთი, ჩვენი საკუთარი პრაქტიკა ადასტურებს, რომ დისტანცია ე.წ. „გაყინული“ მდგომარეობიდან ძალადობის რეციდივამდე უფრო მოკლეა, ვიდრე კონფლიქტის მოგვარებამდე. მეორეც: დისტანცია „გაყინული“ მდგომარეობიდან რუსეთის მიერ აფხაზეთის „ჩაყლაპვამდე“ ასევე უფრო მოკლეა, ვიდრე საქართველოში აფხაზეთის რეინტეგრაციამდე.

აქ შესაძლებელია დისკუსია იმის თაობაზე, ანუ თუ არა ვითარების „გაყინვა“ აფხაზეთს, უფრო სწორად კი – აფხაზობას. ხელმისაწვდომი ინფორმაციის თანახმად, აზრთა სხვადასხვაობა ამ საკითხზე აფხაზურ საზოგადოებაში ნამდვი-

ლად არსებობს და კამათიც ძალას იკრებს. ოფიციალური სოხუმი (ცხინვალისგან განსხვავებით) ცდილობს აქტიურობას საგარეო ასპარეზზე, მაგრამ ისე, რომ მოსკოვის გულისწყრომა არ გამოიწვიოს. თეზისიც სოხუმის „მრავალვექტორული“ საგარეო პოლიტიკის შესახებ ომის შემდგომ პერიოდში აღარ გაისმის. თუმცა რუსული დომინირების, აფხაზეთში მისი მონოპოლიური პოზიციების გამო შემოფოთებაც თანდათან კრისტალიზდება: მწვავე დისკუსიები იმართება აფხაზურ საზღვრისპირა სოფელ აიბგას მიმდებარე ტერიტორიასთან, სოხუმში განლაგებული და რუსეთის სამხედრო უწყების მფლობელობაში მყოფი სანატორიუმის ადგილობრივი პერსონალის დათხოვნასთან, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის განუვრდიანების საკითხში ქართულ-რუსულ მორიგებასთან დაკავშირებით. შემთხვევით არაა, რომ აფხაზებმა უკვე დაიწყეს „ნაციონალური პროექტის“ კორექტირებაზე საუბარი (მაგალითად გამოდგება არდა ინალ-იფას წერილი გაზეთ



ფოტო: კლუსა ბაბინიანი

«Абхазский меридиан» ა.წ. აპრილის ნომერში). მომდღვარდება თუ არა აფხაზურ დისკურსში ალტერნატიული (ევროპისკენ მიმართული) საგარეოპოლიტიკური ვექტორი და როდის – ძნელი სათქმელია, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის (ევროპის) მიმართ ინტერესის აფხაზეთში ზრდა ობიექტურად ემთხვევა ქართულ ინტერესებს, პროქართული განწყობების აღმოცენებასთან მისი ავტომატურად გაიგივება თავის მოტყუება იქნებოდა.

რაკი აფხაზეთის საზოგადოებაზე ჩამოვარდა საუბარი, ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც უნდა აღინიშნოს. აქამდე აფხაზეთის პოზიცია ჩვენთვის (და არა მხოლოდ ჩვენთვის) საკუთრივ აფხაზობის პოზიციას ნიშნავდა. მნიშვნელოვანილად ასეც იყო: სწორედ აფხაზები განსაზღვრავდნენ პოლიტიკურ დღის წესრიგს აფხაზეთში. მაგრამ აფხაზეთის დე-ფაქტო მოსახლეობა სულაც არ გახლავთ ერთგვაროვანი: სამ, დაახლოებით თანაზომად ჯგუფს შეადგენენ ეთნიკური აფხაზები, სომხები და ქართველები; მათი სივრცითი (პოლიტიკური) ორიენტაცია კი განსხვავებულია. თუკი აფხაზობისთვის დამოუკიდებლობა უმადლესი პრიორიტეტია, აფხაზეთის ქართველობა საქართველოსთან რეინტეგრაციას ნატრობს, ხოლო აფხაზეთის სომხობა, ამჟღავნებს რა ლოიალობას აფხაზური ნაციონალური პროექტის მიმართ, სულაც არ არის წინააღმდეგი რუსეთთან მზარდი ინტეგრაციისა («სომხური პროექტი» აფხაზეთში, თუმცაღა დღეისთვის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, ცალკე გააზრებას მოითხოვს). ამდენად, აფხაზური «ნაციონალური პროექტი» სულაც არ გახლავთ კონსენსუსის საკითხი (დევნილი ქართველების პოზიციის გაუთვალისწინებლადაც კი) და დღეს არსებული ძალთა თანაფარდობა აფხაზეთში (რასაც «ეთნოკრატიას» უწოდებენ ხანდახან) მუდმივად ვერ გასტანს.

იმის თქმა კი შეიძლება, რომ რუსეთი კმაყოფილი უნდა იყოს შექმნილი მდგომარეობით და მისი ძალისხმევა სწორედ დასადგურებული სტატუს-კვოს შენარჩუნებისკენაა მიმართული ამ ეტაპზე მაინც. ეს ეტაპი, სავარაუდოდ, საკუთრივ რუსეთსა და საქართველოში 2012-2013 წლებში ხე-

ლისუფლების შეცვლამდე (მოდელიცირებამდე) და სოჭის ოლიმპიური თამაშების გამართვამდე (2014 წ. მარტი) გაგრძელდება. ამას მიგვანიშნებს რუსეთის მიერ წარმოებული პოლიტიკა: მინიმალური კონტაქტები საქართველოს ხელისუფლებასთან (ომისშემდგომ პერიოდში – მხოლოდ მსო-ში რუსეთის განვერინების თემით შეზღუდული), ყენევის კონსულტაციების შენარჩუნება უნაყოფობის რეჟიმში და ზემოთ ნახსენები ტაქტიკა აფხაზეთის [და სამხრეთ ოსეთის] აღიარება/არაღიარებასთან დაკავშირებით. იმავდროულად, რუსულმა სახელისუფლებო ტანდემმა დროის მცირე მონაკვეთში (აგვისტოს დასაწყისი) ორი გზავნილი

## ■ 2008 წლის აგვისტოს ომისა და ვაშინგტონში ადმინისტრაციის შეცვლის შემდეგ აშშ-ის უშუალო აქტიურობამ საქართველო/კავკასიის მიმართულეზზე იკლო. აშშ-ს „აღარ სცალია“ საქართველოსთვის, არ აქვს საკუთარი სტრატეგია საქართველოს (გნეზავთ – მთლიანად სამხრეთ კავკასიის) მიმართ.

გააყდერა: მედვედევმა თბილისს ურჩია სამხრეთ ფორმატში აწარმოოს მოლაპარაკება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, ხოლო პუტინმა დასაშვებად მიიჩნია სამხრეთ ოსეთის მიერთება საბაჟო კავშირთან (რაც ევრაზიური კავშირის მისი ბოლოდროინდელი იდეის კონტექსტში შეგვიძლია განვიხილოთ). აქ განსაკუთრებით საინტერესოა, რომ აფხაზეთი მას არ უხსენებია, რაც ზადებს კანონზომიერ კითხვას: რას უპირებს პუტინი აფხაზეთს მომავალი წლის მარტში ხელახლა გაპრეზიდენტების შემდეგ? ან, უფრო კონკრეტულად, სოჭის ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ?

არსებულ გამოწვევებზე პასუხად (პრო-

ბლემების ხარისხობრივ გართულებას კი საქართველოს ხელისუფლება უპირველესად საკუთარ თავს უნდა უმადლოდეს) ოფიციალურმა თბილისმა შეიმუშავა სახელმწიფო სტრატეგია „თანამშრომლობა ჩართულობის გზით“ და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. ეს დოკუმენტები (აგრეთვე – კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წესები) დეტალურად გააანალიზეს (და გააკრიტიკეს) ექსპერტებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა და აქ მათ ავკარგინაზბზე არ შეეჩერდები. იმას ვიციკვი მხოლოდ, რომ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ჩამოთვლილი კეთილი (და უმონყალოდ დაგვიანებული) ზრახვების მცირე დოზითაც კი ხორცშესხმის პრაქტიკული შანსი საქართველოს დამოუკიდებლად არ გააჩნია. დასავლეთის აქტიური მზარდაჭერისა და მონაწილეობის გარეშე ეს ყოველივე განწირული წამოწყებაა. დეიზოლაციის საკითხში კი, არაღიარების პოლიტიკისაგან განსხვავებით, საქართველოსა და დასავლეთის მიდგომები სრულად როდი ემთხვევა ერთმანეთს.

დავინყოთ იმით, რომ 2008 წლის აგვისტოს ომისა და ვაშინგტონში ადმინისტრაციის შეცვლის შემდეგ აშშ-ის უშუალო აქტიურობამ საქართველო/კავკასიის მიმართულეზზე იკლო. აშშ-ს „აღარ სცალია“ საქართველოსთვის, არ აქვს საკუთარი სტრატეგია საქართველოს (გნეზავთ – მთლიანად სამხრეთ კავკასიის) მიმართ; ერაცს, ავღანეთს, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტს, ირანის პრობლემას არაბული (ისლამური) სამყარო დაემატა, ხოლო პოტენციალი და რესურსი (აშშ-ის შემთხვევაშიც კი) არ გახლავთ ამოუწურავი. „სტრატეგიული მოთმინება“ – აშშ-ის ერთადერთი ოფიციალური და ჩვენთვის არცთუ დამამედებელი გზავნილია (თუ-მცა ამერიკელები გამუდმებით და უმადლეს დონეზე უცხადებენ მზარდაჭერას საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას). შესაბამისად, შეიძლება იმის კონსტატაცია, რომ რეგიონში წამყვანი მოთამაშის (მომწესრიგებელ-შუამავლის) როლი ამერიკელებმა ევროპელებს გადაულოცეს. ამერიკული მიზანსწრაფულობა და საკუთარი ინტერესების გატანის (თავს მოხვე-

ვის) უნარიც ევროპულმა „რბილმა ძალამ“ ჩაანაცვლა.

ევროკავშირისთვისაც თუმცაღა საქართველოს კონფლიქტები ასევე არაა მთავარი თემა და, სხვა ყველაფერს რომ დავანებოთ თავი (მაგალითად – ევროს კრიზისსა და მთლიანად ევროკავშირის რეკონსტრუქციას), ყარაბაღის მიმართულეზაზე ომის პრევენცია დღეს მისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ევროკავშირმა შეიმუშავა „არალიარებისა და ჩართულობის პოლიტიკა“ (NREP), რომლის ორი ცენტრალური დეზულეზაა კონფლიქტების ტრანსფორმაცია და აფხაზეთის [და სამხრეთ ოსეთის] დეიზოლაცია. ორივე დეზულეზა ლოგიკურია: არსებულ ვითარებაში კონფლიქტების საბოლოო მოგვარებაზე საუბარი არარეალისტურია, ხოლო ტრანსფორმაციაში „ჩაქსოვილი“ დეიზოლაცია რუსეთის მიერ აფხაზეთის „ჩაყლაპვის“ სანიანალმდეგო ზომადაა მიჩნეული. თუმცა სწორედ დეიზოლაციის საკითხში ვლინდება ზემოსხენებული აცდენა ქართულ და ევროპულ მიდგომებს შორის. ოფიციალური თბილისის პოზიციაც დეიზოლაციას გულისხმობს, ოღონდაც – „დანარჩენი“ საქართველოს მიმართულებით და მხოლოდ და მხოლოდ „თბილისის გავლით“ – გარე სამყაროსკენ. ბრიუსელის მიდგომის თანახმად კი შესაძლებელია აფხაზეთის დეიზოლაცია გარე სამყაროსგან უშუალოდ, ანუ – „თბილისზე გაუვლელად“. ცხადია, ბრიუსელი აპირებს თბილისის ინფორმირებას შესაბამისი ინიციატივების შესახებ და მათ შეთანხმებას, როცა ეს შესაძლებელია (და როცა გაუჩნდება შესაბამისი სამოქმედო გეგმა), თუმცა ოფიციალური თბილისისთვის ვეტოს უფლების მინიჭება ევროკავშირის გეგმებში არ შედის. ცხადია ისიც, რომ ბრიუსელი ხელს შეუწყობს „დანარჩენი“ საქართველოსგან აფხაზეთის თვითიზოლაციის დაძლევის, თუმცა მკაფიო გზები და ინსტრუმენტები ამ მიზნის მიღწევისა ჯერ არ გამოკვეთილა. თანაც, სოხუმი არ ამჟღავნებს შესაბამის სურვილს, ხოლო თბილისი – უნარს. ამდენად, საქართველოს ხელისუფლებას მოუწევს ბრიუსელთან თავისი პოლიტიკის ჰარმონიზაცია, თუ მას არ სურს აფხაზეთის

რუსეთთან ერთი ერთზე დატოვება.

2008 წლის მოვლენების შემდეგ ქართულ-აფხაზური [ქართულ-ოსური] კონფლიქტი „ამოვარდა“ ოფიციალური თბილისის რიტორიკიდან (2011 წლის 11 თებერვალს პარლამენტში საათნახევიანი სიტყვით გამოსვლისას პრეზიდენტ სააკაშვილს არცერთხელ არ უხსენებია აფხაზეთი [და სამხრეთ ოსეთი]) და აქცენტი რუსეთის მიერ აფხაზეთის დეოკუპაციაზე კეთდება. დეოკუპაციის მოთხოვნა, ბუნებრივია, უნდა დარჩეს დღის წესრიგში, მაგრამ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის „დავიწყება“, საქმის ისე წარმოჩენის მცდელობა, თითქოს საკმარისი იყოს აფხაზეთიდან რუსული ჯარებისა და მესაზღვრეების გაყვანა და კონფლიქტიც თავისთავად მოგვარდება, ყალბი მიდგომაა. დეოკუპაცია – კონფლიქტის მოგვარების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. ამიტომ საჭიროა ორმხრივ ფორმატში ქართულ-აფხაზური დიალოგის აღდგენა/განვითარება ყველა დონეზე, მათ შორის – აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლებასთან.

უკანასკნელ დეზულეზასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ოფიციალური თბილისის მიერ სოხუმის დეფაქტო ხელისუფლების ხაზგასმული იგნორირება და მისი „კრემლის მარიონეტებად“ (საუკეთესო შემთხვევაში) მოხსენიება ვერაფერი ნიადაგია ორმხრივ დიალოგზე გასასვლელად. აფხაზეთში არჩევნების ლეგიტიმურობის არალიარება დახასჯ თანხვედრაშია ზოგადად არალიარების პოლიტიკის არსთან, თუმცა საქმის იმგვარად წარმოჩენის მცდელობა, თითქოს არჩევნების შედეგს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, არასერიოზულია. სხვა თუ არაფერი, ამ საუკუნეში მაინც აფხაზები ისე ატარებენ საპრეზიდენტო არჩევნებს, რომ ჩვენგან – ქართველებისგან – აგდებულ დამოკიდებულებას ნამდვილად არ იმსახურებენ. და თუკი ტრადიციად დამკვიდრდა, რომ არჩევნები აფხაზეთში ქართულს სჯობს, ეს არც სხვათა ყურადღების მიღმა დარჩება.

ამდენად, სოხუმთან დიალოგის აღსადგენად სერიოზულად უნდა კორექტირდეს მთლიანად ქართული პოლიტიკა (მათ შორის – სამინაოც). ოფიციალურ დიალოგს

თან უნდა ახლდეს (თუ შესაძლებელია – წინ უძღოდეს) კონფლიქტის ტრანსფორმაციის სურვილის არსებობის დამადასტურებელი კონკრეტული ქმედებები (დასაწყისში – თუნდაც ცალმხრივი). თუ მართლაც გვინდა, რომ აფხაზეთმა ჩვენი მედიცინის, განათლების და სხვა სიკეთეებით ისარგებლონ (სწორედ ეთნიკურმა აფხაზეთმა და არა მხოლოდ გალეღმა ქართველებმა), რატომ არ უნდა მივცეთ მათ ამის შესაძლებლობა საკუთარი (აფხაზური) საბუთების საფუძველზე? რატომ არ უნდა მივცეთ მათ საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილების ლეგალური შესაძლებლობა საკუთარი დოკუმენტებით, საკუთარი ავტომანქანებით, რომლებსაც აფხაზური სანომრე ნიშნები ექნება? ნუთუ საბუთი მართლაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანი? ადამიანი, რომლის ჩვენს სივრცეში დაბრუნება გვინდა?

სულ ბოლოს – ორიოდ სიტყვა ჩრდილოკავკასიურ ფაქტორზე. ომისშემდგომი ქართული პოლიტიკა ამ მიმართულებით (მანამდე, თუმცაღა, ასეთი რამ საერთოდ არ არსებობდა ოფიციალური თბილისის არსენალში) საკმაოდ გამომწვევი და აგრესიულიც კია. ფლირტი ჩერქეზებთან, ასუსტებს რა ტრადიციულ აფხაზურ-ადილეურ ბმებს მოკლევადიან პერსპექტივაში, პოტენციურად კვებავს აფხაზურ-ადილეური ერთობის იდეას ჩერქეზული ნაციონალური პროექტის (გენოციდის აღიარებიდან – გაერთიანების გზით – დამოუკიდებლობისაკენ) რეალიზების შემთხვევაში. ასე აფხაზეთს კიდევ ერთი პრეტენდენტი შეიძლება გამოუჩნდეს (ამ თემას მივუძღვენი წერილი „საქართველოს მიერ ჩერქეზთა გენოციდის აღიარება ქართულ-აფხაზურ-რუსული ურთიერთობების კონტექსტში“). უფრო ზოგადად კი პოლიტიკის აგება იმაზე, რომ რუსეთი, სადაცაა, დაიშლება, დაიქცევა და აღიგება პირისაგან მიწისა და ყველა ჩვენი პრობლემაც უმაღვე მოგვარდება, სხვა არაფერია, თუ არა ინფანტილიზმი. იმედი (და ხელშეწყობაც!) იმისა, რომ რუსეთს ჩრდილო კავკასია აუფეთქდება და ჩვენ ამით ვიხიერებთ – გულუბრყვილობაა; ქაოსი მთელ ჩვენს ჩრდილო საზღვარზე კარგს არაფერს გვიქადის. ■

აფხაზეთი

# ხონსხაბანდუი ხავეშიხები

აფხაზეთის ბაზრები სავსეა საქართველოდან შემოტანილი კონტრაბანდული საქონლით. შეძლებს თუ არა ანქვაბი ენგურზე სიტუაციის დარეგულირებას?

## ინალ ხაშიგი

ჩახვეული მუსიკალური ფირფიტის მსგავსად, ერთსა და იმავე ნოტზე ბორძიკი ძალიან სარისკო საქმეა. რაც უნდა შესანიშნავი სიმღერა იყოს, ფირფიტების საკრავის დეფორმაციას დღესასწაულის ერთხელ და სამუდამოდ ჩაშლა შეუძლია. ადრე თუ გვიან ჩახვეული მუსიკა აუცილებლად მობეზრდება „პატეფონის“ მფლობელს. ამ დროს კი მესაკუთრე ან ფირფიტას ცვლის, ან საკრავის შეკეთებას ცდილობს.

ომის შემდეგომ წლებში საკმარისი იყო ვინმეს გულბრყვილობით საქართველოს მხრიდან კონტრაბანდის ლეგალიზაციის იდეა გამოეთქვა, რომ ხელისუფლება იმავე წამს მორალური ღირებულებების მქადაგებლის როლს ირგებდა: „მანამ საქართველო არ გვაღიარებს, მტრებთან ვაჭრობა არ გვექნება!“

კონტრაბანდისტებს ასეთი მიდგომა მხოლოდ ახარებდათ. სახელისუფლებო გარანტიების წყალობით, მალე მათი ბიზნესები ისეთ მასშტაბებზე გავიდა, რომ დღეს რთულია სოხუმის საკოლმეურნეო ბაზარში ქართულ ხილს ან ბოსტნეულს არ წაანყდე, ავეჯის მაღაზიაში - თბილისიდან იმპორტირებულ საძინებელს, დიდი აფხაზური ქორნილი კი ზუგდიდური ინდაურის და კახური ღვინის გარეშე, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

რაც მთავარია, ოფიციალური სოხუმის ასეთი მიდგომა არა მარტო კონტრაბანდისტებს, არამედ საქართველოს ხელისუფლებასაც აწყობდა. ტვირთების საბაჟო გაფორმების არარსებობა და ენგურზე მათი შეუფერხებელი გატარება სრულიად შეესაბამება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის კონცეფციას. თბილისი ხომ აფხაზეთს დღემდე საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევს.

ამასობაში კი, ალურიცხავი ტვირთი,


რომელმაც აფხაზეთის ბაზრები გაავსო, არა მარტო კორუფციას უწყობდა ხელს, არამედ დიდ ადამიანურ მსხვერპლთანაც იყო დაკავშირებული. გალის რაიონში სისხლიანი დაპირისპირებები ხშირ შემთხვევაში კონტრაბანდზე კონტროლის მოსაპოვებლად გამართული ბრძოლის მანიშნებელი იყო.

**■ დღეს რთულია სოხუმის საკოლმეურნეო ბაზარში ქართულ ხილს ან ბოსტნეულს არ წაანყდე, ავეჯის მაღაზიაში – თბილისიდან იმპორტირებულ საძინებელს, დიდი აფხაზური ქორნილი კი ზუგდიდური ინდაურის და კახური ღვინის გარეშე, უბრალოდ, წარმოუდგენელია.**

მნიშვნელოვანი პერსონების ფუჭი საუბრები, რომ საზღვრის მონეობით არალეგალურ ვაჭრობას მოეღებოდა ბოლო, ილუზია აღმოჩნდა. საზღვარზე რუსების გამოჩენას არანაირი გავლენა არ მოუხდენია კონტრაბანდის ნაკადებზე. პირიქით, ახლა ენგურზე ნებისმიერი გადასვლა კარგად ორგანიზებულ სავაჭრო კორიდორს დაემსგავსა. მთლიანობაში, „ყარაულის“ შეცვლის შემდეგაც, ლოზუნგი „არანაირი ვაჭრობა“ შენარჩუნდა. სხვათა შორის, თავად ვაჭრების მტკიცებით, ყველაზე უსაფრთხო მესაზღვრეების საგუშაგოების მიმდებარე გზებია. აქ გასვლის ტარიფიც მყარია და ერთი „სარკმლის“

ნესიც გარანტირებულად მოქმედებს. არანაირი გაუთვალისწინებელი ხარჯი აქ არ არის მოსალოდნელი. ქარავნები მიდიან და მიდიან.

ერთი ჩემი ამხანაგი (ის სამართალდამცავ სტრუქტურებში მუშაობს), რომელიც კარგად არის გარკვეული ამ სიტუაციაში, ზუმრობს: „ღმერთმა დაგვიფაროს საზღვარი ერთი კვირით გადაიკეტოს, თორე ქვეყანაში სავაჭრო კრიზისი შეიქმნება.“ თუმცა ამ იდეის განხორციელება არავის არასდროს არც ჰქონია დაგეგმილი. ამ კონტრაბანდით პურის ფულს ხომ არა მხოლოდ „ვაჭრები“, არამედ ამ სავაჭრო კორიდორების „მფარველებიც“ აკეთებენ. ეს უკანასკნელნი ყველაზე მეტადაც კი ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოსთან ვაჭრობის ლეგალიზაციას. ეს ამაღ ღირდა. ფული, რომელიც შესაძლოა სახელმწიფოს შესვლოდა, ამ „პატრიოტების“ ჯიბეებში გროვდებოდა. თუმცა, როგორც ჩანს, ეს ბიზნესი სერიოზული გამოცდის წინ დგას.

გასულ კვირას პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა საქართველოდან იმპორტირებული ტვირთების ლეგალიზაციის საკითხი დააყენა. მან ტვირთების შესაბამისი გაფორმების სისტემის და საბაჟო გადასახადის დანესების პირობა დადო. კონტრაბანდის აისბერგს ანქვაბი ცეცხლს უნთებს. თუმცა ეს ალბათ ამ ოპერტიდან იქნება – როდესაც რაიმეზე გავლენას ვერ ახდენ, სჯობს მას სათავეში ჩაუდგე. 



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.





ბთავაზოვთ სემინარს თემაზე

**ქართულ ორგანიზაციებში  
ყველაზე მეტად გავრცელებული  
შიდა პრობლემები, რომლებიც ხელს  
უშლიან ზრდას და მათი  
დაკლავის გზები**

სემინარი განკუთვნილია საშუალო და დიდი ორგანიზაციების  
მაღალი რანგის მენეჯერებისთვის

**2012 წლის 27 იანვარი**

ტელ (995 322) 945369 | (995 322) 253830  
[www.synergy.ge](http://www.synergy.ge)



მსოფლიო  
2011 წელს

ნანა საჯვია

ფოტო: დარიუს სპილვეტი / REUTERS



**მინისძვრა იაპონიაში**

11 მარტს იაპონიაში მომხდარ მინისძვრას, რომელსაც ოფიციალური მონაცემებით, 16 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, დასავლურმა მედიამ იაპონიის 9/11 უწოდა.

9 ბალანი მინისძვრების სერია მსოფლიოს მინისძვრების ისტორიაში ხუთ ყველაზე მძლავრ მინისძვრას შორის მოხვდა.

იაპონიის პოლიციის ეროვნული სააგენტოს მიხედვით, სტიქიის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ 16 ათასს მიაღწია, 6 ათასამდე ადამიანი დაშავდა და 4 ათასამდე ადამიანი დაკარგულად გამოცხადდა. ოთხნახევარი მოქალაქე ელექტროენერჯის, მილიონნახევარი კი წყლის გარეშე დარჩა. სრულად განადგურდა და დაზიანდა 125 ათასი შენობა-ნაგებობა.

11 მარტის კატასტროფა იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ნატო კანმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდ კრიზისად შეაფასა.

ჰიროსიმაში წარსულის მოგონებები ატომურ ელექტროსადგურ ფუკუშიმა 1-ის რეაქტორების აფეთქებებმა კიდევ უფრო გაამძაფრა. ფუკუშიმა 1-ზე მომხდარ ავარიას სირთულით მეექვსე კატეგორიას მიაკუთვნებენ, მაშინ, როცა 1986 წელს ჩერნობილის ატომურ სადგურზე მომხდარი ავარია ყველაზე რთული, მეშვიდე კატეგორიის იყო.

**არაბული გაზაფხული**

დაახლოებით ერთი წლის წინ 26 წლის მუჰამედ ბუაზიზი ტუნისის ერთ-ერთ ქალაქში ხილისა და ბოსტნეულის გაყიდვით ირჩენდა თავს. ქვრივი დედისა და 6 დედ-მამიშვილის ერთადერთ მარჩენალს პოლიციამ ვაჭრობის ნებართვა

არ მისცა და საკუთარი ურიკის აღება მოსთხოვა. მას შემდეგ რაც ბუაზიზი არ დაემორჩილა, პოლიციელმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

საჯაროდ შეურაცხყოფილმა და გაჭირვებისგან სასონარკვეთილმა მუჰამედმა მერიის წინ თავი დაიწვა, რასაც მასობრივი გამოსვლები და საზოგადოების აქტიურობა მოჰყვა, შედეგად კი ტუნისში ზინე ბენ ალის მთავრობა დაემხო.

სამოქალაქო აქტიურობის ტალღა ლიბიასა და ეგვიპტეზეც გავრცელდა. 25 იანვარს დაიწყო გამოსვლები ეგვიპტეში. მთავრობა დემონსტრანტების დასაშლელად ძალის გამოყენებას არ მორიდებია, შედეგად გარდაიცვალა რამდენიმე ასეული და დაშავდა რამდენიმე ათასი გამომსვლელი. 11 თებერვალს, მას შემდეგ რაც ჯარის ნაწილი მომიტინგეთა მხარეს გადავიდა, ეგვიპტის 30 წლიანი სტაჟის მქონე მმართველი ჰოსნი მუბარაქი გადადგა.

ტუნისის რევოლუციის გამარჯვების პათოსი გადამდები აღმოჩნდა ლიბიისთვისაც. ქვეყანაში, რომელსაც მუამარ ალ-კადაფი 42 წლის მანძილზე მართავდა, გამოსვლები სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ვითარება ისე გა-



მწვავდა, რომ საერთაშორისო ძალები ლიბიის სამოქალაქო ომში ჩაერთვნენ. აჯანყებულებმა ოქტომბრის ბოლოს კადაფი ტყვედ ჩაიგდეს და სასტიკად გაუსწორდნენ.

მოქალაქეები კორუფციას, არაეფექტურ მმართველობასა და ეკონომიკურ გაჭირვებას სირიაში, ბაჰრეინსა და იემენშიც აპროტესტებდნენ. მედიამ ამ რევოლუციებს და გამოსვლებს „არაბული გაზაფხული“ უწოდა.

**ტერაქტი უტოიაზე**

2011 წლის 22 ივლისს მსოფლიო ნორვეგიაში მომხდარმა ტრაგედიამ გააოგნა. ქვეყანაში, რომელიც სიმშვიდის შეუდარებელი დონით გამოირჩეოდა, ტერაქტი მოხდა. მემარცხენე ახალგაზრდების საზაფხულო ბანაკში, სადაც მონაწილეები სხვადასხვა ქვეყნიდან იყვნენ ჩასულები, 32 წლის



ანდერს ბრეივიკმა 69 ბავშვი მოკლა. მათ შორის საქართველოს მოქალაქე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა სოციალისტების“ ერთ-ერთი წევრი, ქუთაისელი თამთა ლიპარტელიანიც იყო.

პოლიციისთვის კვალის ასაბნევედ მან ტერაქტი ჯერ ოსლოს ცენტრში, პრემიერ-მინისტრის ოფისთან მოაწყო, შემდეგ კი კუნძულ უტოიაზე, ახალგაზრდულ ბანაკში გაემართა.

პოლიციის ფორმაში გადაცმული ბრეივიკი ბავშვებს ჯერ როგორც პოლიციელი ისე ხვდებოდა, შემდეგ კი სასტიკად უსწორდებოდა.

დამოკილი მსოფლიო ტერორისტის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე საუბრობდა. ფსიქიატრები მას სრულიად ჯანმრთელად მიიჩნევდნენ და აღნიშნავდნენ, რომ ფსიქიკურად არაჯანსაღის კვალობაზე ბრეივიკს ზედმეტად ზუსტად და კარგად ჰქონდა ყველა ნაბიჯი გათვლილი – ის ევროპას მუსლიმთა მიგრაციისგან იცავდა.

ხმაურიანი იყო მისი სასამართლო პროცესიც, მას მთელი მსოფლიო აკვირდებოდა. მაქსიმალური ვადა, რაც მას ნორვეგიის ჰუმანურმა სასამართლომ შეიძლება შეუფარდოს, თავისუფლების 21 წლით შეზღუდვაა.

## საბერძნეთის კრიზისი



წელს საბერძნეთის საგარეო ვალს კრიზისულ მაჩვენებელს გაუტოლდა, რამაც საფრთხის წინაშე მთელი ევროზონა დააყენა. საბერძნეთის ვალმა ევროზონის 4 პროცენტი შეადგინა. კრიზისის საპასუხოდ ევროკავშირის ლიდერებმა ევროზონაში ანტიკრიზისული ზომების გატარება გადანყვიტეს, რომლის ფარგლებშიც საბერძნეთს ვალის 50 პროცენტი ჩამოაწერეს და 130 მილიარდი დოლარის დახმარება გამოუყვეს.

სანაცვლოდ საბერძნეთის მთავრობა გამოვიდა დაპირებით, რომ გაზრდილ საბიუჯეტო დეფიციტს შეამცირებს, 2015 წლამდე 50 მილიარდი ევროს ოდენობის სახელმწიფო ქონებას გაყიდის და მკაცრად დაიცავს საბიუჯეტო ხელმომჭირნეობის პოლიტიკას, რომელიც გადასახადების გაზრდასთან ერთად ხელფასების და პენსიების 20 პროცენტით შემცირებას ითვალისწინებს. ამ პოლიტიკამ 17-პროცენტის უმუშევრობის და გაზრდილი გადასახადების ფონზე მოსახლეობის მწვავე უკმაყოფილება გამოიწვია.

საბერძნეთში პარლამენტის მიერ ანტიკრიზისული გეგმის დამტკიცება, გაფიცვების, მასობრივი აქციების და შეტაკებების ფონზე მიმდინარეობდა. 100 ათასამდე დემონსტრანტმა ათენის ქუჩები დაარბია, პოლიციას ქვები დაუშინა. მასშტაბური აქციის შედეგად ასამდე მოქალაქე და პოლიციელი დაზარალდა.

## ოსამა ბინ ლადენის ლიკვიდაცია

2011 წლის 2 მაისს აშშ-ის სამხედრო ძალებმა პაკისტანში მსოფლიოს

ყველაზე ცნობილი ტერორისტი, ოსამა ბინ ლადენი მოკლეს. 54 წლის ტერორისტს სამ კონტინენტზე მომხდარ ტერორისტულ აქტებში ადანაშაულებდნენ. მასზე შეერთებული შტატების მიერ ყველაზე ფართომასშტაბიანი ძებნა იყო გამოცხადებული. აშშ მას თითქმის 10 წლის განმავლობაში ეძებდა.

ოსამა ბინ ლადენი საუდის არაბეთის სამშენებლო მაგნატის ოჯახში დაიბადა. ის საუდის არაბეთის პრივილეგირებულ წრეს ეკუთვნოდა. გასული საუკუნის 80-იან წლებში ბინ ლადენმა ოჯახური სახსრები საკუთარი სამხედრო შენაერთის შესაქმნელად გამოიყენა და დაჯგუფებას „ალ ქაიდა“ დაარქვა, რაც არაბულად „საფუძველს“ ნიშნავს.

2001 წელს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონზე ტერორისტული თავდასხმების შემდეგ, რამაც 3,000-ზე მეტი სიცოცხლე შეინირა, ბინ ლადენის ფიზიკური განადგურება შეერთებული შტატების უმთავრესი პრიორიტეტი გახდა.

როცა თალიბების ლიდერებმა შეერთებულ შტატებს „ალ ქაიდას“ ლიდერი არ გადასცეს, ვაშინგტონმა მათ ომი გამოუცხადა. შედეგად 2001 წლის დეკემბერში კოალიციურმა ძალებმა



თალიბები დაამარცხეს და ოსამა ბინ ლადენი მიიმალა.

მიმალვაში ყოფნისას ბინ ლადენმა აუდიო გზავნილების რამდენიმე სერია გაავრცელა.

## WIKILEAKS

2010-ის 28 ნოემბერს „ვიკილიქსმა“ და ხუთი ქვეყნის – ესპანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთ-

ბული შტატების, მთავარმა გაზეთებმა კონფიდენციალური მასალების გამოქვეყნება დაიწყეს. მასალები მსოფლიოს მასშტაბით აშშ-ის 274 საელჩოს დიპლომატების მიმონერას ეხებოდა. ასე დაიწყო ამბავი, რომელ-



საც მედიამ მსოფლიო დიპლომატიის 9/11 უწოდა.

დიპლომატიის გამოქვეყნებული მიმონერა უამრავ გაუფრთხილებელ კომენტარსა და შეფასებას შეიცავდა: ქვეყნების მთავრობების კრიტიკას, პოლიტიკური კლიმატის შეცვლას, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის შესახებ დისკუსიებს, რეზოლუციებს და ა.შ. მსოფლიო დიპლომატიურ შოკში იყო.

დიპლომატიურ სკანდალს „ვიკილიქსის“ დამფუძნებლის, ჟულიან ასანჟის მიმართ წაყენებული ბრალდებაც ამბავებდა. მას ორი უცნობი შვედი ქალბატონი სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებდა. ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი ასანჟი ბრიტანელ პოლიციელებს თავად ჩაბარდა.

ამ სკანდალმა საფრთხე თავად „ვიკილიქსის“ საქმიანობას შეუქმნა. ის არაკომერციული ორგანიზაციაა და შემოწირულობების საშუალებით არსებობს. ორგანიზაციებმა Bank Of America-მ, Pay-Pal-მა და MasterCard-მა ის ანგარიშები დახურეს, რომლითაც „ვიკილიქსს“ შემოწირულობები ერიცხებოდა.

„სიმართლით უნდა დაიწყო. სიმართლე ერთადერთია, რომლის დახმარებითაც რამის გაკეთება შეიძლება. ტყუილზე დაფუძნებული ნებისმიერი გადანყვეტილება შეუძლებელია, კარგი გადანყვეტილება იყოს,“ – ამბობს ასანჟი.

მოძრაობა „დაიკავე“



მოძრაობა „დაიკავე“ 2011 წლის 17 სექტემბერს ნიუ-იორკში დაიწყო. მოძრაობის ინიციატორია არაკომერციული ჯგუფი „ედბასტერსი“, რომელიც თავის თავს ხელოვანების, მსახიობების, მწერლების და სტუდენტების კავშირად მიიჩნევს და მიზნად ინფორმაციულ ერაში ახალი სოციალური აქტივიზმის ლობირებას ისახავს.

მოძრაობა მემარცხენე ღირებულებებზეა ორიენტირებული და სოციალურ უთანასწორობასა და დასავლეთის ქვეყნების მთავრობების ეკონომიკურ კურსს აპროტესტებს. ისინი ეკონომიკის პოლიტიკაში მასშტაბურ, სტრატეგიულ ცვლილებებს მოითხოვენ.

„ჩვენ 99% ვართ“ – ამ ლოზუნგით „დაიკავე“ მოძრაობის მონაწილეები ცდილობენ მთავრობებისა და ფინანსური კორპორაციების მიერ ხალხის ფართო მასების იგნორირება და ეკონომიკური ექსპანსია წარმოაჩინონ. მოძრაობის პირველი აქცია „დაიკავე უოლ-სტრიტი“ ნიუ-იორკში, ბანკებისა და საფონდო ბირჟების მთავარ ქუჩაზე, უოლ-სტრიტზე გაიმართა. ორი კვირის განმავლობაში ერთდროულად მსოფლიოს 82 ქვეყანაში 95 საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციებს ცნობილი მსახიობები და მწერლები შეუერთდნენ. 9 ოქტომბერს ნიუ-იორკში კომუნისტი ინტელექტუალი, სლავოი ჟიჟეკი ჩავიდა და აქციას შეუერთდა.

ამჟამად „დაიკავე“ აქციები აღარ მიმდინარეობს, თუმცა მოძრაობა არ დაშლილა, მისი მონაწილეები პროტესტის გამობატვას და გარემოს საკუთარი ინტერესებისა და შეხედულებებისამებრ შეცვლას სამომავლოდაც გეგმავენ.

„რუსეთის ბაზაფხული“

მოსკოვში საპროტესტო აქციები 5 დეკემბერს დაიწყო, რასაც წინ სახელმწიფო დუმის არჩევნები უძღოდა.

არჩევნების მიხედვით, მმართველმა პარტიამ, „იედინაია როსიამ“ ისევ საპარლამენტო უმრავლესობა შეინარჩუნა და ხმების 49% დააგროვა. პარლამენტში „იედინაია როსიას“ გარდა მხოლოდ სამი პარტია – „რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტია“, „სამართლიანი რუსეთი“ და „რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტია“ მოხვდა.

5 დეკემბერს „ჩისტეი პრუდი“-სთან 6 ათასამდე ადამიანი შეგროვდა, ხელისუფლება არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულა და შედეგების გაუქმება მოითხოვა. აქციები რამდენიმე დღეს პერმანენტულად გრძელდებოდა. 70-მდე ადამიანი აქციების პირველივე დღეებში დააკავეს, თუმცა პროტესტი არ ჩამცხრალა.



10 დეკემბერს „ბალოტნიას“ მოედანზე 25 ათასამდე მოქალაქე შეიკრიბა და ისევ მოითხოვა არჩევნების შედეგების გადახედვა. 11 დეკემბერს პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა „ფეისბუქზე“ განაცხადა, რომ აქციის მონაწილეებს არ ეთანხმება, თუმცა არჩევნების შედეგების გადასინჯვას შესაბამის ორგანოებს დაავალბდა.

შემდეგი მასშტაბური მიტინგი 24 დეკემბერს გაიმართა და პროტესტს



გამოიწერეთ  
ჟურნალი  
„ლიბერალი“



გიილათ თქვენი  
ჟურნალი  
ყოველ ხუთშაბათს  
თქვენთვის  
სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა  
დარეკეთ:  
2962311, 2910151 პრეს-ექსპრესი  
08:00-16:00 სთ.

რუსეთის რეგიონებიც შეუერთდნენ. მიტინგს პრემიერ-მინისტრი, ვლადიმირ პუტინიც გამოეხმაურა. პუტინის თქმით, არჩევნების შედეგების გადახედვა შეუძლებელია, თუმცა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის კონტროლს გაამკაცრებენ, რადგან „ზოგიერთი პირი და ორგანიზაცია“ რუსეთის ფედერაციაში ჩატარებული არჩევნების დელეგირებულობის ცდილობს.

სოციოლოგები და პოლიტოლოგები რუსეთის აქციებს „არაბულ გაზაფხულს“ ადარებენ და მიიჩნევენ რომ ეს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერა კი არა, ხალხიდან წამოსული პროტესტია, რომელიც მძიმე სოციალური ფონითა და ადამიანთა უფლებების იგნორირებითაა გამოწვეული.

## წლის ადამიანური დანახარები...



2011 წელს მსოფლიომ რამდენიმე მნიშვნელოვანი ადამიანი დაკარგა:

სტივ ჯობსი – 5 ოქტომბერს 56 წლის ასაკში Apple-ის იმპერიის შემოქმედი, სტივ ჯობსი გარდაიცვალა. ჯობსმა „ეფლის“ კომპიუტერზე მუშაობა თავის მეგობარ, სტივენ ვოზნიაკთან ერთად 1974 წელს დაიწყო. საბოლოოდ კი მსოფლიომ სავსებით განსხვავებული, მარტივი ტექნოლოგიების სამყარო მიიღო. სტივ ჯობსი თანამედროვე წარმატებული ბიზნესმენის იდეალია, რომელსაც ნოვატორობის გამო ჰენრი ფორდისა და თომას ედისონის გვერდით აყენებენ.

ემი ვინაუსი – 23 ივლისს მსოფლიომ ძლიერი კონტრალტო ვოკალი – ემი ჯეიდ ვინაუსი დაკარგა. ბრიტანე-

ლი მომღერალი ნანარმოებებს სოულის, ჯაზისა და რიტმ-ენდ-ბლუზის ჟანრში წერდა და ასრულებდა. ემი 27 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი სიკვდილის მიზეზად სისხლში ალკოჰოლის გადაჭარბებულ რაოდენობას ასახელებენ. მომღერალი ალკოჰოლს მას შემდეგ მიეძალა, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ნარკოტიკებზე უარი თქვა.

ვაცლავ ჰაველი – 18 დეკემბერს ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი, პოეტი, ესეისტი და დრამატურგი, ვაცლავ ჰაველი გარდაიცვალა. ჰაველი აქტიური დისიდენტი იყო, დიდი როლი ითამაშა ჩეხოსლოვაკიის დაშლასა და ჩეხეთის დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში. სწორედ ის იყო 1989 წლის ხვერდოვანი რევოლუციის სათავეში. ჰაველის სახელი მსოფლიოში მშვიდობის, კეთილდღეობისა და პროგრესის ასოციაციებს იწვევს.

სეზარია ევორა – 17 დეკემბერს კაბო-ვერდეში „ფეხშიშველა დივა“, სეზარია ევორა გარდაიცვალა. ის სიმღერებს პორტუგალიურ კრეოლურ დიალექტზე, მწვანე კონცხის კუნძულებისთვის დამახასიათებელ ფოლკლორულ მოტივებზე ასრულებდა. სცენაზე ფეხშიშველა გამოსვლით ის კაბო-ვერდელებს სილატაკის გამო თანაუგრძნობდა.

კიმ ჩენ ირი – 17 დეკემბერს ჩრდილოეთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი და ერთპიროვნული მმართველი 69 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა. ირის გარდაცვალებამ მოსახლეობა პანიკაში ჩააგდო. სტალინის სიკვდილის მსგავსად, სახელმწიფო სტრუქტურები, საჯარო ორგანიზაციები თუ მოქალაქეები საყოველთაო მწუხარებას გამოხატავდნენ. კიმ ჩენ ირი ქვეყანას 1994 წლიდან მართავდა, მან ხელი-სუფლლება მამისგან, კიმ ირ სენისგან მიიღო, ხოლო თავისი მემკვიდრის რანგში სიკვდილამდე ორი წლით ადრე საკუთარი ვაჟიშვილი წარადგინა.

## სამეფო ძორნილი

პრინცესა დაიანასა და პრინც ჩარლზის ქორნილის შემდეგ, წელს, მსო-



ფლიომ მეორედ იხილა ასეთივე პომპეზური და სადღესასწაულო სანახობა. 29 აპრილს მათი 30 წლის შვილი, პრინცი უილიამი და მისი თანაკურსელი, ქეთი მიდლტონი დაქორწინდნენ.

დიდ ბრიტანეთში ქორნილის დღე სახელმწიფო დღესასწაულად გამოცხადდა, მთელ მსოფლიოში კი, პირდაპირი ტრანსლაციის საშუალებით საქორწილო ცერემონიას ორი მილიარდი ადამიანი ადევნებდა თვალს.

მიდლტონს დიზაინერ ალექსანდრე მაკუეინის 270 სანტიმეტრი სიგრძის შლეიფიანი კაბა ეცვა და დედოფლის მიერ ნაჩუქარი დიადემა ეკეთა. პრინცი უილიამი მისი საპატოო ნოდების, ირლანდიური გვარდიის პოლკოვნიკის ფორმაში იყო გამოწყობილი. საქორწილო მანქანას მისი ძმა, პრინცი ჰარი მართავდა. მიდლტონის მეჯვარე კი, მისი და, პიპა იყო.

ქეთი მიდლტონი წარმომავლობით არისტოკრატიული ოჯახიდან არ არის. საქორწილო ცერემონიის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე დედოფალმა უილიამს კემბრიჯის ჰერცოგის ნოდება უბოძა. ქორნილის შემდეგ მიდლტონი იქცა „მის უდიდებულესობა კემბრიჯის ჰერცოგინიად,“ მაგრამ „პრინცესა ქეთრინი“-ს ნოდება არ მიუღია.


ქორნილის ბიუჯეტმა 68 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ბრიტანეთის ტურისტული სააგენტოს გათვლით, ქორწილი რამდენიმე წელიწადი დამატებით 4 მილიონ ტურისტს მიიზიდავს ბრიტანეთში. ■

## მასალაზე მუშაობდნენ:

თინა ყიფშიძე, ანი ჭანკოტაძე, თათია ხალიანი, თამარ ფარადაშვილი .

# სანახოთვადო 2011 წელს

წლის მნიშვნელოვანი მოვლენები



იანვარი 2011

# დევიდების ბანსახების ჰიოსასი

თინა ყიფშიძე



ფოტო გარია ბერიძისგან

დევიდი სოფელ ფოცხო-ენერში

**2011 წლის** იანვარში თბილისში 25-მდე კომპაქტურად ჩასახლებული ადგილი დევიდთა 600-მდე ოჯახმა დატოვა. დევიდებისთვის, რომლებიც წლების მანძილზე უკვე შეეჩვივნენ ახალ საცხოვრებელ ადგილს, განსახლება ხელახალი დევიდობის ტოლფასი აღმოჩნდა. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო მათ ბაკურციხეში, ფოცხო-ენერში, ლესიჭინეში, ჭკადუაში, ნარაზენსა და აბაშისპირში საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფას გეგმავდა. ხელისუფლების ამ შეთავაზებას

დევიდთა მხოლოდ მცირე ნაწილი დათანხმდა, რადგან მათი თქმით, იმ ადგილებში არ იყო ელემენტარული საცხოვრებელი პირობები, მაგალითად საავადმყოფო, წყალგაყვანილობის სისტემა და რაც მთავარია, დასაქმების პერსპექტივა. მტივირებული და ხმაურიანი იყო დევიდთა გამოსახლების ყველა ეტაპი. დევიდები მართავდნენ აქციებს, თვეების განმავლობაში ღამეებს ათევენდნენ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ეზოში. აქციები იმართე-

ბოდა პარლამენტთანაც. ისინი ხელისუფლებისგან კომპენსაციას და ღირსეულ მოპყრობას ითხოვდნენ. განსახლების პირველი ტალღის დროს დევიდები საკუთარ ავეჯთან ერთად სატვირთო ავტომანქანებით გადაჰყავდათ. პირველ ტალღას მოჰყვა გამოსახლების მეორე და მესამე ნაკადიც. 204-ე ბაგა-ბალიდან გამოსახლების დროს ერთმა ქალბატონმა ინსულტი მიიღო. დაახლოებით 200-მდე დევიდი სხვადასხვა ქვეყნის საელჩოს თავშესაფარიც სთხოვა.



დევენილთა გამოსახლებისას დაშვებულ ხარვეზებზე საუბრობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც.

„ზოგიერთ ობიექტზე ხელისუფლებამ ვერ მოახერხა დევნილების წინასწარ გაფრთხილება და ამ ადამიანების უფლებების უზრუნველყოფა, მათი გამოსახლების ფინანსური მხარდაჭერა და პროცესის სრული, შეუფერხებელი დაკვირვება“... „ხელისუფლებამ ყველა ოჯახისათვის ფინანსური დახმარების მიცემა მათ გამოსახლებამდე ვერ უზრუნველყო. სტანდარტული საოპერაციო პროცედურების 6.9.1 მუხლის მიხედვით, გამოსახლება არ უნდა განხორციელდეს, თუ ყველა ადამიანი, ვინც ფინანსური დახმარების მოლოდინშია, ფიზიკურად არ მიიღებდა თანხას 10 სამუშაო დღის განმავლობაში“, – აღნიშნავდა Amnesty International-ი.

რაც შეეხება სახალხო დამცველის შეფასებებს, მის ანგარიშში ყურადღება საცხოვრებლად არაადეკვატურ გარემოზე იყო გამახვილებული:

„ოჯახი, რომელიც ცხოვრობს ფოცხო-ენერში მედიკამენტების საყიდლად უნდა გადავიდეს დასახლება ჯვარში, რადგან აფთიაქი ფოცხო-ენერში არ არსებობს.

აბაშისპირში, ბავშვებმა ფეხით დაახლოებით ორი კილომეტრი უნდა იარონ, რადგან სოფელში სკოლა არ არის. სოფელ თორსა-დღვებაში და აბაშისპირში პრობლემაა სასმელი წყლით მომარაგება“.

2011 წლის ოქტომბერში ლტოლვილთა მინისტრმა კობა სუბელიანმა და პრეზიდენტმა ფოთში დევნილებისათვის ახალი კომპაქტური დასახლება გახსნეს. ამ დასახლებაში, რომლის მშენებლობაც დაახლოებით 30 მილიონი ლარი დაჯდა, დასავლეთ საქართველოში მცხოვრები დევნილების ჩასახლება იგეგმება. თუმცა კვლავ გაურკვეველია, როგორ შეუწყობს ხელს სახელმწიფო ამ დასახლებაში მცხოვრებ დევნილებს გარემოსთან ინტეგრაციაში.

**კომენტარი**

**ღიმიტრი ზვიადაძე**  
 ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო  
 იურიდიული დახმარების პროგრამის მენეჯერი

სწორი არ იქნებოდა, უვარგისად შეგვეფასებინა დევნილებისთვის აშენებული, გარემონტებული და მათთვის გადაცემული საცხოვრებელი ფართები, იქნება ეს მალთაყვას დასახლებაში (ფოთი) არსებული კორპუსები, კოტეჯური ტიპის ინდივიდუალური სახლების დასახლებები (მაგ. ნეროვანი) თუ რეაბილიტირებული კომპაქტური ჩასახლებები. მიუხედავად არაერთი ტექნიკური ხარვეზისა, უნდა გავითვალისწინოთ, თუ რას ვაძარებთ ამ ახალ საცხოვრებელ ფართებს. იმ ძველ კომპაქტურ ჩასახლებებთან შედარებით, ასეთი მასშტაბური განსახლების პროგრამა დევნილებისათვის ნამდვილად უპრეცედენტოა.

დევნილებისთვის აშენებული თუ გარემონტებული საცხოვრებელი ფართების ტექნიკურ მდგომარეობაზე საუბრის ნაცვლად, რაშიც როგორც იურისტი ნამდვილად არ ვარ კომპეტენტური, მირჩევნია თქვენი ყურადღება გავამახვილო ამ ფართების სამართლებრივ მდგომარეობაზე. განსახლების პროგრამაში იგულისხმება დევნილებისთვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებაში დევნილების სრულფასოვან ინტეგრაციას. საკუთრებაში გადაცემა გულისხმობს ამ პროცესის სათანადო დოკუმენტირებას, რაც საბოლოოდ უნდა დასრულდეს გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციით საჯარო რეესტრში. დაახლოებით 28000 ოჯახიდან მხოლოდ დაახლოებით 7000 ოჯახს აქვს საკუთრების უფლება რეგისტრირებული გადაცემულ ქონებაზე. დევნილი ოჯახების უმრავლესობა ამ ფართებში ცხოვრობს ყოველგვარი საბუთის გარეშე, თუმცა ივარაუდება, რომ მათ „ახლო მომავალში“ ეს ფართები დაუკანონდებათ.

გადაცემული საცხოვრებელი ფართების დაკანონების საკითხი ჩვენ არაერთხელ დაგვიყენებია „ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა“

სამინისტროს წინაშე და გვეჯერა, რომ არ არსებობს ობიექტური მიზეზები, რომელთა გამოც საკუთრების რეგისტრაციის პროცესი შეიძლება შეფერხდეს.

როგორც უკვე აღვნიშნე, საკუთრების რეგისტრაცია გადაცემულ ქონებაზე აუცილებელი პირობაა ქონების სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ერთ-ერთი წინაპირობაა დევნილთა სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის. ვინაიდან, მხოლოდ მას შემდეგ, რაც დევნილები ოფიციალური „მესაკუთრეები“ გახდებიან, მათ შეეძლება ამ ქონების განკარგვა (მაგ: გაყიდვა, გაქირავება, იპოთეკით დატვირთვა და მისი გარანტიით კრედიტის აღება) და სრულფასოვანი მონაწილეობა ეკონომიკურ ურთიერთობებში.

**კომენტარი**

**მარინა აფრასიძე**  
 დევნილი, ბაკურციხე

როდესაც გადმოგვასახლეს, ცარიელი სახლი დაგვხვდა – ოთხი კედელი, წყალი და შუქი. მოგვიანებით გაზიც შემოიყვანეს. ფართი, როგორც სამოთახიანი, ისე გააფორმეს, რეალურად ოროთახიანია. ყველაზე მეტად ნესტი გვანუხებს, კედლები ძალიან სველდება.

ხუთსულიანი ოჯახი ვართ და ფართი არ გვყოფნის. სამინისტროს ვუთხარით, რომ ვინროდ ვართ, თუმცა მინცდამინც არ აქტიურობენ. სკოლა ახლოსაა, მაღაზიებიც და აფთიაქებიც არის. გული იმაზე მწყდება, რომ ყველასგან მონყვეტილები ვართ.

ყველაზე დიდი პრობლემა დასაქმების პერსპექტივის არარსებობა და ფართის სივინროვეა. ერთადერთი, შემოდგომაზე რთველში დავდიოდით, გაზაფხულზე მარწყვს ვაგროვებდით, ზამთარში კი სახლში ვართ. მუდმივი სამსახური და შემოსავლის წყარო არ ჩანს. როგორც ობლების პატრონი, სოციალურ დახმარებას ვიღებ. ადრე სამინისტროს მოჰქონდა პროდუქტები, თუმცა პროდუქტის მოტანა შეწყდა. კარგა ხანია, არ გამოჩენილან, სავარაუდოდ, ახალი წლისთვის მოვლენ. **☒**

აპრილი 2011

# სტუდენტური ბაზაფხუდი

სალომე ცეცხლაძე



**2011 წლის** პირველი ნახევარი სტუდენტური აქტივობით გამოირჩეოდა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 15 აპრილს სტუდენტების ნაწილმა სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენაზე სასწავლო მასალის ნაკლებობა გააპროტესტა. მათ საინიციატივო ჯგუფი „თარგმნე“ შექმნეს და სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმნა მოითხოვეს. საინიციატივო ჯგუფმა პროტესტები სტუდენტური თვითმმართველობის მიმართაც გამოთქვა, რომელიც მათი აზრით, არ ზრუნავს სტუდენტთა უფლებებზე. ორ ჯგუფს შორის დაპირისპირება ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა განათლების სისტემასა და უნივერსიტეტში არსებული პოლიტიკის, სტუდენტური თვითმმართველობის წინააღმდეგ მოძრაობა „ლაბორატორია 1918“ შექმნეს. მოძრაობაში თავიდან 30-მდე იყვნენ, დღეს 300-მდე წევრს ითვლიან. სტუდენტები ძირითად აქცენტს განათლების პრობლემებზე აკეთებენ, თუმცა სამოქალაქო აქტივობებშიც ჩაებნენ. 26 მაისის დარბევის შემდეგ ისინი პარლამენტთან გამართული სტუდენტური აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორები იყვნენ. გააპროტესტეს ფილ-

მის „ავგისტოს 5 დღის“ პრემიერის პომპეზურად აღნიშვნაც.

„ლაბორატორია 1918“-ის მიერ ორგანიზებულ აქციებს შორის ყველაზე ხმაურიანი უნივერსიტეტში სწავლის დაწყების დღეს გამართული აქცია აღმოჩნდა. პირველკურსელებისთვის სწავლის მისალოცად მისული რექტორისა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სიტყვით გამოსვლისას, ორგანიზაციის წევრებმა ტრანსპარანტები გაშალეს წარწერით: „წუ ატყუებთ სტუდენტებს!“ „განათლების რეფორმა ჩავარდა“, „ფასი მაღალი, ხარისხი დაბალი!“ „რეალური ავტონომია უნივერსიტეტს!“

**კომენტარი**

**მარინა მუსხალიშვილი**  
 არასამთავრობო ორგანიზაცია  
 „საზოგადოების კვლევის ცენტრის“  
 ხელმძღვანელი, პროფესორი

2011 წელს „ლაბორატორია 1918“-ის აქციები არ უნდა განვიხილოთ ვინრო – სტუდენტურ და ახალგაზრდულ – კონტექსტში. წელს ასპარეზზე გამოჩენილი

**კომენტარი**

**ლევან აბაშიძე**  
 სტუდენტი, „ლაბორატორია 1918“ - ის წევრი

სტუდენტები საზოგადოების ყველაზე ცოცხალი, დინამიკური და რეფორმატორულად განწყობილი ნაწილია. უცხოეთში ისინი პირველები რეაგირებენ პრობლემებზე. გვინდა, ჩვენც საზოგადოების ყველაზე ჯანსაღი და აქტიური ნაწილი ვიყოთ.

**ჩვენი სტუდენტური აქციები, ფაქტობრივად, გამოძახილია იმ მსოფლიო ტენდენციისა, რომელიც 2011 წელს გამოიკვეთა – „არაბული გაზაფხულიდან“ დაწყებული ჩილეს სტუდენტური გამოსვლებითა და „უოლსტრიტით“ დამთავრებული – ყველა ამ პროცესს ახალგაზრდები ედგნენ სათავეში.**

ახალგაზრდები გამოხატავენ იმ ღირებულებებს, ნაწილი არიან იმ მოძრაობის, რომელიც დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სულ უფრო ძლიერდება.

მათი ამგვარი გააქტიურება მიუთითებს, რომ მსოფლიო იცვლება. დამთავრდა პერიოდი, როცა ნეოლიბერალური იდეები ბატონობდა. ის ცხოვრების წესი, რომელიც ამ ახალგაზრდების მშობლებს ცხოვრებისეულ სტრატეგიებს კარნახობდა, ეკონომიკურმა კრიზისმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ის უფსკრული, რომელიც მისწრაფებებსა და რეალობას შორის გაჩნდა, პირველ რიგში აისახება ახალგაზრდობაზე, რომელიც ამ რეალობაში უნდა რეალიზდეს.

ჩვენთან სტუდენტური მოძრაობა შედარებით სუსტია, მაგრამ თანდათან იღვიძებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ახალგაზრდები ცვლიან მსოფლიოში ბევრ რამეს. ეს არის ოცდამეერთე საუკუნის ახალი ხედვები და ახალი მიდგომები. ეს არა მხოლოდ ახალგაზრდების, მთელი საზოგადოების განახლების პერსპექტივაა.

ახალგაზრდებს თვითრეალიზაციის შესაძლებლობა არ გვეძლევა. ვცდილობთ აქციებით, სხვადასხვა აქტივობებით ფუნდამენტურად შევცვალოთ არსებული რეალობა და მოვძებნოთ ალტერნატივები. ჩვენი სტუდენტური აქციები, ფაქტობრივად, გამოძახილია იმ მსოფლიო ტენდენციისა, რომელიც 2011 წელს გამოიკვეთა – „არაბული გაზაფხულიდან“ დაწყებული ჩილეს სტუდენტური გამოსვლებითა და „უოლსტრიტით“ დამთავრებული – ყველა ამ პროცესს ახალგაზრდები ედგნენ სათავეში.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ

სტუდენტები ძალიან პასიურები იყვნენ, „ლაბორატორია 1918“-მა კი პრეცედენტი შექმნა. ვაპირებთ, კიდევ უფრო გავაქტიურდეთ.

ძირითადად, განათლების საკითხებს ვაპროტესტებთ: განათლების ხარისხი, ხელმისაწვდომობა, უნივერსიტეტის ავტონომია, ადმინისტრაციისა და თვითმმართველობის საქმიანობა. ფაქტია, სახელმწიფოსთვის განათლება არაა პრიორიტეტი და ამ განხრით მიზერული თანხები იხარჯება. არადა, 21-ე საუკუნეში ყველაზე აქტუალური საკითხი ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკაა. სახელმწიფომ უნდა გააანალიზოს, რომ მსოფლიოში თავის დამკვიდრებას მხოლოდ განათლებული, მაღალკვალიფიციური კადრებით შევძლებთ.

საქართველოში ბევრს საუბრობენ არჩევანისა და სიტყვის თავისუფლებაზე. რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ დროს ყურადღების მიღმა რჩება ადამიანის ფუნდამენტური სოციალური და ეკონომიკური უფლებები – განათლების ხელმისაწვდომობა, ჯანდაცვა, დასაქმება, სოციალური პრობლემები. ეს საკითხები საზოგადოების დისკუსიის საგანი უნდა გახდეს. ხელისუფლებამ უნდა შეცვალოს პრიორიტეტები, მათ უნდა დაიცვან ხალხის ლეგიტიმური უფლებები და არა მცირერიცხოვანი გაბატონებული ჯგუფების ინტერესები. **ლ**




სტუდენტების საპროტესტო აქცია თსუ-ს წინ

ფოტო: ნატა ჩხინკელი

მაისი 2011

# 26 მაისის ახსიის დახბევა

თინა ყიფშიძე



ფოტო: სტრინგერი / REUTERS

თბილისი, 26 მაისი 2011

**2011 წლის** 26 მაისის ღამეს პარლამენტის შენობასთან პოლიციამ ნინო ბურჯანაძის მომხრეების აქცია წყლის ჭავლის, ცრემლსადენი გაზისა და რეზინის ხელკეტების გამოყენებით დაშალა. იმ ღამეს ერთი პოლიციელი გარდაიცვალა, მეორე დღეს კი პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიასთან ორი მიმიტინგის ცხედრები იპოვეს.

აქციის დარბევის შემდეგ წინასწარი დაკავების იზოლატორში რამდენიმე ათეული ადამიანი აღმოჩნდა. სახალხო დამცველი მათთან საუბრის შემდეგ აცხადებდა, რომ დაკავებულთა ნაწილი ნაცემი იყო. ზოგის თქმით, მათ დაზიანებები დაკავებამდე მიაყენეს. ზოგს კი დაკავების შემდეგ, იზოლატორში მიყვანამდე, დარბევიდან ერთი კვირის განმავლობაში დაკარგულად ითვლებოდა დაახლოებით 50 ადამიანი. მათ შორის იყვნენ აქციაზე მყოფი პოლიტიკოსებიც.

აქციის დარბევისას რამდენიმე ათეული ქართველი და უცხოელი ჟურნალისტი დაშავდა. ზოგიერთი მათგანი სპეცრაზმელებმა ცემეს, ზოგი მოინამლა, ან რეზინის ტყვია მოხვდა. ჟურნალისტებს წაართვეს ვიდეო და ფოტოაპარატები, მეხსიერების ბარათები, ტელეფონები, რამდენიმე მათგანი დააკავეს.

ინტერნეტში გაჩნდა ვიდეომასალები, სადაც კარგად გამოჩნდა, თუ როგორ უსწორდებოდნენ სამართალდამცავები მოქალაქეებს. გავრცელდა კადრები, სადაც ხელზე ბორკილებდადებული დასისხლიანებული ადამიანები თავისუფლების მოედანზე ივნენ და მათ სამარ-

თალდამცავები ფეხზე წამოდგომას უშლიდნენ.

აქციის დარბევას სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა. ის, რომ აქციის დაშლისას სამართალდამცავებმა მომიტინგეებზე არაადეკვატური ძალა იხმარეს, 26 მაისსვე აღნიშნეს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, უცხო ქვეყნების ელჩებმა საქართველოში. Amnesty International-ი, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისი, ამერიკის ელჩი საქართველოში ჯონ ბასი, ბრიტანეთის მინისტრი ევროპის საკითხებში დევიდ ლინდიგტონი, ეუთოს წარმომადგენელი მედიის საკითხებში დუნია მიატოიჩი, სახალხო დამცველი და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებდნენ, ძალის გადამეტების ფაქტები დეტალურად და სამართლიანად გამოეკვლია.

აქციის დაშლის დროს გადამეტებული ძალის გამოყენება გააპროტესტა საზოგადოების ნაწილმაც. 28 მაისს სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი, დაახლოებით 5 ათასამდე ადამიანი პარლამენტის წინ შეიკრიბა.

დაახლოებით 2 თვეში ძალის გადამეტების გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს 4 პოლიციელი, ჩამოაქვეითეს ერთი, სამმა სასტიკი საყვედური მიიღო, რვამ – საყვედური. 12 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ მზად არიან, ჟურნალისტებს წართმეული აპარატურა დაუბრუნონ.

26 მაისის აქციასთან დაკავშირებით სასამართლომ 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა დაუსწრებლად შეუფარდა ნინო ბურჯანაძის მეუღლეს, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილ შეფს, ბადრი ბინაძეს, რომელიც დღესაც იძებნება. ბინაძეს ბრალი პოლიციაზე თავდასხმის ორგანიზებაში დასდეს.

**კომენტარი**

**თაზო კუპრივილი**  
**„ნეტგაზეთის“ ჟურნალისტი**

26 მაისის ღამე ერთ-ერთი ყველაზე რთული სამუშაო დღე იყო. დღე, როდესაც რედაქციაში მასალის მიტანა ვერ შეეძლო. მივიღე დაზიანებები და წამართვეს ვიდეო კამერა. ჩემთვის გამოცდილებაც იყო, მსგავს სტრესულ სიტუაციაში მანამდე არ მიმუშავია. ფიზიკურად დაგზარაღდი და შემდეგ ერთი თვე ვმკურნალობდი. იმის გამო, რომ ორი კამერა წამართვეს, ჩემი რედაქცია თითქმის ერთი თვე პარალიზებული იყო.

ჩემი, როგორც ჟურნალისტის, იდენტიფიცირება ადვილი იყო. თუმცა ყველა შეხვედრაზე ამბობენ, რომ სპეცრაზმელებს ჟურნალისტების გარჩევა გაუჭირდათ. ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები. როდესაც აქციის დაშლა დაიწყო და გაქცევა დავაპირე, მეტრო „თავისუფლების მოედანი“ სპეცრაზმელებს შევეჩეხე. ვყვიროდი, რომ ჟურნალისტი ვიყავი, ვაჩვენებდი ჩემს ბარათს, აკრედიტაციას. ამ დროს მოვიდა პოლიციელი, სპეცრაზმელებს უთხრა, რომ ჟურნალისტი ვიყავი და ჩემთვის თავი დაენებებინათ. სწორედ ამ დროს წამართვეს ვიდეო კამერა და თავისა და მეკრდის არეში რამდენჯერმე ხელკეტი მომხვდა. არადა პოლიციელი, რომელსაც გამოვყავდი, იძახდა, რომ ჟურნალისტი ვიყავი და თავზე ხელს მაფარებდა.

**კომენტარი**

**თაზარ ჩუგოვილი**  
**„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე**

აქციის დაშლა იმგვარად იყო ორგანიზებული, რომ შეუძლებელი იყო სხვა შედეგის დადგომა. შეუძლებელი იყო ადამიანის უფლებების დარღვევის თავიდან აცილება. არ იყო გასასვლელი, ყველა სპეციალური სამუშაო ერთდროულად გამოიყენეს. ფაქტობრივად, აქციაზე მყოფი ადამიანები ჩიხში მოაქციეს. დაშლა წინასწარ იყო ამგვარად დაგეგმილი, რაც უკვე საკმარისი მიზეზია, რომ გამოიძიება უშუალოდ იმ პირების მიმართ

დაიწყოს, რომლებმაც ეს დაშლა დაგეგმეს. მსგავსი რამ ჯერ არ დაწყებულა.

ცნობილია, ძალის გადამეტების და არაადამიანური მოპყრობის კონკრეტული შემთხვევები დაკავების დროს და შემდეგ უკვე იზოლაციურებში. ასევე, ჟურნალისტებისათვის საქმიანობაში ხელის შეშლა, რამდენიმე მომიტინგის გარდაცვალების შემთხვევაც. მთავარი პრობლემა ისაა, რომ გამოძიება პროპორციული არ იყო. ვიცით, რომ 16 შემთხვევაში განხორციელდა დისციპლინური დასჯა, მაგრამ არ ვიცით, ვის წინააღმდეგ და რა ბრალდებით. რომც ვიცოდეთ, ეს არაა საკმარისი. ბევრ შემთხვევაში ძალიან ცხადად იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაული და დისციპლინარული დასჯა, თუნდაც სამსახურიდან გათავისუფლება, არაპროპორციული პასუხისმგებლობაა. ეს დაუსჯელობის სინდრომს აღვივებს და უკვე მერამდენედ ჩვენ ვდგებით ფაქტის წინაშე, რომ აქცია იშლება უკანონოდ, სერიოზული ძალის გადამეტებითა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევით.

ჩვენ 26 მაისამდე პერიოდიც შევისწავლეთ. იმ მასობრივ დაკავებებს ვგულისხმობ, რომელიც 26 მაისის წინა დღეებში ხდებოდა, იმ პერიოდში, როდესაც ბურჯანაძე მიტინგებს მართავდა. შევისწავლეთ შემთხვევები და ბრალდებები საკმაოდ აბსურდულად გამოიყურებოდა. მაგალითად, იყო ბრალდება, რომ დაკავებული ადამიანები გამთენიისას საკუთარი სახლების წინ იდგნენ და უმისამართოდ იგინებოდნენ. ამას მხოლოდ პოლიციელის ჩვენება ადასტურებდა, არც სხვა მონემ და მტკიცებულება არ იყო. რაც ძალიან სერიოზულ ეჭვებს აჩენს.

გამოძიებების დროს ინტერესთა კონფლიქტიც იყო. კრიტიკულ საქმეებს შინაგან საქმეთა სამინისტრო იძიებდა, როდესაც ეს პროკურატურის საქმეა. კომენტარებს გამოძიებამდე აკეთებდა და აპრიორი შეუძლებელი იყო ობიექტურად გამოძიება. **■**

ფოტოგრაფი ნათა ტაბილაშვილი



მეჩეთი თბილისში



სინაგოგა თბილისში

ივლისი 2011

# სვნიება ხაიბიუხი ბაჰთიანებაზის ხაბისხასიის ფოხმაში

მალხაზ ქკალუა

**სამოქალაქო** კოდექსში რელიგიური გაერთიანებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დარეგისტრირების შესახებ ცვლილებები პარლამენტმა ივლისის დასაწყისში, დაჩქარებული წესით დამტკიცა. კანონპროექტი საკანონმდებლო ორგანოში 1 ივლისს შევიდა და დეპუტატებმა იმავე დღეს, პირველი მოსმენით, მიიღეს. მეორე და მესამე მოსმენა კი 5 ივლისს გაიმართა. ცვლილებით რელიგიურ გაერთიანებებს საშუალება მიეცათ საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულიყვნენ, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ცვლილების პირველი ვარიანტის დამტკიცების შემთხვევაში, ამ უფლებით მხოლოდ 5 ორგანიზაცია ისარგებლებდა (კათოლიკური ეკლესია, სომხური სამოციქულო ეკლესია, მუსლიმთა თემი,

ბაპტისტ-ევანგელისტები, ებრაული თემი), თუმცა 4 ივლისს შეტანილი ცვლილების თანახმად, ეს უფლება ყველა იმ რელიგიურ გაერთიანებას მიენიჭა, რომელთაც საქართველოსთან ისტორიული კავშირი აქვთ, ან აღიარებულები არიან ევროსაბჭოს წევრ-სახელმწიფოებში.

სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებები ხელისუფლებასა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დაპირისპირების მიზეზი გახდა. 4 ივლისს, კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ეკლესიის კანონის მიღების პროცედურის შეჩერება მოითხოვა.

„იმდენად რთული და საპასუხისმგებლოა, რომ შეიძლება ბოროტად, ცუდად იყოს გამოყენებული. ამიტომ ყველაფერი უნდა გაეთავალისწინებინათ. ეკლესიამაც უნდა

მიიღოს მონაწილეობა ამ საკითხის განხილვაში, იმიტომ, რომ ბევრ შემთხვევაში ეს ეკლესიასაც ეხება, სახელმწიფოსაც ეხება...ეს არის საკითხი, რომელიც შეეხება მთელ ჩვენს ერს, ეკლესიასაც და განსაკუთრებით შეეხება სახელმწიფოს... მინდა ვთხოვო ჩვენს პრეზიდენტს, რომ ვეტო დაადოს ამ კანონს იქამდე, სანამ ეს არ იქნება განხილული, შემოწმებული. მთავარი პასუხისმგებლობა მაინც პრეზიდენტს ეკისრება“, – ეს განცხადება პატრიარქმა 7 ივლისს გააკეთა.

თუმცა ცვლილებების პროექტი ხმათა სრული უმრავლესობით (70 ხმით) დამტკიცდა. პარლამენტის გადაწყვეტილებას მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის საპროტესტო გამოსვლები და ქსენოფობიური განცხადებები მოჰყვა. ძირითადი

სამიზნე სომხეთის სამოციქულო ეკლესია და კათოლიკოსი გარეგინ მეორე გახდა, რომელიც საქართველოში კანონის მიღებამდე ცოტა ხნით ადრე იმყოფებოდა. ის შეხვდა, როგორც ქვეყნის პირველ პირს, ისე პატრიარქ ილია მეორეს. საუბრის ძირითადი თემა საქართველოში სომხური ეკლესიის ეპარქიის სტატუსი იყო.

მრევლისა და სასულიერო პირების ნაწილი ამტკიცებდა, რომ რელიგიური გაერთიანებებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება სწორედ გარეგინ მეორისა და სომხური ლობის ჩარევით გახდა შესაძლებელი.

ჯარო სამართლის იურიდიული პირი, მოგვიანებით კი „საქართველოში იეზიტთა სასულიერო კრება“, „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“ და „საქართველოში ასირიულ-ქალდეური კათოლიკური თემი“. რეგისტრაციის დოკუმენტაციაზე მუშაობენ სომხური ეკლესიის ეპარქიაშიც.

სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებები არ ეხება სადავო რელიგიურ ნაგებობებს და საგადასახადო შეღავათების დანსებებს. რამდენიმე რელიგიურ ორგანიზაციაში ამბობენ, რომ ივლისში მიღებულ ცვლილებას ქონებრივი და საგადასახადო საკითხების გადაწყვეტაც უნდა მოჰყვეს.

დემონსტრირება სდევდა თან. სიძულვილის ენას იყენებდნენ არა მხოლოდ მრევლის წევრები, არამედ სასულიერო პირებიც. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს რაიმე სამართლებრივი მექანიზმი სიძულვილის ენასთან დასაპირისპირებლად, თუმცა, ძალზე მნიშვნელოვანია ასეთ ფაქტებზე თავად ეკლესიის მხრიდან დროული და ადეკვატური რეაგირება, რასაც სამომავლოდაც ექნება პრევენციის მნიშვნელობა.

რელიგიური გაერთიანებებისათვის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრაცია რაიმე პრივილეგიების მიღებასთან დაკავშირებული არ არის. ისინი კვლავ ვერ შეძლებენ ბიუჯეტიდან რაიმე დაფინანსების მიღებას, საპატრიარქოს თანაბარი საგადასახადო პრივილეგიების ქონას ან საკუთრების პრობლემის მოგვარებას. ისინი ზუსტად იმავე უფლებებით ისარგებლებენ, რითაც არასამართლებრივო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებად რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებები. ამ უკანასკნელ შესაძლებლობას საქართველოს კანონმდებლობა კი სამოქალაქო კოდექსში ამა წლის ზაფხულში ცვლილებების შეტანამდეც ითვალისწინებდა. ერთადერთი მნიშვნელობა მოცემულ ცვლილებებს შესაძლოა ჰქონდეს იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე რელიგიური გაერთიანებისათვის არ იქნება მისაღები სახელწოდება „არასამართლებრივო (არაკომერციული) იურიდიული პირი“. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მოსაზრებით, ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია სამართლებრივი სტატუსის თავისუფალი არჩევანის უზრუნველყოფა ყველა რელიგიური მიმდინარეობისათვის. ამ თვალსაზრისით, პარლამენტის მიერ სამივე მოსმენით მიღებულ კანონპროექტში კვლავ რჩება გარკვეული ბუნდოვანება, მაგალითად, არ არის ნათელი, როგორ დადგინდება რელიგიური გაერთიანების ისტორიული კავშირი საქართველოს სახელმწიფოსთან ან რას გულისხმობს ჩანაწერი: ევროპის საბჭოს ქვეყნებში „კანონმდებლობით მიჩნეულია რელიგიად“.

**ამ კანონპროექტის პარლამენტში განხილვისას დაირღვა გამჭვირვალობა.** ინფორმაცია კომიტეტში კანონპროექტის პირველი და მესამე მოსმენით განხილვის შესახებ საერთოდ არ გავრცელებულა, ხოლო კანონპროექტისა და მისი სამივე მოსმენით მიღებას მხოლოდ 5 სამუშაო დღე დასჭირდა.

მეორე ვერსიით, კანონში ცვლილებების დაჩქარებული წესით მიღება 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლუმზე პატრიარქ ილია მეორის მიუსვლელობამ განაპირობა. საპატრიარქოში არ გაკეთებულა განცხადება, თუ რატომ არ იდგა პატრიარქი პარლამენტის წინ, პრეზიდენტის გვერდით.

პატრიარქისა და ეკლესიის დასაცავად ქუჩაში გამოსულმა ათი ათასობით ადამიანმა მხოლოდ მას შემდეგ შეწყვიტა პროტესტი, რაც 11 ივლისს, წმინდა სინოდი შეიკრიბა და მრევლს სიმშვიდისკენ მოუწოდა.

საკანონმდებლო ცვლილებას პირველად სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო გამოეხმაურა და საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა როგორც სა-

**კომენტარი**

**თათული თოღუა**

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ საპარლამენტო მდივანი

ამ კანონპროექტის პარლამენტში განხილვისას დაირღვა გამჭვირვალობის მოთხოვნები. ინფორმაცია კომიტეტში კანონპროექტის პირველი და მესამე მოსმენით განხილვის შესახებ საერთოდ არ გავრცელებულა, ხოლო კანონპროექტისა და მისი სამივე მოსმენით მიღებას მხოლოდ 5 სამუშაო დღე დასჭირდა.

მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლში კანონპროექტმა, მართლაც, არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ჩვენ, ძირითადად, ვისმენდით ემოციურ მსჯელობებს, რომელიც მთლიანად იყო დაშორებული განხილვის საგანს. ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ კანონპროექტის შეფასებას ხშირად არმენოფობიური, რელიგიური უმცირესობების მიმართ არატოლერანტული განწყობები და მათი

იზცისი 2011

# ფოტობიზნესის საქმე

მაია ნიკლაური, ანი ჭანკოტაძე

**2011 წლის 7 ივლისს** პრეზიდენტის ყოფილი ფოტოგრაფი ირაკლი გედენიძე, მისი მეუღლე, ფოტოგრაფი ნათია გედენიძე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კონტრაქტორი, „ალია-პოლდინგის“ ფოტოგრაფი გიორგი აბდალაძე და ევროპის ფოტოსააგენტოს წარმომადგენელი საქართველოში ზურაბ ქურციკიძე ჯამუშობის ბრალდებით დააკავეს.

პროკურატურის ვერსიით, დაკავებულები რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდნენ. ბრალდების მტკიცებით, რუსულ სპეცსამსახურებთან, ვინმე „ალექსეის“ მეშვეობით, უშუალოდ ქურციკიძე თანამშრომლობდა. სახელმწიფო სამსახურში მყოფი გედენიძე და აბდალაძე კი მას საიდუმლო დოკუმენტებს აწვდიდნენ.

დაკავებული აბდალაძე და ქურციკიძე თავდაპირველად ბრალდებას უარყოფდნენ, თუმცა ჩხრეკისას ამოღებული 13 დოკუმენტი, 2004 წელს განხორციელებული სატელეფონო ზარების სია და ოთხი აღიარებითი ჩვენება – საკმარისი მტკიცებულება აღმოჩნდა, რომ სამი ფოტოგრაფი ჯამუშობაში, ერთი კი ჯამუშური საქმიანობის მხარდაჭერაში დაედანაშაულებინათ. საქმე გრიფით საიდუმლოდ გამოცხადდა, თუმცა მოგვიანებით გარკვეული მასალები გამოქვეყნდა.

პროკურატურამ საზოგადოების დასარწმუნებლად მტკიცებულებები 22 ივლისს სასამართლო პროცესამდე გამოაქვეყნა. ამ მტკიცებულებებს შორის მოხვდა დაკავებულთა სახლებიდან ამოღებული დოკუმენტები, რომლებიც პრეზიდენტის სხვადასხვა შეხვედრები-

სას სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისა და შსს-ს ერთობლივ ღონისძიებათა მუდმივმოქმედ გეგმას შეიცავდა. ასევე – ევროსაბჭოს, გაეროს და ეუთოს სტრუქტურებში მომუშავე საქართველოს მოქალაქეების სიები, ოფიციალური შეხვედრების სტენოგრაფიული ჩანაწერები, ესტონეთის პრეზიდენტის თბილისში ვიზიტის პროგრამა, შპს „სახელმწიფოს უზრუნველყოფა“-ს თანამშრომლების სია, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურის დამლაგებლების სია.

პროკურატურაში განაცხადეს, რომ ყველა დოკუმენტის ასლი, რაც გედენიძისა და აბდალაძის სახლში აღმოაჩინეს, ქურციკიძის სახლშიც იპოვნეს. აღიარებითი ჩვენებების გარდა პროკურატურას არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ ამ დოკუმენტებს ქურციკიძეს აბდალაძე და გედენიძე მართლაც გადასცემდნენ, შემდეგ კი ის რუსულ სპეცსამსახურებს ამარაგებდა.

პროკურატურამ ისიც განაცხადა, რომ 2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, „ალექსეის“ მითითებით ზურაბ ქურციკიძემ და გიორგი აბდალაძემ, საომარი მოქმედებების ზონაში, საქართველოს სამხედრო ძალისა და ტექნიკის გადაადგილების, დისლოკაციის, ჯარისკაცების მორალური მდგომარეობის და ა.შ. ამსახველი ფოტომასალა გადაიღეს, შემდეგ კი გრუ-ს მიაწოდეს. თუმცა, პროკურატურის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სამხილად 2008 წლით დათარიღებული არცერთი დოკუმენტი ან ფოტო არ ფიგურირებს.

დაკავებულთა საქმის განხილვა სასა-



ფოტობიზნესი



მართლმ ვერ მოასწრო. დაკავებიდან 14 დღეში ყველა მათგანმა საპროცესო შეთანხმება გააფორმა. გედენიძემ, აბდლაძემ და ქურციკიძემ 22 ივლისს სასამართლოს სხდომათა დარბაზი ჯაშუშის სტატუსით დატოვეს. ნათია გედენიძეს ჯაშუშურ საქმიანობაში მხარდაჭერა დაბრალდა. ყველა მათგანს პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს და პრობაციის სამსახურთან თანამშრომლობა დაავალდებულეს.

საზოგადოების ნაწილი დღემდე არ ენდობა სამართალდამცავთა მტკიცებულებებს ფოტოგრაფების ჯაშუშობის შესახებ.

ერთ-ერთი ვერსიით, რომელიც ქართულ მედიაში გავრცელდა, ფოტოგრაფები 26 მაისს აქციის დარბევის დროს გადაღებული ფოტოების გამო დაისაჯნენ. დადასტურებულია, რომ დაკავებული ფოტოგრაფები – გედენიძე, აბდლაძე და ქურციკიძე 26 მაისს მიტინგის დარბევის დროს პარლამენტის შენობის წინ მუშაობდნენ.

„მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი და ჩემი კოლეგების დაკავება 26 მაისის დარბევის ფოტოებს უკავშირდება“, – ამბობდა გიორგი აბდლაძე იზოლატორში ყოფნისას. ის ციხიდან ყოველდღე გზავნიდა ამ შინაარსის წერილებს და პრეზიდენტ სააკაშვილს თავისუფალ მედიაზე ზეწოლაში ადანაშაულებდა. ფოტოგრაფების მხარდასაჭერად მათი პატიმრობის პერიოდში განუწყვეტლად მიმდინარეობდა ჟურნალისტთა აქციები. ასეთი აქტიურობის გამო „მედიაკოალიცია ადვოკატორებისათვის“ წარმომადგენლებს ფოტოგრაფების საქმეზე სასაუბროდ თავად შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი შეხვდა. ამ შეხვედრამ და საპროტესტო აქციებმა ფოტოგრაფების გათავისუფლება დააჩქარა. გათავისუფლების შემდეგ არცერთ ფოტოგრაფს ამ თემაზე კომენტარი აღარ გაუკეთებია. რა მოხდა რეალურად? – ამ კითხვაზე პასუხი საზოგადოების ნაწილს ისევ არ აქვს.

**კომენტარი**

**ზვიად ყორიძე**

**„ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ საბჭოს თავმჯდომარე**

ფოტოგრაფების საქმით საქართველოში პირველად გამოიკვეთა საზოგადოების რეაქციები მმართველი ძალების ქმედებაზე. მთავრობა ყოველთვის ახერხებდა ამდენი წლის განმავლობაში უპირობოდ, სხვადასხვა, მათ შორის, საჯარო პირების ჯაშუშებად გამოცხადებას. პირველი შემთხვევაა, როდესაც ამას საზოგადოების პროტესტი მოჰყვა. პრაქტიკულად, ყველა ჟურნალისტმა, ამ შემთხვევაში არა მხოლოდ კონკრეტულად დაკავებული პერსონების დახმარება სცადა, არამედ ზოგადად გამოხატა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესი და დაიწყო ადვოკატირება. მათ თანხი ერთად დგომით დაანახეს ყვე-

ლას, რომ განსხვავებული აზრის, განსხვავებული ქმედების გამო არავინ უნდა იდევნებოდეს. ეს გააკეთა რეპორტიორების საქმემ, რომელმაც სხვათა შორის, საკმაოდ შეაშფოთა ხელისუფლება.

მამინ პრაქტიკულად, მთელმა საზოგადოებამ და ჟურნალისტებმა, რომლებიც ამ პროცესში აქტიურად ვიყავით ჩართულები, ვაჩვენეთ, რომ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების შესანარჩუნებლად ნამდვილად არის საბრძოლო და სამოქმედო.

ერთი მხრივ, ჩვენ უნდა განვამტკიცოთ აზრი, რომ დემოკრატიისთვის ბრძოლა კარგია, და, მეორე მხრივ, ხელისუფლებას უნდა ვაგრძნობინოთ, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც დემოკრატიულ მიდგომებსაა აცდენილი, ცუდია და დაუშვებელი. **□**

**ერთ-ერთი ვერსიით, რომელიც ქართულ მედიაში გავრცელდა, ფოტოგრაფები 26 მაისს აქციის დარბევის დროს გადაღებული ფოტოების გამო დაისაჯნენ. დადასტურებულია, რომ დაკავებული ფოტოგრაფები – გედენიძე, აბდლაძე და ქურციკიძე 26 მაისს მიტინგის დარბევის დროს პარლამენტის შენობის წინ მუშაობდნენ.**



დაკავებულ ფოტოგრაფების მხარდამჭერი აქცია პრეზიდენტის რეზიდენციასთან, ივლისი 2011

ფოტო: სპაიკი

ოქტომბერი 2011

# ოცობაში ჰოცობიხაში

მაია ნიკლაური, მალხაზ ჭკადუა



ფოტო: ლაიტი. მონტაჟი: ზორბეგ / REUTERS

ბიძინა ივანიშვილი, თბილისი 15 ოქტომბერი 2011

**2011 წლის 5 ოქტომბერს** რუსეთში მოღვაწე ქართველმა მილიარდერმა, ბიძინა ივანიშვილმა ქართულ პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტა. საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წლით და საპრეზიდენტომდე - წელიწადნახევრით ადრე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ბიზნესმენი, რომლის ქონებაც საქართველოს ბიუჯეტზე ორჯერ მეტი - 5,5 მილიარდი დოლარია და რომელმაც ქველმოქმედებაში წლების განმავლობაში მილიარდ დოლარზე მეტი დახარჯა, საქართველოში საკმაო პოპულარობით სარგებლობს.

პოლიტიკაში მოსვლის პირველივე წუთებიდან ივანიშვილმა გარკვეულ პოლიტიკურ ძალებთან მოლაპარაკებები დაიწყო. საზოგადოებისათვის ცნობილი სახეები კი მის მრჩეველთა საბჭოში მიიწვია. ივანიშვილმა პირველივე განცხადებაში გააკრიტიკა პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლება. ბიზნესმენის განცხადებით, მან პოლიტიკაში მოსვლა სააკაშვილის „უუნარო“ ხელისუფლების შესაცვლელად გადაწყვიტა. მისი თქმით, სააკაშვილმა უამრავი შეცდომა დაუშვა, რის გამოც მისი ხელისუფლებაში დატოვება გაუმართლებელია. ივანიშვილმა „ახალ მემარჯვენებს“, „ქრისტიან-დემოკრატებს“, გაა თორთლადისა და პაატა დავითაიას პარტიებს ხელისუფლებასთან დაახლოებული ოპოზიცია უწოდა და მათთან თანამშრომლობა გამოირცხა.

ივანიშვილმა მიზნად დაისახა 2012 წელს საპარლამენტო არჩევნების უმრავლესობით მოგება, საკონსტიტუციო ცვლილებების გატარება, ელიტური კორუფციის აღმოფხვრა, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტე-

რიტორიაზე ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის აღსადგენად პერსპექტივის შექმნა, ეკონომიკური გარემოს მონოპოლიისგან გათავისუფლება, სოფლის მეურნეობის განვითარება, რუსეთთან ურთიერთობის დალაგება და ამერიკასა და ევროკავშირთან მეგობრობა და ინტეგრაცია. ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ბიზნესმენმა პირობა დადო, რომ უარს იტყოდა რუსულ პასპორტზე და გაყიდდა მთელ ქონებას რუსეთში.

ივანიშვილმა თქვა კიდევ უარი რუსულ პასპორტზე, თუმცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც 11 ოქტომბერს საქართველოს ხელისუფლებამ საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვა. სამოქალაქო რეესტრის ცნობით, ივანიშვილმა საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მიღების შემდეგ საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღო, რაც სამართლებრივად გაუმართლებელია. ბიზნესმენის მხარდამჭერებმა საქართველოს მასშტაბით ივანიშვილისათვის მოქალაქეობის დაბრუნების მოთხოვნით 200 ათასამდე ხელმონერა შეაგროვეს. მიუხედავად ამისა, ივანიშვილს მოქალაქეობა ჯერაც არ დაბრუნებია.

2011 წლის დეკემბერში სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული საზოგადოების კვლევის შედეგები გამოქვეყნდა. IRI-ს კვლევის მიხედვით, ივანიშვილის რეიტინგი 17 პროცენტია და საგრძნობლად ჩამორჩება მიხეილ სააკაშვილის რეიტინგს – 42 პროცენტს. საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის მიხედვით კი ივანიშვილის რეიტინგი 26 პროცენტია და ორი პროცენტით უსწრებს სააკაშვილს.

თუკი ბიზნესმენი მოქალაქეობის დაბრუნებას ვერ შეძლებს, ის პოლიტიკურ პარტიას ვერ დააფუძნებს, ვერ იყრის კენჭს საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე, მას ვერ დასახელებენ პრემიერმინისტრობის კანდიდატად და ვერ აირჩევენ პარლამენტში. გარდა ამისა, პარლამენტი მუშაობს კანონპროექტზე, რომლის მიხედვითაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს უნდა აეკრძალოთ პარტიების დაფინანსება.

ივანიშვილს არსებული კანონმდებლობით არ ექნება უფლება რომელიმე პარტიის საარჩევნო კამპანიაში ჩაერთოს და აგიტაცია გასწიოს.

ერთადერთი, რაც ამ ეტაპზე ივანიშვილმა შეძლო, 11 დეკემბერს დააფუძნა საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“. მოძრაობის პრეზენტაციას ესწრებოდნენ პარტიების „რესპუბლიკელებისა“ და „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერები, შვეარდნაძის ხელისუფლების ჩინოვნიკები, საზოგადოებისათვის ცნობილი სხვა სახეები. მოძრაობის მიზნად ბიძინა ივანიშვილმა სხვადასხვა სფეროში სამოქმედო გეგმის დამუშავება და საზოგადოების მომავალი არჩევნებისათვის მომზადება დაისახა.

ბიძინა ივანიშვილი, „რესპუბლიკელების“ ლიდერი დავით უსუფაშვილი და „თავისუფალი დემოკრატების“ ხელმძღვანელი ირაკლი ალასანია 3-სუბიექტიანი პოლიტიკური კოალიციის შექმნაზე შეთანხმდნენ. ეს კოალიცია შესაძლოა სხვა პოლიტიკურ სუბიექტებთან ერთად საარჩევნო ბლოკად ჩამოყალიბდეს. მათ შორის მოიაზრება კონსერვატორების ლიდერი ზვიად ძიძიგური და „ხალხის პარტიის“ თავმჯდომარე კობა დავითაშვილი.

ხელისუფლებამ ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში გამოჩენა რუსეთს დაუკავშირა.

**კომენტარი**  
**ია ანთაძე**  
**ჟურნალისტი**

ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამდე ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი იყო უფუნარო, შეეცვალა პროცესი. რადიკალური მიმართულებების პარტიებმა პროტესტული ელექტორატის ნდობაც კი დაკარგეს, ზომიერი მიმართულების პარტიებს კი არ აღმოაჩნდათ კოორდინირებული და გააზრებული ქმედების რაიმე რესურსი. ამ ვითარებაში სახელისუფლო პარტიას გარანტირებული ჰქონდა მანდატების 2/3 ახალ პარლამენტში. ამიტომ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენას ხშირად უკავშირებენ სიტყვას – „იმედი“. პოლიტიკაში ახალი – რესურსებით ძლიერი – მოთამაშის შესვლამ მართლაც გააჩინა იმედი, შესა-

ძლებელი გახდა პოლიტიკური პროცესის წინასწარ დაგეგმილი სცენარის შეცვლა.

ბიძინა ივანიშვილის ფინანსები და, პირველ რიგში, ამ ფინანსებით განუვლი დახმარება თუ ქველმოქმედება ამომრჩეველს უჩენს სტაბილურობის განცდას. ეს ის განცდაა, რომელიც ყველაზე დეფიციტურია არსებული სახელისუფლო პარტიის მართვის პირობებში. ამიტომაც, დადებით გავლენას სწორედ ამ ერთი სიტყვით დავახასიათებდი: „სტაბილურობა“. რაც შეეხება უარყოფით გავლენას, ივანიშვილის ფინანსებმა შეიძლება გამოიწვიოს დიდი და ხანგრძლივი იმედგაცრუება, თუკი აღმოჩნდება, რომ პოლიტიკურ პროცესს ეს ფინანსები ვერ ცვლის. როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენის კონტექსტში მე ესაუბრობ უფრო მეტად ფსიქოლოგიურ ეფექტზე, ვიდრე ფინანსების რეალურ გავლენაზე, რადგან ბიძინა ივანიშვილის ფენომენი უფრო მეტად ადამიანების ცნობიერებაში მომხდარ, თუ მოსახლენ ცვლილებას უკავშირდება, ვიდრე ცვლილებებს ყოფით დონეზე.

პოლიტიკაში განმსაზღვრელია მიზანშეწონილობა, რაც, შესაძლოა, ერთი პარტიისთვის ადეკვატური იყოს, მეორე პარტიისთვის – არაადეკვატური. ჩემთვის, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქისთვის, არაადეკვატურია ხელისუფლების ნებისმიერი ნაბიჯი, გადადგმული ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, განსაკუთრებით – საკანონმდებლო ცვლილებები. მაგრამ „ნაციონალური მოძრაობისთვის“ ეს ადეკვატური ნაბიჯებია, რადგან ისინი პოლიტიკურად მიზანშეწონილია, განსაკუთრებით, „მოკლე“ დისტანციაზე ბრძოლისთვის. ივანიშვილთან ალიანსში მყოფი პოლიტიკური პარტიებისგან მეტი აქტიურობა იყო და არის მოსალოდნელი, რადგან ხელისუფლება, თავისი რადიკალური ქმედებით, აზრს უკარგავს საარჩევნო ბრძოლას. ყველაზე ადეკვატურად ივანიშვილის ალიანსის გარეთ მდგომი პარტიები იქცევიან – ელოდებიან მოვლენების განვითარებას. **[E]**

ნოემბერი 2011

# საქართველო - ნატო

მაია წიკლაური, თათია ხალიანი



ფოტო: ლაიტი მარხარაიძე / REUTERS

დონალდ რასმუსენი, თბილისი, 9 ნოემბერი 2011

**საქართველოს** საკითხი ჩიკაგოში გაზაფხულზე დაგეგმილ „ნატოს“ ლიდერების სამიტზე განიხილება – ეს ინფორმაცია ქართველებს თბილისში ვიზიტისას 2011 წლის 10 ნოემბერს თავად „ნატოს“ გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა მიაწოდა. ეს ვიზიტი მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ 2008 წლის სექტემბრის შემდეგ „ნატოს“ დელეგაცია პირველად ეწვია საქართველოს.

რასმუსენმა განაცხადა, რომ „საქართველომ ბევრს მიაღწია“ და ქვეყანამ რეფორმების ტემპი უნდა შეინარჩუნოს. მისი თქმით, ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება ძალაში რჩება და საქართველო აუცილებლად გახდება „ნატოს“ წევრი. ორგანიზაციის გაფართოებას ვერცერთი მესამე მხარე ვერ შეუშლის ხელს. მაგრამ „ნატოში“ გაწევრიანება დიდწილად ქვეყნის პროგრესზე იქნება დამოკიდებული. რასმუსენის თქმით, საქართველოს კვლავ

რჩება სამუშაო და ესაა მიზეზი, რის გამოც მისი განწევრიანების ვადების წინასწარ განსაზღვრა რთულია. „ჩვენი გზავნილია დღეს, რომ კვლავაც აშენოთ თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფოს საყრდენები, კანონის უზენაესობა, სასამართლო სისტემის და მედიის თავისუფლება, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა. კერძოდ კი, შეინარჩუნეთ ტემპი საარჩევნო რეფორ-

მის განხორციელებაში. 2012 და 2013 წლის არჩევნები თქვენი დემოკრატიის ლაკმუსის ტესტი იქნება და ვიმედოვნებთ, რომ ყველა საჭირო რეფორმას ვიხილავთ“, – განაცხადა რასმუსენმა თბილისში ვიზიტისას.

რასმუსენმა ქართველებს მადლობა გადაუხადა ავღანეთის ოპერაციაში შეტანილი წვლილისთვის. თუმცა, აღნიშნა, რომ ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობა „ნატოს“ წევრობასთან კავშირში არ არის. რასმუსენის პასუხად, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ავღანეთის ოპერაციაში მონაწილე ქართველი სამხედროების რაოდენობა გააორმაგოს. ამის შემდეგ საქართველო გახდება ის არანეკონსტრუქციული, რომელსაც ყველაზე მეტი სამხედრო ყოფილება ავღანეთში.

ბრიუსელში 7 დეკემბერს გამართულ „ნატოს“ საგარეო საქმეთა მინისტრიალზე გაკეთებულ განცხადებაში საქართველოს „ნატოს“ ასპირანტი ქვეყანა უწოდეს მაკედონიის, მონტენეგროს, ბოსნიისა და ჰერცეგოვინას გვერდით. რის გამოც „ნატოს“ საგარეო საქმეთა მინისტრებმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ, სერგეი ლავროვის კრიტიკა დაიწყო. ლავროვმა ივარაუდა, რომ ამგვარმა განცხადებებმა, შესაძლოა, პრეზიდენტი სააკაშვილი „2008 წლის აგვისტოს მსგავსი ავანტიურისკენ“ წააქნოს.

“მე შევამჩნიე, რომ გუშინდელი კომუნიკე, რომელიც „ნატოს“ საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს, შეიცავს ტერმინს „ასპირანტი ქვეყნები“ და მათ შორის საქართველოცაა დასახელებული. მე გულწრფელად გავაფრთხილე ჩვენი კოლეგები, რომ ნებით თუ უნებლიეთ, ისევ არ უბიძგონ საქართველოს არსებულ რეჟიმს 2008 წლის აგვისტოს ავანტიურის მაგვარი ქმედებისკენ... ეს [ნატოს 2008 წლის აპრილის] ბუქარესტის სამიტიდან მალე მოხდა, სადაც უაპელაციოდ ჩაიწერა, რომ საქართველო იქნება „ნატოში“, – განაცხადა ლავროვმა.

## 7 დეკემბერს გამართულ „ნატოს“ საგარეო საქმეთა მინისტრიალზე გაკეთებულ განცხადებაში საქართველოს

„ნატოს“ ასპირანტი ქვეყანა უწოდეს მაკედონიის, მონტენეგროს, ბოსნიისა და ჰერცეგოვინას გვერდით.

2008 წელი რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმაც გაიხსენა. მან ორჯერ განაცხადა, რომ 2008 წლის ომმა პოსტ-საბჭოთა სივრცეში „ნატოს“ გაფართოების გეგმები ჩაშალა.

საქართველოს მთავრობაში ფიქრობენ, რომ რუსეთის გალიზიანება „ნატოს“ გაფართოების პერსპექტივით, ბუნებრივია. ქართული ხელისუფლება 2012 წლის მაისში ჩიკაგოს სამიტისთვის ემზადება.

### კომენტარი ალექსანდრა რონდელი სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის პრეზიდენტი

ის რიტორიკა, რომელიც რასმუსენის სიტყვაში იყო, ის შეფასებები, რომელიც საქართველოს ქმედებებმა მიიღო „ნატოს“ მხრიდან, იყო პოზიტიური და იმედის მომცემი, მაგრამ იქ იყო მთავარი მესიჯი, რომ ამისათვის არჩევნები უნდა ჩატარდეს დემოკრატიულად. მაგრამ თუ არჩევნები ჩავატარებთ დემოკრატიულად, მერე რა იქნება? „ნატოსთვის“ ძალიან რთულია ტექნიკური საკითხების მოშველიება, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ მთავარი მაინც რუსეთის ფაქტორია.

დღეს „ნატოს“ ამერიკის შეერთებული შტატები ინახავს, 70 პროცენტს და ცოტა მეტსაც კი ხარჯავს. თუმცა, მისი პრეზიდენტის სიტყვა ყოველთვის არ გადის. რუსეთს რამდენიმე ქვეყანასთან ისეთი ურთიერთობა აქვს, მარტო ამ ურთიერთობის გამო იტყვიან ისინი უარს. ამიტომ „ნატო“ ცუდ დღეშია. გამოდის, რომ რაც რუსეთს უნდა, იმას აკეთებს.

„ნატოს“ ხელმძღვანელობა კი აცხადებს, რომ არავის აქვს უფლება, მას უბრძანოს, ვინ მიიღოს და ვინ არა. მაგრამ ფაქტია, სამიტიდან სამიტიმდე საქართველო დაპირების ამარაა დარჩენილი. „ნატოს“ მიდგომა ჩვენს მიმართ გაორებულია.

ასე იყო ბუქარესტშიც – მაშინ „ნატოს“ ხელმძღვანელობა რუსეთის ზენოლის გამო იძულებული გახდა დათანხმებოდა რაღაც პირობებს და არ მოგვცეს მაპი. თუმცა, იმისათვის, რომ არ გადაეღვა საშინელი ნაბიჯი და მთლად უარი არ ეთქვა ჩვენთვის, აღნიშნეს, რომ საქართველო და უკრაინა „ნატოს“ წევრი ქვეყნები გახდებიან.

რუსეთი ცდილობს, ჩვენი ლტოლვა ნატოსკენ წარმოადგინოს, როგორც ნატოს მისწრაფება, რომ როგორმე „შეათრიოს“ ეს ქვეყნები ნატოში. სწორედ ასე თქვა ლავროვმა, რომ ნატოს უნდა საქართველოს „შეთრევა“. პირიქით, ჩვენ გვინდა უფრო მეტად ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირება, ვიდრე „ნატოს“ და დასავლეთს. რუსეთს კი უნდა, თავისი გავლენის ქვეშ შეგვიყვანოს.

ჩიკაგოს სამიტზე თუ ჩაიწერება, რომ საქართველო აუცილებლად იქნება „ნატოს“ წევრი და განისაზღვრება – კონკრეტულად რა უნდა გააკეთოს მან, ეს იქნება ძალიან კარგი. რადგან შესაძლებელია საერთაშორისო ვითარება შეიცვალოს და დაჩქარდეს რაღაც პროცესები. ჩვენი „ნატოსკენ“ სვლის გზა დინამიკური პროცესია. შეიძლება, ის ქვეყნებიც კი, რომლებიც დღეს წინააღმდეგნი არიან, ხვალ დათანხმდნენ და კონფიგურაცია შეიცვალოს. □

ნოემბერი 2011

# საქართველო ხუსათის WTO-ში ბანუვიინანუბანს დაეთუნსმა

თათია ხალიანი



ფოტო: ფარასა ქორიანიძე

ლარსის საკონტროლო-გამშვები პუნქტი

**2011 წელს**, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის განვითარებასთან დაკავშირებით მოსკოვსა და თბილისს შორის დადებული ხელშეკრულება იქცა.

10 ნოემბერს, ყენევაში, ხელი მოეწერა შეთანხმების დოკუმენტს, რომლის თანახმად, შვეიცარიის მიერ

გულისხმობს ორგანიზაციის 153 წევრ ქვეყანაში.

რუსეთი WTO-ში განვითარებას 1994 წლიდან ცდილობს. ამისთვის მას ორგანიზაციის ყველა წევრის თანხმობა სჭირდება, ბოლო დრომდე კი მხოლოდ საქართველოს დასტური აკლდა. საქართველო აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებათა პროცესიდან 2008 წე-

**რუსეთი თანახმაა, საქართველო-რუსეთის საზღვრებს შორის ტვირთბრუნვის კონტროლის მექანიზმი შეიქმნას.**  
საქართველომ მხარი დაუჭირა რუსეთის განვითარებას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში.

მომზდებულ „კომპრომისულ წინადადებას“ ორივე მხარე დაეთანხმა.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, რუსეთი თანახმაა, საქართველო-რუსეთის საზღვრებს შორის ტვირთბრუნვის კონტროლის მექანიზმი შეიქმნას. საზღვრებს შორის იგულისხმება საქართველოს არაკონტროლირებადი რეგიონების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრები რუსეთის ფედერაციასთან, ასევე ზემო ლარსის სასაზღვრო პუნქტი. ტვირთბრუნვის მექანიზმი კი გულისხმობს ტვირთების მიმოსვლის როგორც ელექტრონულ კონტროლს, ისე საზღვრებზე საერთაშორისო მონიტორინგის მისიის განთავსებას. საზღვარზე კონტროლი კერძო კომპანიამ უნდა განახორციელოს. ის რუს და ქართველ მებაჟეებს ადმინისტრირების ცალკეული საკითხების მოგვარებაშიც უნდა დაეხმაროს.

ამ შეთანხმების სანაცვლოდ, საქართველომ მხარი დაუჭირა რუსეთის განვითარებას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში.

საქართველო 2000 წლიდან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) წევრია, რაც „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით“ სარგებლობას

ლის აპრილში მას შემდეგ გამოვიდა, რაც რუსეთმა საქართველოს არალიბრებულ რეგიონებს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, ეკონომიკური სანქციები მოუხსნა. საქართველომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ცალმხრივად განწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან. ეს ურთიერთობა მიმდინარე წლის გაზაფხულზე აღდგა, მაგრამ მხოლოდ შუამავალი სახელმწიფოს, შვეიცარიის მეშვეობით.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსეთთან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაზე მიღწეული შეთანხმება შეაფასა, როგორც საქართველოს დიპლომატიური გამარჯვება. მისი თქმით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე კონტროლის დაკარგვის შემდეგ, თბილისისათვის ხელმისაწვდომი გახდება ინფორმაცია საზღვრის ამ მონაკვეთებზე ტვირთების მოძრაობის შესახებ.

თავის მხრივ, წარმატებად შეფასდა ეს შეთანხმება რუსეთშიც. ახლა მნიშვნელოვანია, მოახდენს თუ არა გავლენას ეს შეთანხმება რუსეთ-საქართველოს სამომავლო ურთიერთობებზე და რეალურად რა შედეგებს მოიტანს საქართველოსთვის რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობა.

**კომენტარი**

**ტომას დე ვაალი**

კავკასიის მკვლევარი, კარნეგის ცენტრის ექსპერტი

ჯერჯერობით, უცნობია, თუ როგორ იმუშავებს რუსეთ-საქართველოს საზღვრის მონიტორინგი, რეალურად ის ქართულ მხარეს რა ინფორმაციას მიანდის. ამჟამად მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ეს საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა. დამოუკიდებელი დამკვირვებლები იმუშავებენ საზღვარზე. საქართველოს მთავრობა საჯაროდ აცხადებს, რომ რუსეთი დაეთანხმა პირობებს, მაგრამ საზღვარი გადის ფსოზე და არა ენგურზე. ეს ძირითადად, პიარის ნაწილია, რადგან რეალურად ამ ადგილებზე არაფერი შეიცვლება.

ხელშეკრულება, რომელსაც ორივე მხარემ მოაწერა ხელი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისთვის ნამდვილად კარგი შედეგია. გაჩნდა იმედი, რომ პირველ რიგში „ბორჯომი“ და შემდეგ ქართული ღვინო რუსულ ბაზარზე დაბრუნდება, რაც საქართველოში დასაქმებული ადამიანების რაოდენობას გაზრდის. მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა მრავალი პრობლემაც არის. სააკაშვილს და პუტინს პირადი უთანხმოება აქვთ, რაც მათ შორის მოლაპარაკებებს კიდევ უფრო გაართულებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პუტინი მომავალი წლიდან კრემლში დაბრუნდება.

გადაწყვეტილებამ, რომელიც საქართველომ მიიღო, ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე დადებითად იმოქმედა. სააკაშვილს, საერთაშორისო საზოგადოებაში ჯერ კიდევ იმპულსური და არაპროგნოზირებადი ლიდერის რეპუტაცია აქვს. მიმდინარე მოვლენებმა კი აჩვენა, რომ საქართველოს შეეძლო კონსტრუქციულად ემუშავა და თავის რთულ მეზობელთან შეთანხმებისთვის მიეღწია. **■**

ნოემბერი 2011

# ვეხილეთი ხანის სახელით

ზურა ვარდიაშვილი



ილუსტრაცია: ზურა ვარდიაშვილი

**საქართველოში** ნაფიც მსაჯულთა პირველი სასამართლო პროცესი 2011 წლის 9 ნოემბერს ჩატარდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ თორმეტი ნაფიცი და სამი სათადარიგო მსაჯული 7 ნოემბერს გამართულ სხდომაზე შეარჩია. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება ქართული სასამართლოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ის 2010 წლიდან ამოქმედდა

და 2012 წლის ოქტომბრამდე მხოლოდ თბილისის ტერიტორიაზე გავრცელდება. ამ დრომდე ნაფიცი მსაჯულები 109-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე ბრალდებულ პირებს გაასამართლებენ. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული 100 მოქალაქიდან, მხარეების მოთხოვნების საფუძველზე კანდიდატთა გარკვეული რაოდენობა იცხრილება, დარჩენილი კანდიდატებიდან, 12 დი-

რიოდ და 3 სათადარიგო მსაჯულს მოსამართლე ამტკიცებს. კანონის თანახმად, კანდიდატი მიღწეული უნდა იყოს 18 წელს, უნდა ფლობდეს სამართლის პროცესის ენას, ცხოვრობდეს თბილისში. არ უნდა ჰქონდეს ისეთი ფიზიკური, ან ფსიქიკური ნაკლი, რაც ხელს შეუშლის მის მიერ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებას. მსაჯულობის უფლება არ აქვთ:



სასულიერო პირებს, იურისტებს, ფსიქოლოგებს, ფსიქიატრებს, პოლიციელებს, ჯარისკაცებს, პოლიტიკური თანამდებობის პირებს და მათ, ვისაც ოდესმე ნარკოტიკების მოხმარებისთვის ადმინისტრაციული სახდელი დაკისრებიათ.

ნაფიცმა მსაჯულებმა გადაწყვეტილება თათბირის შედეგად უნდა გამოიტანონ, თათბირის საიდუმლოება დაცულია და მისი გამხელის უფლება არავის აქვს. პროცესის დასრულებამდე კონფიდენციალურია მსაჯულთა ვინაობაც.

მსაჯულთა პირველ სასამართლო პროცესს საზოგადოება მოუთმენლად ელოდა. ყველას აინტერესებდა გაამართლებდა, თუ არა ეს ინსტიტუტი ქართულ საზოგადოებაში.

2011 წელს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ორი პროცესი გაიმართა. პირველ პროცესზე მსაჯულებმა განზრახ, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ ყაჩაღობასა და მკვლელობის თანამონაწილეობაში ბრალდებული რევაზ დემეტრაშვილი დამნაშავედ ცნეს.

მსაჯულებმა გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანეს მეორე პროცესზეც, მათ დამნაშავედ სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფი ნოდარ მატიაშვილის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულები, რომეო სარქისოვი, ლევან კიკაბიძე და ვახტანგ ბეჟანიშვილი მიიჩნიეს.

ორი პროცესის შემდეგ დასკვნების გაკეთება პროცესში ჩართულ კომპეტენტურ პირებს გაუჭირდათ. საუბრობდნენ ადვოკატების მოუმზადებლობაზე, იმაზე, რომ ხელისუფლებამ ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღებით პასუხისმგებლობა მოსამართლეებიდან მსაჯულებზე გადაიტანა. მიუხედავად ამ საუბრებისა, ცალსახად სისტემის მხოლოდ უარყოფით, ან მხოლოდ დადებით მხარეებზე არავის უსაუბრია.

**კომენტარი**

**დავით აფრასიძე**  
ილიას უნივერსიტეტის პროფესორი

საზოგადოებაში სასამართლო სისტემისადმი მაღალი ნდობა არ არის და შესაძლებელია, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტით ამ პრობლემის გარკვეული ასპექტები მოგვარდეს. რა თქმა უნდა, გარკვეული გამოწვევები არსებობს. ამ სისტემისადმი ჩვენ ძალიან დიდი მოლოდინი გვაქვს, რომელსაც მიღებული შედეგი შესაძლოა არ შეესაბამებოდეს.

ეს ინსტიტუტი ვრცელდება მხოლოდ თბილისზე და მხოლოდ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობაზე. ის ორი შემთხვევა, როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გაიმართა, არ არის საკმარისი, რათა დავასკვნათ, მოქმედებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ჩვენი მოლოდინის შესაბამისად.

სასურველია, ნაფიც მსაჯულთა მოქმედების არეალი რაც შეიძლება მაღელ გაფართოვდეს, როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, ასევე სხვა ტიპის სისხლის სამართლის საქმეებზე. მესმის, რომ გაფართოება დაკავშირებულია სხვადასხვა პრობლემასთან, – მაგალითად ლოჯისტიკასთან. ჩნდება კითხვები, თუ როგორ უზრუნველყოთ მსაჯულების ანონიმურობა ისე, რომ საზოგადოებაში არსებული კავშირები ვინმემ ბოროტად არ გამოიყენოს. ცხადია, უფრო ადვილია ორი შემთხვევა მართო, ვიდრე ასი. თუმცა, მაინც მგონია, რომ ამ მიმართულებით წასვლა ღირს. რაც მთავარია, ბრალდებულს შეუძლია მიმართოს როგორც ნაფიც მსაჯულთა, ისე „ჩვეულებრივ“ სასამართლოს.

სასამართლო პროცესზე აქცენტი შეჯიბრობითობაზე გადავა, ეს ხელს შეუწყობს, ადვოკატის პროფესიის განვითარებას, მეტ პრესტიჟულობას შესძენს და მისი როლი და ფუნქცია გაიზრდება. იურისტები ვინრო წრის წარმომადგენლები აღარ იქნებიან. ისინი შეიძენენ უნარს, რომ თავიანთი არგუმენტები ხალხს აუხსნან. ისინი კანონის მუხ-

ლების არა მხოლოდ „ნამკითხავნი“, არამედ მათი ინტერპრეტატორები იქნებიან.

ყველაფერი კარგად ჩანს თეორიაში. სხვა საქმეა, რა იქნება პრაქტიკაში. სწორედ ესაა გამოწვევა, რომ პრაქტიკულმა განხორციელებამ ისეთი შედეგი არ მოიტანოს, როგორსაც დაგეგმვისას არ ველოდით.

ბევრს საუბრობენ იმაზე, თუ როგორ მიიღებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს ჩვენი საზოგადოება. კამათი, თუ როგორ შევეჩვევით ამ ცვლილებას, სულ მაგონებს საუბარს, დემოკრატიისთვის ქართული საზოგადოების მოუმზადებლობაზე. მე მგონია, რომ მოუმზადებელი საზოგადოება არ არსებობს. თუ ჩვენ ვთანხმდებით პრინციპზე, რომ საზოგადოებრივი ჩართულობა, მონაწილეობა, პასუხისმგებლობა, თავისუფლება და ა.შ. უნივერსალური ფასეულობებია, მაშასადამე, ისინი თავსებადია ნებისმიერ კულტურასთან. თუმცა, სირთულეები აუცილებლად იქნება.

ინსტიტუტის კრიტიკოსები ხშირად ახსენებენ შემთხვევებს, როდესაც ნაფიც მსაჯულებს კრიმინალები გაუთავისუფლებიათ, ან დამნაშავედ სრულიად უდანაშაულო ადამიანი უცვნიათ. სამართლიანობა არცერთ საზოგადოებასა თუ ინსტიტუტში არ არის ბოლომდე უზრუნველყოფილი. მდიდარმა ადამიანმა შეიძლება კვალიფიციური ადვოკატი იქირაოს, ღარიბმა – ვერა. თუმცა ისეთი შემთხვევები, როდესაც ნაფიცმა მსაჯულებმა სინამდვილისგან ასპროცენტიანი, დიამეტრიულად განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღეს, მცირეა და გახმაურებული.

განა არსებულ სისტემაში, ეკონომიკური და სოციალური სტატუსის არათანაბრობა არ მუშაობს? თანასწორობის ამ ელემენტს ვერც არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს. მაქსიმალურად უნდა გავითვალისწინოთ ყველა რისკი, თუმცა სისტემამ უნდა იმუშაოს. **■**

ნოემბერი 2011

# დაუსვანი შრომა

ანი ჭანკოტაძე



ფოტო: დავით მინდარიძე / REUTERS

ტყიბულის მალაროელები

**2011 წლის 24** ნოემბერს ტყიბულის ქვანახშირის მალაროში ერთი მალაროელი დაიღუპა, ერთი კი დაშავდა. ეს 2011 წელს მალაროში მომხდარი მეოთხე უბედური შემთხვევა იყო. სულ წელს ტყიბულის მალაროში ტრაგედია 7 მუშა იმსხვერპლა. ბოლო ორი წლის შედეგებს თუ შევაჯამებთ, მალაროში დაღუპულ მუშათა რიცხვმა 14-ს მიაღწია.

2011 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, საწარმოო ტრავმატიზმისა და სიკვდილიანობის

შემთხვევების სტატისტიკა წინა წელთან შედარებით შემცირებულია, თუმცა ნოემბრამდე 47 უბედური შემთხვევა დაფიქსირდა. აქედან 22 შემთხვევა ლეტალურად დასრულდა.

დაღუპულ მუშათა ოჯახები, უმეტეს შემთხვევაში, კომპენსაციას ვერ იღებენ. კომპენსაციას ვერ იღებენ ვერც ის ადამიანები, რომელთა ჯანმრთელობასაც პროფესიული მოვალეობის შესრულებისას მიაღდა ზიანი და ამჟამად მკურნალობა ესაჭიროებათ.

2006 წელს შრომის ინსპექციის გაუ-

ქმების შემდეგ შრომის უსაფრთხოებისთვის საჭირო პირობების მონიტორინგს, ფაქტობრივად, არცერთი ორგანო აღარ ახორციელებს, რაც უბედური შემთხვევების პრევენციას ხელს უშლის.

შრომის დაცვის გარანტიების ნაკლებობა ყველაზე თვალსაჩინო ფიზიკური დაზიანებისა და სიკვდილის შემთხვევებში ხდება, თუმცა ეს ყოველდღიურ შრომით ურთიერთობებშიც თვალშისაცემია. ადამიანის უფლებთა დამცველი ორგანიზაციები-

სა და პროფკავშირების განცხადებით, ქვეყანაში ადამიანის უფლება ღირსეულ და უსაფრთხო შრომაზე სისტემური პრობლემების წინაშე დგას.

ამ წლის სექტემბერში ქუთაისის მეტალურგიული ქარხნის, „ჰერკულესის“ მუშები, რომლებიც შრომითი პირობების გაუმჯობესებისა და ხელფასის გაზრდის მოთხოვნით გაიფიცნენ, პოლიციამ დაშალა. რამდენიმე მეტალურგი დააპატიმრეს. იმის მიუხედავად, რომ გაფიცვის უფლებას საქართველოს კონსტიტუცია იცავს, მეტალურგების შემთხვევაში თავად სახელმწიფომ დაარღვია ეს უფლება. მშვიდობიანი საპროტესტო აქცია პოლიციამ დაშალა.

საქართველოში ამჟამად 2010 წელს მიღებული შრომის კოდექსი მოქმედებს, რომელიც 2006 წლის კოდექსის ანალოგიურია, თუმცა იერარქიულად უფრო მაღლა მდგომი კანონი გახდა და ორგანულ კანონად ტრანსფორმირდა. კოდექსის მიმართ კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამენ საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირები, მემარცხენე პოლიტიკური ძალები,

მოაქვეყნა. კვლევაში, რომლის ავტორიც სოფიო ჩაჩავაა, პუნქტობრივად არის გამოყოფილი კოდექსის პრობლემური ადგილები, რომელიც ხშირად ხდება დამსაქმებლების მხრიდან მანიპულაციის საგანი. ეს არის ზეპირი თუ მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებები, ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება, შვებულებით სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხები, შრომითი ხელშეკრულების მოშლა და სხვა.

საია-სა თუ პროფკავშირების სტატისტიკით, 2011 წელს ყველაზე ხშირად დამსაქმებულების უფლებების შელახვა მსახურიდან წინასწარი გაფრთხილებისა და ახსნა-განმარტების გარეშე დათხოვას უკავშირდება. მოქმედი კოდექსის 37-ე მუხლი, ფაქტობრივად, სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციას ახალისებს, რაკი დამსაქმებელი ვალდებული არაა ახსნას, რა მოტივით გაათავისუფლა პირი. შესაბამისად, თუ დამსაქმებელი დასაქმებულს მისი პოლიტიკური შეხედულებების, ეროვნების თუ პროფკავშირის წევრობის გამო გაათავისუფლებს, ამ ფაქტის დისკრიმინაციად კვალიფიცირება მაინც ვერ მოხერხდება.

არა, იმიტომ, რომ შრომა თავისუფალია, გაფიცვის უფლება კი კონსტიტუციითაა გარანტირებული. ისევ კანონის უზენაესობასთან მივდივართ – ანუ გამოდის, რომ კანონი ჩვენთვის სავალდებულოა, პოლიციისთვის კი არა.

**კომენტარი**

**გურამ აპტრიაშვილი**  
საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე

21-ე საუკუნის საქართველოს შემხედვარეს 1 მაისის ჩიკაგოს მოვლენები და მუშების დარბევები მასხენდება: კრიმინალია, როდესაც ადამიანს ამუშავებ და ანაზღაურებას არ აძლევ, როდესაც ზეგანაკვეთურ შრომას არ უნაზღაურებ, როდესაც სახელმწიფო არ ფიქრობ შენს დასაქმებულ მოქალაქეზე და მის მიმართ პასუხისმგებლობას იხსნი.

სახელმწიფომ ყველგან უნდა იზრუნოს საკუთარი მოქალაქეების დაცვაზე და ის აქვე, საქართველოში ეუბნება უარს საკუთარ მოქალაქეს დახმარებაზე, თუ მენარმე შრომა არ აუნაზღაურა ან შრომის პირობები არ გაითვალისწინა.

ეს ნეოლიბერალური მიდგომები, რომელიც შრომის კოდექსში აისახა, თითქოსდა ინდივიდზეა გათვლილი, მაგრამ ამ ინდივიდებს ხელს უშლიან ჯგუფურად მოქმედებაში, რაიმეს ჯგუფურად მოთხოვნასა და საკუთარი მრავალრიცხოვანებით ვაჭრობაში. ადექი და რასაც მიაღწევ, ინდივიდუალურად მიაღწიე – ასეთია მორალი.

მცდარი შეხედულებაა, რომ ლიბერალური შრომის სამართალი ინვესტიციების მოზიდვაში დაგვეხმარება. როგორ შეიძლება, რომ 4-მილიონიანი საქართველომ, შრომითი სტანდარტების და სოციალური სტანდარტების დემპინგით, ანუ დაბლა დანევით, კონკურენცია გაუწიოს მილიარდიან ჩინეთს და მილიარდ სამს მილიონიან ინდოეთს. **□**

**მიუხედავად იმისა, რომ გაფიცვის უფლებას საქართველოს კონსტიტუცია იცავს, მეტალურგების შემთხვევაში თავად სახელმწიფომ დაარღვია ეს უფლება. მშვიდობიანი საპროტესტო აქცია პოლიციამ დაშალა.**

ევროკავშირი, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები. იურისტების შეფასებით, შრომის კოდექსი შესაბამისობაში არაა ევროპის სოციალური ქარტიის ნორმებთან, რომელსაც საქართველო 2005 წელს შეუერთდა.

2011 წელს „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ ევროკავშირის დაფინანსებით ქართული შრომის სამართლის ანალიზი გა-

**კომენტარი**

**თამაზ დოლაბერიძე**  
მეტალურგიული და სამთო მრეწველობის პროფესიული კავშირების თავმჯდომარე

ქუთაისში გაფიცვისას აბსოლუტურად მშვიდობიანი საპროტესტო აქცია პოლიციამ დაშალა. პოლიციელები მთელ ორ კვირას დადიოდნენ რეიდებზე მუშების სახლებში, ხელში სია ეჭირათ და ამონებდნენ, მიდიოდა თუ არა სამუშაოზე ადამიანი. პოლიციის გადასაწყვეტი არაა, სამუშაოზე წავალ თუ

ლახემახი 2011

# ახალი სახიჩევენო ჯოდეხსი

მაია ნიკლაური, ანი ჭანკოტაძე



ფოტო თხილი პარლიამენტი

თბილისის ერთ-ერთი საარჩევნო უბანი

**2011 წლის 27** დეკემბერს პარლამენტმა ახალი საარჩევნო კოდექსი მესამე მოსმენით დაამტკიცა. კოდექსში ცვლილებების დამტკიცებას წინ უძღოდა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის წელიწადნახევრიანი მოლაპარაკებები. თუმცა დღეს ოპოზიცია და ექსპერტები აცხადებენ, რომ ახალი კოდექსის დამტკიცების შემთხვევაში, საარჩევნო გარემო უფრო ჯანსაღი და სამართლიანი ვერ გახდება.

საარჩევნო გარემოზე მოლაპარაკებები ხელისუფლებასთან ოპოზიციური "რვიანის" ფარგლებში დაახლოებით 6 თვის მანძილზე მიმდინარეობდა, თუმცა უშედეგოდ. ოპოზიციის ყველაზე პრინციპული წინადადებები და შენიშვნები ახალ კოდექსში არ აისახა. უფრო მეტიც, ხელისუფლებამ მოახერხა საარჩევნო ცვლილებებისათვის

შექმნილი ოპოზიციური ერთობის დაშლა და 2011 წლის ივნისში მხოლოდ ორ ოპოზიციურ პარტიასთან („ახალი მემარჯვენეები“ და „ქრისტიან-დემოკრატები“) შეთანხმებით საარჩევნო ცვლილებების მისთვის ხელსაყრელი ვარიანტი პარლამენტს წარუდგინა.

ოპოზიციური "რვიანი" ჯერ მაჟორიტარული წესით დეპუტატების არჩევის სისტემის გაუქმებას ითხოვდა. შემდეგ მაჟორიტარების რაოდენობის შემცირებას, თუმცა უშედეგოდ. არაფერი შეცვლილა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების საკითხშიც. ნაცვლად იმისა, რომ იმ თანამდებობის პირების სია, ვისაც საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა შეუძლია, შემცირებულიყო, ახალი საარჩევნო კოდექსით გუბერნატორებსა და გამგებლებს საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლება მისცეს.

ერთ-ერთი შეთანხმება, რასაც ხელისუფლებამ და ორმა ოპოზიციურმა პარტიამ მიაღწიეს, დეპუტატთა რაოდენობის 150-დან 190-მდე გაზრდა იყო. თუმცა შეთანხმების ეს პუნქტი მოულოდნელად შეიცვალა და ხელისუფლებამ ის საარჩევნო ცვლილებათა პაკეტიდან საერთოდ ამოიღო. შეიცვალა მხოლოდ პროპორციული და მაჟორიტარული წესით არჩეულ დეპუტატთა თანაფარდობა. თუკი მანამდე 75/75 იყო, ახალი კოდექსით 77 დეპუტატი პროპორციული წესით, 73 კი მაჟორიტარული წესით აირჩევა. ასევე დადგინდა ნორმა, რომლის მიხედვითაც 5%-იან ბარიერგადალახულ პარტიას ფრაქციის შესაქმნელად საჭირო 6 დეპუტატი ეყოლება საკანონმდებლო ორგანოში.

ვენეციის კომისიამ დეკემბერში გა-

მოქვეყნებულ დასკვნაში განაცხადა, რომ ახალი საარჩევნო კოდექსი არ უზრუნველყოფდა თანაბარი საარჩევნო ოლქების არსებობას, რაც „შერეულ საარჩევნო სისტემაში ხმის მიცემის თანასწორუფლებიანობას განაპირობებდა“. ეს შენიშვნა საარჩევნო ცვლილებათა პაკეტში არ აისახა. სამაგიეროდ, პარლამენტარებმა გაითვალისწინეს ვენეციის კომისიის შენიშვნა საარჩევნო პროცესში ქალების მონაწილეობის წახალისების შესახებ. ასევე, გაუქმდა პარლამენტის წევრობისათვის აუცილებელი საქართველოში ცხოვრების 5 წლიანი ცენზი. ამომრჩეველთა სიების დასაზუსტებლად სპეციალურ კომისიას ვადა 2012 წლის ივლისის ნაცვლად აგვისტომდე გაუხანგრძლივდა. კომისიის ხელმძღვანელად კი ოპოზიციონერი,

**კომენტარი**

**პანტაძე ხვალაძე  
კონსტიტუციონალისტი, „რესპუბლიკური პარტიის წევრი“**

ჩვენი საარჩევნო კოდექსის მიმართ წლების განმავლობაში იყო გამოთქმული მრავალი პრეტენზია ვენეციის კომისიის, ევროსაბჭოს, უეთოს სადამკვირვებლო მისიის მიერ. და ეს რეკომენდაციები ახალ კანონში საერთოდ არ გათვალისწინებულია. თუ რაიმე გაითვალისწინა ხელისუფლებამ, ეს იყო უფრო ფასადური ხასიათის ცვლილებები, ანუ ზოგიერთი ნორმის მხოლოდ შეღამაზება. ყველა ის არსებითი პრობლემა, რომლის გამოც ჩვენი არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარება შეუძლებელია, ისევე დარჩა. უნდა გვევარაუდა, რომ ახალი საარჩევნო კოდექსი ამ პრობლემებს მოაგვარებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, პირიქით მოხდა, მან ახალი პრობლემები გააჩინა.

**საარჩევნო გარემოზე მოლაპარაკებები ხელისუფლებასთან ოპოზიციური „რვიანის“ ფარგლებში დაახლოებით 6 თვის მანძილზე მიმდინარეობდა, თუმცა უშედეგოდ. ოპოზიციის ყველაზე პრინციპული წინადადებები და შენიშვნები ახალ კოდექსში არ აისახა.**

„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი მამუკა კაციტაძე დაინიშნა, რომელიც ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეთანხმების ერთ-ერთი ინიციატორი იყო. ერთიანი სია 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის უნდა იყოს მზად. 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებზე გამოვლინდა შემთხვევები, როცა ოპოზიციისა და დამკვირვებლების განცხადებით, საარჩევნო უბნის უშუალო სიახლოვეს მმართველი პარტიის აგიტატორები აქტიურობდნენ. უმრავლესობამ არ გაიზიარა „თავისუფალი დემოკრატიის“ ინიციატივა, რომ არჩევნების დღეს აგიტაცია აკრძალულიყო საარჩევნო უბნიდან 50 მეტრის რადიუსში. აგიტაცია მხოლოდ უბნის შენობაში იკრძალება.

უნდა გამოსწორებულიყო და არ გამოსწორდა შემდეგი საკითხები: საარჩევნო სისტემა. ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა ვენეციის კომისიის რჩევები, რომლის მიხედვითაც საარჩევნო ოლქები დაახლოებით თანაბარი უნდა იყოს თითოეულ ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით და ისინი ერთიმეორისაგან 10 %-ზე მეტით არ უნდა განსხვავდებოდეს. ვენეციის კომისიის დასკვნებში ნათლადაა განერილი, რომ მთელი რიგი შეზღუდვები, რომელსაც საარჩევნო კოდექსი საარჩევნო პროცესში მონაწილეობისთვის ადგენს, არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და შესაცვლელია. იურიდიულ და საქველმოქმედო ორგანიზაციებს, საქართველოში მცხოვრებ, სხვა ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა ეკრძალებათ. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესაძლებლობა მკვეთრად იზღუდება, მედიის მიერ საარჩევნო პროცესის სამართლიანად გაშუქება ისევე არ არის უზრუნველყოფილი. ამას ემატება საარჩევნო სუბიექტის დაფინანსების აკრძალვა, იურიდიული პირების მიერ შემოწირულობების სახით დაფინანსების აკრძალვა, ასევე, საარჩევნო კოდექსის პარალელურად ბანკების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის კანონპროექტი, რომლითაც, ფაქტობრივად, ხელისუფლების კონტროლის ქვეშ ექცევა არა მხოლოდ იურიდიული, არამედ ყველა ფიზიკური პირი, რომელიც პირდაპირ ან ირიბ კავშირშია პოლიტიკურ პარტიასთან. აქ ჩნდება ორი პრობლემა: სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური პარტიისთვის მიცემული დაფინანსება საკმაოდ მცირეა, კამპანიის დაფინანსების ერთადერთი წყარო კი შემოწირულობაა. მისი შეზღუდვით პოლიტიკურ პარტიებს ნორმალური საარჩევნო კამპანიის გამართვის შესაძლებლობა ეზღუდებათ. მეორე პრობლემა, რაც შეიძლება უფრო სახიფათო იყოს, ისაა, რომ კანონი ხელისუფლებას უფლებას აძლევს, ცხვირი ჩაყოს ნებისმიერი ადამიანის პირად ცხოვრებაში და შეუზღუდოს მას მოქმედების შესაძლებლობა. თუ ეს ნორმები არ შეიცვალა, თუნდაც მათი ნაწილი არ გაუმჯობესდა და სწორად არ დაინერგა, მაშინ საარჩევნო გარემო გაუარესდება. უმჯობესია ხელისუფლება გონს მოეგოს, ნაკლებად აპყვეს შიშს, რომელიც ქვეყანაში სერიოზული პოლიტიკური ალტერნატივის გამოჩენის გამო დაეუფლა და ისე მოიქცეს, როგორც ცივილიზებული ქვეყნების ხელისუფლებები იქცევიან. ხელისუფლება ამ ნაბიჯებს გადადგამს მხოლოდ მაშინ, თუ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ამას კატეგორიულად მოითხოვს და თუ ამავდროულად, ხელისუფლებაზე საერთაშორისო ზენოლა განხორციელდება. ■

# "საქართველოს ფოსტა" - ბზა მომბეზირან ბიზნესად სხანსფოხმასიოსხან

2011 წლის საპრივატიზაციო გეგმა 40-მილიონიანი გადაჭარბებით შესრულდა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ წელს 1 267 ობიექტი გაყიდა. დაგეგმილი 150 მილიონი ლარის მაგივრად სახელმწიფო ბიუჯეტში 190 მილიონ ლარზე მეტი თანხა შევიდა. თუმცა, „საქართველოს ფოსტა“, კომპანია, რომელიც, გეგმის მიხედვით, წლის ერთ-ერთი მთავარი საპრივატიზაციო ობიექტი უნდა ყოფილიყო, ისევ გასაყიდა.

## მანანა ვარდიაშვილი

„საქართველოს ფოსტა“ 100 პროცენტით სახელმწიფოს მფლობელობაშია და ადგილობრივ ბაზარზე უმსხვილესი საფოსტო კომპანიაა. მის საკუთრებაშია 87 000 კვ.მ. მიწის ფართი და 100 000 კვ.მ. ფართის შენობა. „საქართველოს ფოსტას“ ქვეყნის მასშტაბით 900-მდე ობიექტი აქვს. მარტო თბილისში ის რამდენიმე ათეული განყოფილებითაა წარმოდგენილი.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2010 წლის 27 ოქტომბერს შპს „საქართველოს ფოსტის“ გაყიდვის შესახებ განაცხადა და კერძო კომპანიებს მათთვის ხელსაყრელი პირობები შესთავაზა: თუ პრივატიზების სხვა ცნობილი შემთხვევების დროს, სახელმწიფო ინვესტორებს განსაზღვრულ პირობებს თვითონ უდგენდა, ახლა კომპანიებს შეეძლოთ თვი-



თონ წარედგინათ გეგმა – რა პირობით და რა ფასად სურთ „საქართველოს ფოსტის“ შექმნა.

ინტერესთა გამოხატვის ვადა 2010 წლის 20 დეკემბერს ამოიწურა. თუმცა, გასული წლის ბოლოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ პოტენციური ინვესტორებისთვის განაცხადების შეტანის ვადა გაურკვეველი დროით გადასწია.



საქართველოს ფოსტა, თბილისი 2011

ფოტო: თეონი ბაჩიაშვილი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერა ქობალიამ 2011 წლის 7 ივნისს განაცხადა, რომ საქართველოს ფოსტის შესყიდვის სურვილი სამმა კომპანიამ გამოთქვა. პოტენციურ ინვესტორებთან, რომლებიც საქართველოდან, შვეიცარიიდან და რუმინეთიდან იყვნენ, სამინისტრო კომპანიის გაყიდვის განსხვავებული კონცეფციების თაობა-

ზე მოლაპარაკებებს აწარმოებდა. თუმცა, მოვლენები მოულოდნელად სულ სხვა სცენარით განვითარდა.

ქობალიას განცხადებიდან 10 დღის შემდეგ, 17 ივნისს ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშვილი საკუთარი განცხადების საფუძველზე თანამდებობიდან გადადგა და „საქართველოს ფოსტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა.

ბაინდურაშვილის კვალდაკვალ „საქართველოს ფოსტის“ ტოპ-მენეჯმენტში კიდევ ერთი სახელმწიფო ჩინოვნიკი წავიდა. ფოსტის გენერალურ დირექტორად ლევან სანაძე დაინიშნა, რომელიც მანამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელობდა.

2011 წლის 24 ივნისს კი ეკონომიკის სამინისტრომ „საქართველოს ფოსტა“

საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოიღო. ამის მიზეზად ბაინდურაშვილმა დაასახელა ის, რომ პოტენციური მყიდველების საინვესტიციო წინადადებები „ლოგიკასთან ახლოსაც არ იდგა“. „ფოსტას მხოლოდ ფართის კუთხით უყურებენ და არა როგორც ანციობილ ბიზნესს. ეს კი მის გასაყიდ ღირებულებას ამცირებს“, — განმარტა ბაინდურაშვილმა.

„საქართველოს ფოსტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ფაქტობრივად გაკოტრებული კომპანია ჩაიბარა. მთავარი მიზეზი, რის გამოც კომპანიამ წლების

„საქართველოს ფოსტის“ მოდერნიზაცია უცნაური გარიგებით დაიწყო. 2011 წლის 9 აგვისტოს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ 100%-იანი წილის მფლობელმა, ოფშორში, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებულმა კომპანიამ „ლექსორ კაპიტალ კორპმა“ ლატარიის კომპანიის 70%-იანი წილი „უსასყიდლოდ და უპირობოდ“ ეკონომიკის სამინისტროს აჩუქა (ხელშეკრულება უვადოა და „ლექსორ კაპიტალს“ წილის უკან გამოთხოვა ეკრძალება). 2 დღის შემდეგ „საქართველოს ლატარიის კომპანიის“

რაიონებში ოფისების შენახვის, სადისტრიბუციო მანქანებისა და პერსონალის ხარჯები, რადგან მის ნაცვლად „საქართველოს ფოსტის“ ქსელი იქნება გამოყენებული.

ეფექტიანი მენეჯმენტისთვის სახელმწიფომ კომპანიას კიდევ ერთი შეღავათი მისცა – რამდენიმე თვის წინ „ლატარიის კომპანია“ დამატებული ღირებულების გადასახადისგან გაათავისუფლეს. ახლა „საქართველოს ფოსტა“ ლატარიის ახალი სახეობის დამატებას და ლატარიის კომპანიის წლიური ბრუნვის 50 მლნ ლარამდე გაზრდას აპირებს.

**■ „საქართველოს ფოსტის“ მოდერნიზაცია უცნაური გარიგებით დაიწყო. 2011 წლის 9 აგვისტოს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ 100%-იანი წილის მფლობელმა, ოფშორში, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებულმა კომპანიამ „ლექსორ კაპიტალ კორპმა“ ლატარიის კომპანიის 70%-იანი წილი „უსასყიდლოდ და უპირობოდ“ ეკონომიკის სამინისტროს აჩუქა.**

„საქართველოს ფოსტის“ რებრენდინგის პირველი საგრძნობი შედეგი ტარიფების გაზრდა იყო. 3 აგვისტოდან შიდა რესპუბლიკური საფოსტო გზავნილების ტარიფმა 115%-ით მოიმატა, 5 კილოგრამამდე ამანათების გაგზავნა კი 472%-ით გაძვირდა.

3 აგვისტომდე 20 გრამამდე შეკვეთილი გზავნილის მინიმალური ღირებულება 2 ლარი იყო, უბრალო გზავნილი კი 1.60 ლარი ღირდა. 3 აგვისტოდან კი შეკვეთილი გზავნილის ფასი, რომლის წონაც 50 გრამს არ აღემატება, 4.30 ლარი გახდა.

გაიზარდა ამანათების გაგზავნის ტარიფებიც. 5 კილოგრამამდე წონის შიდარესპუბლიკური გზავნილის ფასი 5-დან 23.60-მდე, ხოლო 10-კილოგრამამდე გზავნილის ღირებულება 7-დან 29 ლარამდე გაიზარდა. მაქსიმალური – 20 კილოგრამი წონის ამანათის გაგზავნა 10 ლარის მაგივრად ახლა 35.40 ლარი ღირს. „საქართველოს ფოსტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ [www.comersant.ge](http://www.comersant.ge)-სთან საუბარში განაცხადა, რომ ტარიფების გაზრდა „პრაქტიკულად გაკოტრებული კომპანიის“ გადასარჩენად გატარებული გადამჭრელი ზომა იყო.

„ჩვენი მიზანი არის ქართული ბაზრის უპირატესი წილის მოპოვება, რაც გაზრდის საქართველოს ფოსტის ბრუნვას. ჩვენი ამოცანაა კლიენტს შეთავაზოთ მაქსიმალურად ეფექტიანი, სწრაფი და სანდო სერვისი, რაც გაზრდის საქართველოს ფოსტის მომსახურ-

განმავლობაში ვერც რეალური რებრენდინგი და ვერც მოგებაზე მუშაობა შეძლო, იყო მწირი ბიუჯეტი, ცუდი მენეჯმენტი და უზარმაზარი ქონება, რომელიც ბოლო პერიოდში ფოსტისთვის წინააღმდეგ უფრო იქცა, ვიდრე განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად.

1992 წლის შემდეგ ფოსტა თავის შენახვას დიდწილად პენსიების დარიგებით ახერხებდა. მას შემდეგ, რაც 2004 წელს პენსიების დარიგების ფუნქცია სახელმწიფომ ტენდერში გამარჯვებულ „სახალხო ბანკს“ დააკისრა, ფოსტის შემოსავლები მკვეთრად შემცირდა.

ხელისუფლებამ გადაწყვიტა, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საინვესტიციო ობიექტი ფეხზე დააყენოს, მომგებიან სანარმოად აქციოს და მხოლოდ ამის შემდეგ გაყიდოს. მთავრობა „საქართველოს ფოსტის“ მომგებიან ბიზნესად ტრანსფორმაციას, მაქსიმუმ, 1,5 წელიწადში გეგმავს. სახელმწიფომ კომპანიამ 1 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია უკვე ჩადო.

70%-იანი წილი ეკონომიკის სამინისტრომ 5-წლიანი მართვის უფლებით „საქართველოს ფოსტას“ გადასცა.

ბაინდურაშვილი აცხადებს, რომ ლატარიის კომპანიებისა და ფოსტების ურთიერთთანამშრომლობა მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა და ასეთი კოოპერაცია კომპანიას ხარჯების შემცირების და მოგების გაზრდის შესაძლებლობას აძლევს.

„საქართველოს ფოსტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ამბობს, რომ ფოსტას, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ოპერირებს, ყველა შესაძლებლობა აქვს იმისთვის, რომ „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ ეფექტური მენეჯმენტი განახორციელოს და ჩაერთოს ლატარიის ორგანიზებაში: „საქართველოს ფოსტას“ დიდი ინფრასტრუქტურა აქვს – ქვეყნის მასშტაბით 900-მდე ობიექტი. ეს კი ლატარიის კომპანიას რეგიონული სადისტრიბუციო ხარჯების შემცირების საშუალებას აძლევს. შემცირდება



რებებით მოსარგებლეთა რიცხვს“, – განაცხადა ბაინდურაშვილმა.

„ქართული ბაზრის უპირატესი წილის მოპოვების“ პროცესში „საქართველოს ფოსტას“ ხელისუფლება აქტიურად ეხმარება: სასკოლო ნიგნების დისტრიბუციის პროცესში წელს „საქართველოს ფოსტა“ ჩაერთო. შესაბამის მემორანდუმს ხელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაჰკინმა და საქართველოს ფოსტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ კახა ბაინდურაშვილმა მოაწერეს.

„საქართველოს ფოსტამ“ ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების

სამინისტროსთანაც. მემორანდუმის თანახმად, მსჯავრდადებულის და ბრალდებულის ოჯახის წევრებს „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით პენიტენციური სისტემის დანესებულებებში ამანათების გაგზავნა შეუძლიათ.

„საქართველოს ფოსტას“ და სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამაში ჩართულ 900 ათას ადამიანს „საქართველოს ფოსტის“ კურიერები ემსახურებიან. კურიერებმა პოლისი სადაზღვევო პროგრამის ბენეფიციარებს სახლებში უნდა მიუტანონ, კურიერის მომსახურების ფასი კი სადაზღვევო კომპანიებმა უნდა დაფარონ.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლების ხელშეწყობით „საქართველოს ფოსტა“ ბაზრის უპირატეს წილს მოიპოვებს, პრივატიზაციის პროცესი, სავარაუდოდ, ისევ განახლდება. ბაინდურაშვილი აცხადებს, რომ კომპანიის ღირებულება 100-150 მილიონი დოლარია. საქართველოში მოქმედი კერძო კომპანიები თავიანთი მწირი რესურსებით „საქართველოს ფოსტის“ ფასს ვერ შესწვდებიან. საერთაშორისო ოპერატორები კი, საეჭვოა, საქართველოს პატარა ბაზრით დაინტერესდნენ.

ბაინდურაშვილი არ გამოიხატავს, რომ „საქართველოს ფოსტა“ სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბდეს და გასაყიდად საერთაშორისო ბირჟებზე გავიდეს. ■





ფოტო: ლევან სარგაძე

„ტფილისის შამქრის“ კამპანია „დაიკავე გუდიაშვილი“, თბილისი 24 დეკემბერი 2011



# ბუღიაშვილის მოედანი ქალაქი

დიდი ისტორიის და არქიტექტურული მნიშვნელობის მიუხედავად,  
გუდიაშვილის მოედნის მომავალი უცნობია.

ნინო რობაქიძე

„ყველა ჩემს მეგობარს, რომელსაც ჰგონია, რომ თბილისის სიყვარულზე ექსკლუზივი გააჩნია, მოვასხენებ – გუდიაშვილის მოედნის რეკონსტრუქციის არანაირი განხილული და დამტკიცებული პროექტი არ არსებობს. გუდიაშვილს არავინ არ ანგრევს,“ – ეს სტატუსი სოციალურ ქსელ Facebook-ზე საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ გოკა გაბაშვილმა 20 დეკემბერს მას მერე დადო, რაც ქსელში გუდიაშვილის მოედნის რეკონსტრუქციის პროექტის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა.

„ჩვენ გარდავქმნით კლასიკურ ქართულ ელემენტს ნიშნულად, რომელიც იქნება ფასადური დიზაინის ნაწილი მდიდრულად დეკორირებულ აივნებთან ერთად არსებული შენობების ისტორიული სახისა და მასშტაბის გათვალისწინებით. ეს ელემენტი იქნება ფასადებისა და სხვადასხვა ტიპის აბსტრაქციების გამაერთიანებელი იდეა, რომელიც ინდივიდუალურ შენობებს ერთი ანსამბლის ჰარმონიულობას შესძენს,“ – განმარტავს ავსტრიული კომპანია „Zechner & Zechner“, რომელმაც ერთ-ერთი ავტორიტეტული საინფორმაციო სააგენტოს – worldarchitecturenews.com-ის ინფორმაციით, თბილისში გუდიაშვილის მოედნის მულტიფუნქციური განვითარების კონკურსი უკვე მოიგო.

გუდიაშვილის ავსტრიული რეკონსტრუქციის შესახებ ინფორმაცია და ფოტოები ერთ დღეში მთავარ ახალ ამბად იქცა – სოციალურ ქსელებში არ წყდებოდა აღშფოთების და იმედგაცრუების გამოხატავი კომენტარები. იმავე დღეს ქალაქის მერიამ ოფიციალურ ვებ-გვერდზე მოკლე განმარტება გამოაქვეყნა: „ჩვენი პრიორიტეტია გუდიაშვილის მოედანზე მდებარე ისტორიული შენობებისა და ზოგადად, ამ ურბანული ქსოვილის კულტურული მემკვიდრეობის სრულად შენარჩუნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგეგმება შენობების კონსტრუქციული გამაგრება და ისტორიული ფასადების რესტავრაცია“, – ნათქვამი იყო განცხადებაში.

იქვე მერია განმარტავდა, რომ გუდიაშვილის მოედნის საინვესტიციო გარემოს კვლევაზე გამოცხადებული კონკურსის

შესახებ ქალაქის ხელისუფლებისთვისაც სოციალური ქსელებიდან გახდა ცნობილი და მერიაში არანაირი განაცხადი ამის შესახებ არ ყოფილა წარმოდგენილი და განხილული: „აღნიშნული კონკურსი წარმოდგენს კერძო ინიციატივას და არანაირი შეხება არ აქვს თბილისის მერიასთან. როგორც ჩვენ განგვიმარტეს, კონკურსს აქვს მხოლოდ კონცეპტუალური და არა რაიმე არქიტექტურული დატვირთვა“.

ქალაქის ხელისუფლების ამ განმარტების მიუხედავად, 24 დეკემბერს გუდიაშვილის მოედანზე თბილისზე მზრუნველთა ორგანიზაციის, „ტფილისის ჰამქარის“, წევრების მოწოდებით კამპანია „დაიკავე გუდიაშვილი“ დაიწყო.

„ჩვენ არ ვიქნებით ცივილური და ევროპელი ერი, თუ გუდიაშვილის მოედანს თავზე დაგვანგრევენ“, „ეს თბილისის ისტორიული ნაწილია და არავის უნდა ჰქონდეს უხეში და არაპროფესიონალური ჩარევის უფლება“, „ჩვენ ვიმსახურებთ ვიცოდეთ, თუ რას უპირებს მერია ჩვენს ქალაქს“ – ამ კომენტარებით ეხმაურებოდნენ აქციის მონაწილეები გავრცელებულ ინფორმაციას. აქციაზე „დაიკავე გუდიაშვილი“ დაახლოებით 300-მდე ადამიანი შეიკრიბა.

„მოვითხოვთ თბილისის მერიის პასუხისმგებელ პირებთან შეხვედრას, სადაც დოკუმენტურად დაგვიდასტურებენ, რომ მოედანს საფრთხე არ ემუქრება. ასევე, მოვითხოვთ დაიწყოს დანგრევის პირას მყოფი შენობების გამაგრებითი სამუშაოები“, – გუდიაშვილის სკვერში აქციის მონაწილეების მოთხოვნები „ტფილისის ჰამქარის“ ხელმძღვანელმა, ალექსანდრე ელისაშვილმა გაახმოვანა.

„ტფილისის ჰამქარი“ გუდიაშვილის სკვერის და მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოპოვებას დიდი ხანია ცდილობს. თბილისის განვითარების ფონდის განმარტებით არსებობდა კონკრეტული ინვესტორი – ავსტრიულ-ქართული კომპანია „მაგნატი“, რომელიც პასუხისმგებელი იყო გუდიაშვილის მოედნის რეკონსტრუქციაზე. მაშინ ჟურნალისტებისთვის და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ქალაქის ხელისუფლებასა და ინვესტორს შორის დადებული ხელ-

შეკრულების მხოლოდ მცირე ნაწილი გახდა ცნობილი, თუმცა ეს ნაწილიც ბევრ პრობლემურ პუნქტს შეიცავდა.

„ტფილისის ჰამქარის“ წევრის, ალექსანდრე ელისაშვილის განცხადებით, გუდიაშვილის მოედნის ბედზე ქალაქის მერიისგან დაზუსტებული ინფორმაცია დღემდე ვერ მიიღეს, მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულიდან მოყოლებული არაერთხელ მოითხოვეს მოედნის რეკონსტრუქციის შესახებ დეტალური, დაზუსტებული ინფორმაციის მიღება. „ტფილისის ჰამქარში“ ვარაუდობენ, რომ მერიაში დიდი ხანია გადაწყვეტილი აქვთ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს აღნიშნული ისტორიული უბნის რეკონსტრუქცია და ინფორმაციის გასაიდუმლოება ეჭვს აჩენს, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები სერიოზული საფრთხის წინაშე დგას.

ელისაშვილი განმარტავს, რომ დღეისათვის „ტფილისის ჰამქარს“ გუდიაშვილის მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მხოლოდ ნაწილი აქვს, თუმცა „ჰამქარი“ აღნიშნულ დოკუმენტებში უკვე ხედავს პრობლემას.

„მერია არ გვპასუხობს კითხვაზე, თუ როგორ მოხდა, რომ „თბილისის განვითარების ფონდმა“ „ორაო მაგნატ გუდიაშვილს“, ანუ იმ კომპანიას, რომელიც, ჩვენი მონაცემებით, გუდიაშვილის სკვერის რეკონსტრუქციაზეა პასუხისმგებელი, მისცა უფლება თავისი მოსაზრებების მიხედვით გადაანაცვლოს წითელი ხაზები,“ – აცხადებს ელისაშვილი და განმარტავს, რომ ეს წითელი ხაზები სპეციალური კომისიის მიერ ქალაქის ისტორიულ უბანში მშენებლობების და რეკონსტრუქციების წესის განსაზღვრად და დამტკიცებული და არ შეიძლება დაინტერესებული მხარის სურვილით იცვლებოდეს. ამ კითხვაზე მერიისგან კომენტარის მიღება ვერც „ლიბერალმა“ მოახერხა.

ყველაზე ძველი დოკუმენტი მოედნის არსებობისა 1785 წლის ქალაქის გეგმა, ალექსანდრე პიშჩევიჩის მიერ ერეკლე მეორის დროს შედგენილი ტფილისის გეგმა, სადაც დღევანდელი გუდიაშვილის მოედანია დატანილი. მას შემდეგ მოედანს ბევრი რამ გადახდა, ბევრი სახელიც შეიცვალა და ბოლოს გუდიაშვილის მოედანი ეწოდა.

2007 წელს გუდიაშვილის მოედანს ძველი თბილისის გამგეობამ რეკონსტრუქცია ჩაუტარა, ბაღი რკინის ლობის ნაცვლად მოდერნის სტილს მიმსგავსებული მასიური რკინის ლობით შემოიფარგლა, მოედნის შუაგულში დაიდგა მოქანდაკე ნულაძის ქანდაკება-შადრევანი „პირველი ნვიმა“. მართალია, მაშინაც ბევრმა გაა-

პროტესტა მოედნის ახალი იერსახე, თუმცა ასეთი მასშტაბის განახლება ისტორიულ ძეგლებს საფრთხეს არ უქმნიდა.

კამპანია „დაიკავე გუდიაშვილი“ პერმანენტულ აქციებს სწორედ იმიტომ გეგმავს, რომ ქალაქის ამ ისტორიულ ნაწილში ხელისუფლებამ გამოუსწორებელი ცვლილებები არ დაუშვას. 30

დეკემბერს გუდიაშვილის მოედანი კიდევ ერთ აქციას უმასპინძლებს. კამპანია „დაიკავე გუდიაშვილი“ მონაწილეები ყველას, ვინც გუდიაშვილის მოედანზე მოვა, გლინტეინით გამასპინძლებას ჰპირდებიან და ცარიელ სახლებს შორის მოქცეული სკვერის გაცოცხლებას აპირებენ.

ძველი თბილისის ძველ უბანში – კალაში 5 ქუჩისა და ერთი გასასვლელის შესაყარზე მდებარე გუდიაშვილის მოედანი ქალაქში მართლაც ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და მყუდრო ადგილია. შეიძლება ეს იმიტომაც, რომ მთელ თბილისში აღარ დარჩა ისეთი ადგილი, სადაც ისტორიულად ჩამოყალიბებული ურბანული გარემო ჯერ არ დარღვეულა.

გუდიაშვილის ბაღის გარშემო სახლებიდან მერიამ მოსახლეობა ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ გამოასახლა, თუმცა იმ შენობების რესტავრაცია, რომლებიც დანგრევის პირასაა, ჯერ ისევ არ დაწყებულია. ბზარები კედლებზე, დაქანებული კიბეები და კედლები გვანიშნებენ, რომ ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის სიაში მოხვედრილ უნიკალურ ნაგებობებს სასწრაფო რესტავრაცია და რეაბილიტაცია სჭირდებათ.

სანამ მერია გუდიაშვილის მოედანთან დაკავშირებით მხოლოდ ვებგვერდზე დადებული ზოგადი კომენტარით შემოიფარგლება, მოედნის მიმდებარედ რამდენიმე შენობის მდგომარეობა განსაკუთრებით კრიტიკულია. ასეთია ლერმონტოვის 2 ნომერი, რომელიც სასწრაფო რეაბილიტაციასა და რესტავრაციას საჭიროებს. სპეციალისტების განცხადებით, კომპუტენტური და სასწრაფო ჩარევის გარეშე სულ მალე ლერმონტოვის 2 დანგრევა და მისი აღდგენა, უბრალოდ, შეუძლებელი იქნება.

შეინარჩუნებს თუ არა ხანგრძლივი და საინტერესო ისტორიის მოედანი სახეს, დღეს ძნელი სათქმელია. თუმცა ფაქტია, რომ თუ ჩარევა დროული და კომპეტენტური არ იქნება, ის ქუჩათა ქსელი, ძველი თბილისური ეზოები, აივნები, ჩიხები და კიბეები – რაც მოედანს უნიკალურს ხდის, შესაძლოა თბილისი-ლებმა და ქალაქის სტუმრებმა ვეღარასდროს იხილონ. **□**

**■ დღეისათვის „ტფილისის ჰამქარს“ გუდიაშვილის მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მხოლოდ ნაწილი აქვს, თუმცა „ჰამქარი“ აღნიშნულ დოკუმენტებში უკვე ხედავს პრობლემას.**



ფოტო: ლევან ხაჩიძე

„ტფილისის ჰამქარს“ კამპანია „დაიკავე გუდიაშვილი“, თბილისი 24 დეკემბერი 2011

ფოტორეპორტაჟი

# "ჩიისტე იშვა ბეთქაშა"

„ქრისტე – ჩვენი სინათლეა“ – შობის ღამე ლესელიძეზე.

მალხაზ ჭკადუა






ქოროს რეგენტი განსაკუთრებულად ლელავდა, საშობაო ლიტურგიისთვის ემზადებოდნენ მგალობლებიც.

ქვემო კალაში, აბესაძის ქუჩაზე, 25 დეკემბრის შესახვედრად მლოცველები ქალაქის სხვადასხვა უბნიდან 22 საათისთვის შეიკრიბნენ. კათოლიკური შობის დადგომამდე ჯერ კიდევ ორი საათი იყო დარჩენილი, ეს დრო ყოფილი კათოლიკეების ქუჩაზე მისულეზმა ერთმანეთის მოსაკითხად და სადღესასწაული განწყობის გასაზიარებლად გამოიყენეს. ცნობისმოყვარეების რიგებში მრავლად ვნახე თბილისის სასულიერო სემინარიელი მეგობრები.

საშობაო მესის დაწყებამდე ბოლო რეპეტიცია გაიარა საყდრის ქორომაც, თითებს ავარჯიშებდა ორლანისტიც, თუმცა ქართულ ენაზე დაწერილი საგალობლების დიდი ნაწილი ვერ შესრულდა – ლიტურგიის დაწყებიდან რამდენიმე წუთში ეკლესიაში ელექტროენერგია გამოირთო, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ადგილობრივი დაზიანების გამო, თუმცა ამ გაუთვალისწინებელ შემთხვევას ხელი არ შეუშლია სადღესასწაუ-








დარბაზის ტიპის ნაგებობას ეკლექტურობა ახასიათებს – ერთმანეთს ბაროკოსა და ნეოგოთიკის ელემენტები ერწყმის.



ლო განწყობისა და საშობაო მილოცვებისათვის: ერთადერთი, რაც ღვთისმშობლის ამალღების სახელობის ტაძარში მყუდროებას არღვევდა, ჟურნალისტთა, ფოტოგრაფთა და ტელეოპერატორთა გადაადგილება იყო. მათი უმრავლესობისთვის საშობაო მესის გარდა, გადაღების მთავარი ობიექტი დედაქალაქის მერი იყო, რომელიც ჩემი ცნობისმოყვარე სემინარიელი მეგობრებისგან ინტერესით ადევნებდა თვალყურს საკურთხეველში მიმდინარე პროცესს.

ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ შობის მნიშვნელობასა და „კაცთა შორის სათნოებაზე“ იქადაგა, მადლობა გადაუხადა საქართველოს ხელისუფლებას და კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს იმ კეთილგანწყობისთვის, რომელსაც „ერი და ბერი“ იჩენენ კათოლიკე ძმების მიმართ.

„მართალია, ტაძარში სინათლე არ არის, მაგრამ ჩვენი სინათლე ქრისტეა. შობას გილოცავთ“, – ასე დაასრულა ამბიონიდან სამწყსოსასდმი მიმართვა ეპისკოპოსმა. 





ელექტროენერჯის გამორთვის შემდეგ, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო ახალი აღთქმიდან ნაწყვეტებს მობილური ტელეფონის განათების ფონზე კითხულობდა.

# კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტი

resourcesecurityinstitute.org

www.laender-analysen.de

www.res.ethz.ch

www.boell.ge

## სოციალური კაპიტალი საქართველოში

ლესლი ჰაფი, თბილისი, საქართველო

### ანოტაცია

საქართველო ხასიათდება როგორც დიდი „ნათესაური“ და მცირე „არანათესაური“ სოციალური კაპიტალის მქონე ქვეყანა. მიჩნეულია, რომ კოლექტიური სოლიდარობის ეს მოდელი და ადამიანებისადმი უნდობლობა ჯგუფს გარეთ სამოქალაქო აქტიურობის ნაკლებობას იწვევს, რაც ამა თუ იმ ჯგუფში წევრობისა და საზოგადოებრივ შეხვედრებში მონაწილეობის უაღრესად დაბალ დონეში ვლინდება. მიუხედავად ამისა, საქართველოში უკვე არსებობს არანათესაური სოციალური კაპიტალის აქტიური ფორმები. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების უმთავრესი პრობლემა სოციალური კაპიტალის ამჟამად არსებული არაფორმალური მხარეების ინსტიტუციონალიზაციაა.

### არაფორმალურის ფორმალიზაციის პრობლემა

კავკასიის კვლევის რესურსების ცენტრის 2011 წლის დანვრით ანგარიშში (<http://www.crrc.ge/research/projects/?id=2>) გამოვლენილია საქართველოში არანათესაური სოციალური კაპიტალის ზრდის შემაფერხებელი ოთხი ძირითადი გარემოება: 1) გულგრილი დამოკიდებულება თანამშრომლობის მიმართ; 2) უნდობლობა სოციალური აქტივისტების მიმართ; 3) რთული სოციალურ-ეკონომიკური გარემო; 4) უხალისო დამოკიდებულება ერთობლივი ძალისხმევის ინსტიტუციონალიზაციისადმი.

მაგრამ პროექტის Policy, Advocacy and Civil Society Development ფარგლებში ჩატარებული სოციალური კაპიტალისა და სამოქალაქო აქტიურობის ახალი კვლევის შედეგები ჩამოთ-

ვლილი დაბრკოლებებიდან პირველ ორს ეჭვქვეშ აყენებს, ბოლო ორის მიერ წარმოქმნილ პრობლემებს კი უფრო გასაგებს ხდის. ჯერ ერთი, კვლევის მონაცემები ცხადყოფს, რომ სამოქალაქო სექტორში ქართული საზოგადოების ფორმალური აქტიურობის დაბალი დონის მიუხედავად, ღიაობისა და ალტრუიზმის ფართოდ გავრცელებული ნორმები მიუთითებს, რომ მართალია არაფორმალურად, მაგრამ არანათესაური სოციალური კაპიტალისა და სოციალური აქტიურობის გამოხატული ფორმები საქართველოში უკვე არსებობს. ამასთან, კვლევამ გამოავლინა დიდი პატივისცემა სოციალური აქტივისტების მიმართ, ღიაობა ახალი ურთიერთობებისადმი და სამოქალაქო კამპანიებში მონაწილეობის სურვილი. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ სამოქალაქო აქტიურობის დაბალი დონე საქართველოში სოციალური კაპიტალის ნაკლებობის ბრალი სულაც არ არის.

კავკასიის კვლევის რესურსების ცენტრის კვლევის მსგავსად ამ კვლევაშიც კეთდება დასკვნა, რომ საქართველოში ფორმალური სამოქალაქო აქტივობის ხელისშემშლელი ორი მთავარი ფაქტორია – ეკონომიკური პრობლემების ხანაში თავის დაზღვევის მიზნით ნათესაურ კავშირებზე დაყრდნობის სტრატეგია არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობას ანაცვლებს. უფრო მნიშვნელოვანია მეორე ფაქტორი: არაფორმალური აქტივობის ინსტიტუციონალიზაცია იმიტომ არ ხდება, რომ აქტიურობა სოციუმში უფრო ერთჯერადია, ვიდრე რეგულარული. ეს ახალი დასკვნები მიუთითებს, რომ მეცნიერებმა და პრაქტიკულმა მუშაკებმაც საქართველოში დაბალი სამოქალაქო აქტივობა არანათესაური სოციალური კაპიტალის სიმცირით კი არ უნდა ახსნან, არამედ უნდა გაარკვიონ, როგორ უნდა ფორმალზდეს ქართველ საზოგადოებაში უკვე არსებული არანათესაური სოციალური კაპიტალის არაფორმალური გამოვლინებები და როგორ შეიქმნას მდგრადი ინსტიტუტები.

**წინააღმდეგობა: სოციალური კაპიტალის ფორმალური და არაფორმალური განზომილებები**

კავკასიის კვლევის რესურსების ცენტრის Caucasus Barometer-ისა და World Values Survey-ს მიერ ჩატარებული მრავალი კვლევის შედეგების თანახმად, საქართველოს მოსახლეობა ფორმალური სამოქალაქო აქტივობის მაჩვენებლებით თვით პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს შორისაც კი ბოლო ადგილებზეა. Caucasus Barometer-ის 2007 წლის კვლევის თანახმად, კვლევის ჩატარებამდე ექვსი თვის განმავლობაში რომელიმე კლუბის თუ სამოქალაქო ორგანიზაციის შეხვედრებს ქართველების მხოლოდ 0.7 პროცენტი დაესწრო. აზერბაიჯანში ანალოგიური მაჩვენებელი 1.7 პროცენტი იყო, სომხეთში კი – 2.4 პროცენტი. 2008 წლის World Values Survey-ს კვლევამ აჩვენა, რომ საქველმოქმედო ორგანიზაციების წევრობით პოსტკომუნისტური ქვეყნები დასავლეთის ქვეყნებს საგრძნობლად ჩამორჩებიან, თუმცა საქართველოში ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით დაბალია. მაგალითად, ბრიტანეთის მოსახლეობის 20.9 და შვედეთის შტატების მოსახლეობის 15.2 პროცენტი თავს ამა თუ იმ საქველმოქმედო ორგანიზაციის აქტიურ წევრად მიიჩნევს. მოლდოვაში ეს მაჩვენებელი 2.5 პროცენტია, უკრაინაში – 1.9 პროცენტი, რუსეთის ფედერაციაში – 1.1 პროცენტი, საქართველოში კი ასეთ ორგანიზაციებში აქტიური წევრობის შესახებ მოსახლეობის მხოლოდ 0.1 პროცენტი ლაპარაკობს.

Policy, Advocacy and Civil Society Development-ის კვლევის შედეგები საქართველოში მოსახლეობის სამოქალაქო აქტიურობის დაბალ დონეს ადასტურებს. მონაცემები გვიჩვენებს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ქვეყნის მოსახლეობის 5 პროცენტზე ნაკლები დაესწრო ამა თუ იმ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრას ან ტრენინგს ან მივიდა არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისში. მეტიც, საოცრად დაბალია მოსახლეობის პოლიტიკურ პარტიებში წევრობის მაჩვენებელი – 1.7 პროცენტი, თუმცა რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციების თუ პროფკავშირების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია – 1.0 პროცენტი, ხოლო კულტურულ ან სპორტულ კავშირებში სულ რაღაც 0.77 პროცენტია განევრიანებული.

მაგრამ ფორმალური სამოქალაქო აქტიურობის ამ დაბალი მაჩვენებლების მიუხედავად, საოცრად ფართოდაა გავრცელებული ჯგუფებს შორის არაფორმალური დახმარების სხვადასხვა ფორმა, რაც არა მხოლოდ არანათესაური სოციალური კაპიტალის ალტერნატივა, არამედ საზოგადოებაში აქტიური არანათესაური სოციალური კაპიტალის არსებობაზე მინიშნებაცაა.

Policy, Advocacy and Civil Society Development-ის კვლევის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მოსახლეობის 65 პროცენტი მათხოვარს ფულით შეენია, 61 პროცენტი მეგობარს ან მეზობელს სამინაო საქმეებში დაეხმარა, 50 პროცენტმა ქუჩაში უცნობ ადამიანს წააშველა ხელი, 28 პროცენტმა საქველმოქმედო აქციაში შეიტანა წვლილი, 26 პროცენტმა საზოგადოებრივი ადგილის დასუფთავებაში მიიღო მონაწილეობა, 25 პროცენტი იცნობს ადამიანს, ვინც სისხლი ჩააბარა, და 20 პროცენტი სხვებს დავის გადაჭრაში დაეხმარა. მეტიც, ჩვეულებრივი ამბავია ალტრუიზმისადმი დადებითი დამოკიდებულება და იმის შეგრძნება, რომ სხვებსაც უნდა დაეხმარონ და, საჭიროების შემთხვევაში, გარედან სხვისი დახმარების იმედიც უნდა ჰქონდეთ. იმ ქართველების რიცხვი, რომლებიც დახმარების სანაცვლოდ დახმარების განვების ცინიკურ მიდგომას არ იზიარებენ (40 პროცენტი) ბევრად უფრო დიდია, ვიდრე მათი, ვისაც მიაჩნია, რომ ადამიანები მხოლოდ მაშინ ეხმარებიან ერთმანეთს, თუ საპასუხო დახმარების იმედი აქვთ (22 პროცენტი). მოსახლეობის უმრავლესობა (55 პროცენტი) ამბობს, რომ ოჯახს გარეთ ბევრს ეხმარება. შესაბამისად, უმეტესობას (46 პროცენტი) მიაჩნია, რომ გაჭირვებაში უამრავი ადამიანი დაეხმარება, საწინააღმდეგო მოსაზრებას კი ბევრად ნაკლები (13 პროცენტი) იზიარებს. რესპონდენტების დიდ უმრავლესობას (69 პროცენტს) მიაჩნია, რომ ავადმყოფობის შემთხვევაში ოჯახის წევრების გარდა მოინახება ხალხი, ვინც საპასუხო სამსახურის მოლოდინის გარეშე მოუვლის. მთელ საზოგადოებაში გავრცელებული ეს არაფორმალური ალტრუიზმი ეჭვქვეშ აყენებს დასკვნას, რომ საქართველოში არანათესაური სოციალური კაპიტალის ნაკლებობაა.

**მცირე სოციალური კაპიტალის არასწორი ახსნა**

საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სოციალური კაპიტალისა და სამოქალაქო აქტიურობის დაბალ დონეს ყველაზე ხშირად პოლიტიკური და სამოქალაქო აქტიურობისადმი საბჭოთა სისტემის მიერ დანერგილი აპათიური, უნდობლობაზე დამყარებული, პესიმისტური და ცინიკური დამოკიდებულებით ხსნიან. კავკასიის კვლევის რესურსების ცენტრის კვლევა სოციალური კაპიტალის შესახებ, რომელიც პოსტკომუნისტური სამოქალაქო საზოგადოებების მკვლევარის მარკ ჰაუარდის ნაშრომებზე დაყრდნობით ჩატარდა, საქართველოში სოციალური კაპიტალის ნაკლებობის ორ უმთავრეს მიზეზად აპათიასა და უნდობლობას ასახელებს. მაგრამ Policy, Advocacy and Civil Society Development-ის მიერ პოსტკომუნის-

ტური პოლიტიკური კულტურის საქართველოს კონკრეტულ მაგალითზე ჩატარებულ კვლევის შედეგებში აპათის, ცინიზმი-სა და ეჭვების გაბატონებული მდგომარეობა არ დასტურდება.

ვერ ერთი, Policy, Advocacy and Civil Society Development-ის კვლევამ გვიჩვენა, რომ სოციალურ აქტივისტებს, რომლებიც საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოს ასრულებენ, ქართველები, საბჭოთა მემკვიდრეობის მიუხედავად, პატივისცემით ეკიდებიან და ეჭვის თვალთ სულაც არ უყურებენ. კითხვარის მეშვეობით დადგინდა ქართული საზოგადოების დამოკიდებულება სოციალური აქტივისტების სამი სხვადასხვა ტიპისადმი და სამივე შემთხვევაში მათდამი დამოკიდებულება ბევრად დადებითი იყო, ვიდრე უარყოფითი. როცა რესპონდენტებს ეკითხებოდნენ მეზობლებზე, რომლებიც სოციალური აქტივისტები იყვნენ და ადგილობრივ პრობლემებს აგვარებდნენ, ქართველების 81 პროცენტი ამბობდა, რომ მათ დადებითად აფასებდნენ, 17 პროცენტი – ნეიტრალურად და მხოლოდ 1 პროცენტი – ნეგატიურად. ამასთან, 77 პროცენტი პატივს სცემდა სოციალურ აქტივისტებს, რომლებიც უბანში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად ფულს აგროვებდნენ, და მხოლოდ 3 პროცენტმა განაცხადა, რომ მათ ეჭვის თვალთ უყურებდა. მეტიც, არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი ნდობის დაბალი დონის მიუხედავად, კითხვაზე, თუ რა ტიპის ადამიანები უფრო აქტიურობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებში, ბევრად მეტი რესპონდენტი ახასიათებდა მათ როგორც ადამიანებს, „რომლებიც ცდილობენ ქვეყანაში მდგომარეობა გააუმჯობესონ“ (17 პროცენტი) და „რომლებსაც უნდათ, ჩემნაირ ხალხს დაეხმარონ“ (12 პროცენტი), უფრო ნაკლებსთვის ისინი უარყოფით სტერეოტიპებს ასახიერებდნენ, როგორცაა, მაგალითად, „გრანტიჭამიები“ (6.3 პროცენტი), „მომაბუზრებლად აქტიური“ (2 პროცენტი), „ჩვენი დროის კომკავშირელები“ (0.8 პროცენტი) ან „პრობლემების წყარო“ (0.6 პროცენტი). აქ უნდა გავიმეოროთ, რომ ეს მონაცემები დამაჯერებლად უარყოფს მოსაზრებას, რომ ქართველებს სოციალური აქტივისტების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ. სინამდვილეში ისინი მათ დიდ პატივს სცემენ.

მეორე, Policy, Advocacy and Civil Society Development-ის კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მჭიდრო ურთიერთობით დაკავშირებულ ოჯახურ და სამეგობრო წრეებში ნათესაური სოციალური კაპიტალი ჯგუფებს შორის არანათესაური სოციალური კაპიტალის ხარჯზე არ იქმნება. ნათესაურ და სამეგობრო ჯგუფების წევრებს შორის არსებული მაღალი ნდობა და ალტრუისტული ურთიერთობა ლოგიკურად ამ ჯგუფებში განწევრიანებისათვის ძალიან მაღალ ბარიერებს უნდა აწესებდეს, რის გამოც სოციალური ჯგუფები სტატიკური და ფიქსირებული უნდა გახდეს და მათი შემადგენლობა ადვილად არ უნდა იცვლებოდეს. ამ ჯგუფების წევრებს, რომლებმაც სხვა წევრების ნდობა უკვე მოიპოვეს, საკუთარ თავზე დიდი ვალდებულებები აიღეს და ახლო ურთიერთობების წყალობით სარგებელიც ნახეს, ახალ ადამიანებთან შეხვედრისა და ახალი მეგობრების გაჩენის დიდი სურვილი არ უნდა ჰქონდეთ. ვინაიდან დასავლეთში ახალი ადამიანებისა და მეგობრების გაცნობა ხშირად სამოქალაქო

საზოგადოების ორგანიზაციებში მონაწილეობის მოტივი ხდება, ახალი მეგობრების შექმნის სურვილის არქონა დიდი ნათესაური სოციალური კაპიტალის მქონე საზოგადოებაში არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობის სურვილს უნდა აქრობდეს. თუმცა, როგორც Policy, Advocacy and Civil Society Development-ის კვლევამ გვიჩვენა, საქართველოში მდგომარეობა ამ მხრივ განსხვავებულია.

შეკითხვაზე, ჰყავთ თუ არა ახლო მეგობრები, როგორც მოსალოდნელი იყო, რესპონდენტების უმრავლესობამ, 92 პროცენტმა, დადებითი პასუხი გასცა. და მაინც, მიუხედავად მოლოდინისა, რომ ახალი მეგობრების შექმნა ქართველების უმეტესობას არ ენდომებოდა, რესპონდენტთა 63 პროცენტმა განაცხადა, რომ ახალი მეგობრების შესაძენად მზად იყვნენ. მათგან 53 პროცენტმა სრული მზადყოფნა გამოხატა და მხოლოდ 17 პროცენტმა განაცხადა, რომ ახალი მეგობრებით დაინტერესებული არ იყო. აქედან კი მხოლოდ 10 პროცენტი აბოლოუტურად არ იყო ამით დაინტერესებული. მეტიც, გამოკითხულთა 66 პროცენტმა განაცხადა, რომ ახალი ადამიანების გაცნობა უხარიათ. მათგან 45 პროცენტი ამ აზრს სრულად დაეთანხმა. ახალი ადამიანების გაცნობა მხოლოდ 9 პროცენტს არ სურდა. აქედან გამომდინარე, თუმცა ახლო მეგობრების ჯგუფებში კავშირები მჭიდროა, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ეს ჯგუფები ჩაკეტილი ან სტატიკური იყოს და არანათესაური სოციალური კაპიტალის წარმოქმნას აფერხებდეს.

და ბოლოს, Policy, Advocacy and Civil Society Development-ის კვლევაში უშუალოდ შემონიშნა პირადად რესპონდენტების მიერ გაცხადებული სურვილი, მონაწილეობა მიეღოთ არასამთავრობო ორგანიზაციების კამპანიებში, რომლებიც ისეთ სფეროებში პრობლემების მოგვარებას ისახავდა მიზნად, როგორცაა უმუშევრობა, ჯანდაცვა, სოციალური დახმარება და მზარდი ფასები საკვებ პროდუქტებზე. რესპონდენტებს აცნობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთაგან თითოეული ამ მნიშვნელოვანი პრობლემებიდან ერთ-ერთის მოგვარებას ცდილობდა, შემდეგ კი ეკითხებოდნენ, მიიღებდნენ თუ არა მონაწილეობას ამ ორგანიზაციების მიერ მოწყობილ შემდეგ ღონისძიებებში: 1) მოთხოვნაზე ხელმოწერების შეგროვება; 2) მიტინგზე დასწრება; 3) კარდაკარ სიარული და მეზობლებისათვის საკითხის არსის ახსნა; 4) პრობლემის მოსაგვარებლად ფულის შეგროვება; 5) აღნიშნული კამპანიის ოჯახთან და მეგობრებთან განხილვა. თუ არასამთავრობო სექტორთან კავშირების დაბალ დონეს გავითვალისწინებთ, პასუხები საოცრად დადებითი იყო. ოთხივე საკითხზე რესპონდენტების 60-დან 66-მდე პროცენტმა განაცხადა, რომ მოთხოვნას ხელს მოაწერდა, 52-57 პროცენტი განიხილავდა კამპანიას ოჯახთან და მეგობრებთან, 18-20 პროცენტი დაესწრებოდა მიტინგს, 12-14 პროცენტი მეზობლებისათვის საქმის არსის ასახსნელად კარდაკარ ივლიდა და 16-21 პროცენტი ფულს შეიტანდა. არასამთავრობო ორგანიზაციების კამპანიებში მონაწილეობის სურვილის ეს მაღალი მაჩვენებლები ეწინააღმდეგება მოსაზრებას, რომ აპათია სამოქალაქო აქტივობაში მონაწილეობას ზღუდავს.

სკეპტიკოსებმა შეიძლება თქვან, რომ გამოკითხვებში საკუთარი ქმედებების შეფასება სარწმუნო არ არის, რადგან ვერ უჩვენებს, თუ როგორ მოიქცევიან ადამიანები რეალურ ცხოვრებაში. თუმცა თუ ამ მონაცემებს შედარებით კონტექსტში განვიხილავთ, მათში ეჭვი აღარ შეგვეპარება. ის ფაქტი, რომ უფრო ადვილი ქმედებების, მაგალითად, ხელმოწერების შეგროვებისა და საკითხის ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან განხილვისათვის მეტი ადამიანი მზად, ვიდრე უფრო რთულად შესასრულებელი ქმედებებისათვის, როგორცაა ფულის შეგროვება და კარდაკარ სიარული, მიანიშნებს, რომ რესპონდენტები თავიანთ პასუხებში რეალურად ითვალისწინებდნენ ისეთ ფაქტორებს, როგორცაა დახარჯული ენერჯია, დრო და ფული. მეტიც, სხვადასხვა ქმედებაზე დადებითი პასუხის გაცემა ადამიანების მახასიათებლებიც რეალობას შეესაბამება. ოთხივე შემთხვევაში მამაკაცები უფრო ხშირად გამოთქვამდნენ მიტინგზე წასვლის სურვილს, ვიდრე ქალები, ხოლო კარდაკარ სიარულისათვის უფრო ხშირად ახალგაზრდები იყვნენ მზად.

Policy, Advocacy and Civil Society Development-ის კვლევის მონაცემებით, საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის ამჟამინდელ დაბალ მაჩვენებლებსა და მონაწილეობის სურვილის ბევრად უფრო მაღალ მაჩვენებლებს შორის განსხვავების ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ საქართველოს მოქალაქეებს ყველაზე მეტად საკითხების გარკვეული წყება აწუხებთ, არასამთავრობო ორგანიზაციები კი სულ სხვა საკითხებით არიან დაკავებული. კვლევის დროს გამოკითხულმა ადამიანებმა განაცხადეს, რომ საქართველოსთვის ამჟამად უმნიშვნელოვანესია კვლევის კითხვარში მოხსენიებული ისეთი ეკონომიკური საკითხები, როგორცაა სიღარიბე, უმუშევრობა და სოციალური დახმარება და, მათი აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის პრიორიტეტული უფრო ამ პრობლემების მოგვარება უნდა იყოს, თუმცა მათ საარჩევნო პრობლემები უფრო აინტერესებთ. არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის Advocacy Capacity Report-ის monacemebi (<http://www.ewmi-gpac.org/en/news/1-news/157-advocacy-capacity-assessment-of-georgian-ngos>) მოქალაქეების უმრავლესობის სურვილებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების რეალურ საქმიანობას შორის შეუსაბამობას ადასტურებს. ამან შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ მოქალაქეები სამოქალაქო სექტორის ღონისძიებებში უფრო აქტიურად ჩაებმებოდნენ, არასამთავრობო ორგანიზაციები მათთვის უფრო საჭირო ბოროტო საკითხებით რომ იყვნენ დაკავებული.

**საუზუკვლიანი ანსა**

კავკასიის კვლევის რესურსების ცენტრის მიერ ჩატარებული სოციალური კაპიტალის კვლევა ამტკიცებს, რომ სამოქალაქო აქტივობისთვის კიდევ ერთი დაბრკოლება რთული ეკონომიკური მდგომარეობაა. Policy, Advocacy and Civil Society Development-ის კვლევის შედეგები ადასტურებს ამ დებულებას და ამასთან, იმის ახსნასაც იძლევა, თუ რა კავშირია მძიმე

ეკონომიკურ მდგომარეობასა და ოჯახურ კავშირებზე მეტის-მეტად დიდ დამოკიდებულებას შორის, რაც ადამიანების უმრავლესობას სამოქალაქო სექტორში აქტიურად მონაწილეობის საშუალებას არ აძლევს. საქართველოს მთელ მოსახლეობაში ჩატარებული კვლევის თანახმად, ოჯახების 61 პროცენტის შემოსავალი თვეში 400 ლარზე ნაკლებია (დაახლოებით 240 აშშ დოლარი). ბევრად უფრო დაბალია ცალკეული ადამიანების შემოსავალი. 33 პროცენტი ამბობს, რომ შემოსავალი საერთოდ არა აქვს, ხოლო 43 პროცენტის შემოსავალი წინა თვის განმავლობაში 250 ლარზე (დაახლოებით 150 აშშ დოლარზე) ნაკლები იყო. ვინაიდან ოჯახის შემოსავალი პირად შემოსავლებს დიდად სჭარბობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ თავის გასატანად ოჯახში ცალკეული წევრების შემოსავლებს თავს ერთად უყრიან. უნდა ვივარაუდოთ აგრეთვე, რომ ადამიანებს პირველ რიგში ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობაზე უხდებათ ზრუნვა და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ ფიქრს, თუ მთლიანად საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობას რამდენი დრო, ენერჯია და ფული მოახმარონ.

ამ მიმე ეკონომიკურ პირობებში მჭიდრო ურთიერთობები ოჯახში, რომლებსაც ნათესაურ სოციალურ კაპიტალს ვუნოდებთ, ერთგვარი არაფორმალური დაზღვევის ფუნქციას ასრულებს. Policy, Advocacy and Civil Society Development-ის კვლევით დადგინდა, რომ თუმცა ცალკეული პირები ოჯახში დიდ დროს არ ატარებენ, ქართველების უმრავლესობა ღრმად და რწმუნებული, რომ ოჯახი უმთავრესია, და გაჭირვების ჟამს ოჯახის სხვა წევრების დახმარების იმედი აქვს. გამოკითხვის დროს სამი სხვადასხვა ფორმით დაისვა შეკითხვა იმის თაობაზე, თუ ვის მიმართავენ ქართველები გაჭირვების დროს, და ოჯახი ყველა შემთხვევაში პირველ ადგილზე გავიდა. რესპონდენტების ძალიან მცირე რაოდენობამ აღნიშნა, რომ ოფიციალური დაზღვევა აქვს და, თუ გაუჭირდა, გამოიყენებს. გაჭირვების დროს ადამიანების დიდ უმრავლესობას (93 პროცენტს) ოჯახის იმედი აქვს და მხოლოდ უმცირესობამ (11 პროცენტმა) შეიძლება დახმარებისათვის არასამთავრობო ორგანიზაციას მიმართოს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოჯახური კავშირები ადამიანებს არასამთავრობო ორგანიზაციებში შესვლის საშუალებას არ აძლევს. იმ რესპონდენტებს, რომლებმაც განაცხადეს, რომ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მუშაობა არ აინტერესებთ, მიზეზის ახსნაც სთხოვეს. რესპონდენტების ყველაზე დიდმა ჯგუფმა (37 პროცენტმა) განაცხადა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებში არ შედის იმიტომ, რომ ურჩევნია თავისი ოჯახის საქმეებს მიხედოს.

სამოქალაქო აქტივობის შემზღუდავი მეორე და უფრო ადვილად დასაძლევი დაბრკოლება საქართველოს საზოგადოებაში უკვე არსებული არაფორმალური ნათესაური სოციალური კაპიტალის ინსტიტუციონალიზაციაა. საქართველოში მეზობლები და ნაცნობები შეიძლება შეიკრიბონ და საერთო პრობლემა გადაწყვიტონ ან სახელდახელოდ ფეხბურთის მატიჩი მოაწყონ, მაგრამ არსებული პრობლემის გადაჭრის ან მატიჩის დამთავრების შემდეგ ჯგუფები არსებობას წყვეტს. სწორედ ინსტიტუციონალიზაციის პრობლემა დებს ზღვარს ფორმალურ სამოქალაქო სექტორსა და კვლევის მონაცემებში დაფიქ-

სირებულ არაფორმალურ არანათესაურ სოციალურ კაპიტალს შორის. არაფორმალური სამოქალაქო აქტივობა, რომლის მეშვეობითაც მეზობლები პრობლემას წყვეტენ, მეგობრები კი ფეხბურთს თამაშობენ, უფრო სპონტანური და ერთჯერადი მოვლენებია და არა ინსტიტუტები, რომლებიც ამ ქმედებების განმეორების საშუალებას იძლევა.

ფორმალურ და არაფორმალურ სოციალურ აქტივობას შორის კავშირის არარსებობა კარგად ვლინდება არაფორმალურ რელიგიურობასა და ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან ოფიციალურ ურთიერთობებში. Policy, Advocacy and Civil Society Development-მა კვლევაში რელიგიისადმი დამოკიდებულებაც და ეკლესიასთან პრაქტიკული ურთიერთობაც შეისწავლა. დადგინდა, რომ ქართველების უმრავლესობა რელიგიის არაფორმალური მიმდევარია და ეკლესიასთან ფორმალური კავშირის დამყარებას საჭიროდ არ მიიჩნევს. ქართველების 82 პროცენტი ამბობს, რომ რელიგიას მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, 74 პროცენტი სახლში რეგულარულად ლოცულობს, 53 პროცენტი რეგულარულად დადის ეკლესიაში, 30 პროცენტი კი აცხადებს, რომ ეკლესიას ფულს რეგულარულად სწირავს. მაგრამ შეკითხვაზე, თუ რამდენად ხშირად ესწრებიან ოფიციალურ რელიგიურ რიტუალებს, 57 პროცენტი ამბობს, რომ ამას მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დღესასწაულების დროს ან უფრო იშვიათად აკეთებენ, ზოგიერთი კი ასეთ რიტუალებს საერთოდ არ ესწრება. ამგვარად, გვაქვს მოდელი, რომელშიც ალტრუისტულ და რელიგიურ გრძნობებს ქართულ საზოგადოებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ქართველები ამ გრძნობებს აფასებენ და ხშირად მათ საფუძველზე სპონტანურადაც მოქმედებენ, თუმცა ეს სპონტანური ქმედებები არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების ან მართლმადიდებელი ეკლესიის მეშვეობით იშვიათად ხორციელდება.

ბოლო დროს საქართველოში ალტრუიზმის ინსტიტუციონალიზაციის ერთი დადებითი მაგალითი აღინიშნება. მოქალაქეებს მობილური ტელეფონებიდან გაგზავნილი SMS შეტყობინებებით საქველმოქმედო მიზნებისათვის ფულის გადარიცხვის საშუალება მიეცათ. 2008 წელს ჩატარებული World Values Survey კვლევით დადგინდა, რომ ამ აქციაში ქართველების 6.7 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა. სამწუხაროდ, მომდევნო წლებში


განუვლი ქველმოქმედების შესახებ მონაცემები არ მოიპოვება, მაგრამ საქველმოქმედო აქციის დაწყების შემდეგ ჩატარებული Policy, Advocacy and Civil Society Development-ის კვლევის დროს მოპოვებული მონაცემებით, ამ მხრივ უზარმაზარი წინსვლა აღინიშნება. ამჯერად ქართველების 28 პროცენტმა განაცხადა, რომ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ქველმოქმედების მიზნით ფული გაიღეს. თუმცა ამ კვლევაში SMS-ებით გადარიცხული თანხები და სხვა ტიპის შემონიშნულობები განცალკევებული არ ყოფილა, მიჩნეულია, რომ ეს ხერხი ძალიან პოპულარული გახდა და ქველმოქმედება ბევრს გაუადვილდა. მართალია, SMS-ებით ფულის გადარიცხვა საქართველოს მოქალაქეებს ოფიციალური ჯგუფების ჩამოყალიბებაში არ შევლის, მაგრამ ოფიციალურად არსებული ჯგუფებისათვის სახსრების შეგროვების საშუალებას მაინც იძლევა და გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება თანამედროვე სოციალური კაპიტალის ფორმალურ ჩარჩოებში მოქცევა იმისათვის, რომ სამოქალაქო აქტივობა გაძლიერდეს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სტატისტიკური მონაცემები საქართველოს მოსახლეობაში არანათესაური სოციალური კაპიტალისა და ქვეყანაში სამოქალაქო აქტივობის შესახებ, ერთი შეხედვით, პირქუშ სურათს გვიჩვენებს, მაგრამ თუ ქართველ საზოგადოებაში შექმნილ მდგომარეობას უფრო ყურადღებით შევისწავლით, აღმოვაჩინებთ, რომ ჯგუფებს შორის კავშირები და ფართოდ გავრცელებული ალტრუიზმი, რომლებიც სოციალური კაპიტალის შეფასების ალტერნატიული საშუალებაა, ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. მეტიც, დიდი პატივისცემა სოციალურად აქტიური ადამიანების მიმართ, ახალი ადამიანების გაცნობისათვის მზაობა და არასამთავრობო ორგანიზაციების იმ კამპანიებში მონაწილეობის დიდი სურვილი, რომლებიც მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრისაკენაა მიმართული, ის ნედლი მასალაა, რომლის საფუძველზეც საქართველოში ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება უნდა ჩამოყალიბდეს. მართალია, არსებულ მძიმე ეკონომიკურ პირობებში ოჯახის წევრების ერთმანეთზე დამოკიდებულების გადალახვას გარკვეული დრო დასჭირდება, არსებული არაფორმალური ქმედებებისა და სამოქალაქო აქტიურობის საფუძველზე შემოქმედებითი მიდგომისა და ინოვაციების გამოყენებით ინსტიტუციონალიზაციის შემაფერხებელი სხვა მნიშვნელოვანი დაბრკოლებების გადასალახად ადგილი მაინც რჩება.

**ავტორის შესახებ**

ლესლი ჰაილი იელის უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ფაკულტეტის დოქტორობის კანდიდატია. მან მონაწილეობა მიიღო Policy, Advocacy and Civil Society Development-ის სამოქალაქო აქტიურობის კვლევის მომზადებაში და 2011 წლის მაის-ივნისში IREX-ისა და ამერიკის საელჩოს პოლიტოლოგიის სპეციალისტთა ჯგუფში მუშაობისას ამ კვლევის შედეგების საფუძველზე ანგარიში მოამზადა.

**შესწორება:** „ლიბერალის“ 103-ე ნომერში კავკასიის ანალიტიკურ დაიჯესტში გამოქვეყნებულ სტატიაში „სოციალური კაპიტალი აზერბაიჯანში: გამოსადეგია თუ არა ის დემოკრატიის მშენებლობაში?“, არასწორად იყო მითითებული ავტორის გვარი. სტატიის ავტორია ანარ ვალიევი.



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამონათქვამი ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.



# ჩან უჩიხბენე Youtube-ზე 2011 წელს

ნინო ნატროშვილის ბლოგი

„გუმინ იყო ხუთშაბათი, ხუთშაბათი, დღეს პარასკევია, პარასკევია... მე უნდა წავიდე ავტობუსის გაჩერებაზე, მე უნდა ჩავჯდე ავტობუსში“, -ეს იმ სიმღერის ტექსტის ნაწილია, რომლის ვიდეოც წელს Youtube-ზე ყველაზე პოპულარული იყო.

წლის ბოლოს Google-მა ტრადიციულად იმ რგოლების ტოპ-ათეული გამოაქვეყნა, რომლებსაც 2011 წელს ინტერნეტ-მომხმარებლები ყველაზე ხშირად უყურებდნენ.

ამ ათეულის სათავეში „ხუთშაბათსა და პარასკევზე“ მომღერალი, 13 წლის ამერიკელი რეპეკა ბლექი მოექცა. მისი ვიდეო Friday გამოქვეყნებისთანავე ძალიან პოპულარული გახდა. ატვირთვიდან 40 დღის განმავლობაში იგი 28,5 მილიონმა ადამიანმა ნახა.

ვიდეოს საკმაოდ დიდი რეზონანსი მოჰყვა. კლიპს აქტიურად განიხილავდნენ სოციალურ ქსელებზეც და, საბოლოოდ, რეპეკას კლიპს ყველაზე

სამინელი სიმღერის სტატუსი მიანიჭეს. მომხმარებლები ახალგაზრდა მომღერალის ვოკალს, სიმღერის ტექსტს, მუსიკასა და ვიდეოს დაბალი ხარისხის გამო აკრიტიკებდნენ, თუმცა კლიპის ნახვას აგრძელებდნენ და აგრძელებდნენ...


რეპეკა საკუთარ შემოქმედებას არაბავშვური სერიოზულობით უყურებს და ამბობს, რომ ძალიან გაბრაზებულია უარყოფითი შეფასებებით, თუმცა გაჩერებას არ აპირებს და გზას დიდებისკენ კვლავაც აგრძელებს. წარმატება მას უკვე აქვს: Youtube-ს გადა, მისი კლიპი Google-ს ტრენდების ჩამონათვალშიც პირველ ადგილზეა.

მეორე პოზიცია Youtube-ის რეიტინგში მოლაპარაკე ძალს უკავია. ოთხფეხა მეგობარი პატრონს ადამიანივით ესაუბრება. ვიდეომ სულ 74 მილიონი ნახვა დააგროვა.

ტოპ-ათეულში მოხვდნენ ფოლკსვან-გენის რეკლამა, „ბავშვების საუბარი“,

„მფრინავი ფისო“ და სხვები. მთლიანად რეიტინგი კი ასე გამოიყურება:

1. Rebecca Black - Friday (OFFICIAL VIDEO)
2. Ultimate Dog Tease
3. Jack Sparrow (feat. Michael Bolton)
4. Talking Twin Babies - PART 2 - OFFICIAL VIDEO
5. Nyan Cat [original]
6. Look At Me Now - Chris Brown ft. Lil Wayne, Busta Rhymes (Cover by @KarminMusic)
7. The Creep (feat. Nicki Minaj & John Waters)
8. Maria Aragon - Born This Way (Cover) by Lady Gaga
9. The Force: Volkswagen Commercial
10. Cat mom hugs baby kitten

სულ მიმდინარე წელს Youtube-ზე ინტერნეტის მომხმარებლებმა ტრილიონზე მეტი ვიდეო ნახეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთმა ადამიანმა საშუალოდ 140 რგოლი ნახა. 



# ჩამე სომ ჯი შეზვეხეთებინა?



კახა თოლორდავა  
ჟურნალისტი

გუშინ, ქალაქში ყოფნისას, ჩემს ბლოკ-ნოტში უკვე ოცდამეთექვსმეტეჯერ აღვნიშნე ერთი უცნაური თბილისური მოვლენა, რომელსაც ჩვენი ქალაქის ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე იდიოტურ შეცდომად მივიჩნევ. ამ მოვლენაზე ერთი-ორი სიტყვის თქმას უკვე დიდი ხანია ვაპირებ, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში მინდოდა დავრწმუნებულიყავი იმაში, რომ თბილისისათვის ეს უკვე ფესმოკიდებული პრაქტიკაა და არა ცალკეული შემთხვევა, და ყველაფერთან ერთად, იმასაც შევეცადე, ტექსტის დაწერამდე საშინაო დავალებაზეც წამემუშავა.

ყველაფერი კი დაიწყო მაშინ, როდესაც თბილისში გაძლიერებული ტემპებით მიდიოდა გზების მშენებლობა. ამ მოვლენაზე პირველი შენიშვნა ჩემს ბლოკნოტში სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა მარტივი შეკითხვის სახით – ლამის ერთი საათი საცობში ვიდექი ვაკე-საბურთალოს გზაზე ვიღაც კრეტინების გამო, რომლებსაც რატომღაც საჭურჭლის დასრულების საათებში მოეპრიანათ გზის ამ კონკრეტული მონაკვეთის შეკეთება („აი, ნამდვილი საბჭოთა მოვლენა!“ – წერია ბლოკნოტში). არა, ქალაქში და ზოგადად, გზების მშენებლობის და შეკეთების სანინალმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ სრულიად არასწორად მიმაჩნია ამის კეთება დღის განმავლობაში, განსაკუთრებით საღამოს ხუთიდან ექვს საათამდე (ისევე, როგორც პირველიდან სამადე ან დღის ათიდან საღამოს ხუთამდე, ამას მნიშვნელობა არა აქვს). რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს დიდი ხნის „ტრადიცია“ აქვს და საბჭოთა წარსული ტყუილუბრალოდ არ გამხსნენია. მე არ ვარ ერთადერთი, ვისაც ეს შეუმჩნევია. იმ ველურ პერიოდში, როდესაც მოქალაქედ გახდომის გზაზე ჯერ კიდევ არ და ვერ ვიდექით, არავის მოგვიდოდა თავში (ან შეიძლება მოგვიდოდა კიდევ, მაგრამ გვეზარებოდა) პატარ-პატარა ქალაქური ხარვეზების შესასწორებლად პროტესტის გამოხატვა, შესაბამისად, მივიღეთ ის ქალაქი, რომელსაც ჩვენი გულგრილობის/იდიო-



ტიზმის დალი ატყვია და თუ გვინდა, რომ ასე გაგრძელდეს, ხელს არც არავინ გვიშლის.


გავაგრძელებ. ყველა ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც ამ მოვლენას ვაწყებოდი, ვრწმუნდებოდი, რომ ეს არ იყო რაიმე ავარიის შედეგად მოხიზვებული ჯგუფები, რომლებიც მოსახლეობისათვის კომფორტული ყოველდღიურობის შესანარჩუნებლად მუშაობდნენ. ასეც ხდება ხოლმე, მაგრამ ზემოთ ნახსენებ ოცდათხუთმეტ შემთხვევას არანაირი კავშირი არ ჰქონდა თბილისელების კეთილდღეობასთან. ეს იყო ხუმტური დაკავშირებული, ალბათ, სახსრების ეკონომიასთან, შეიძლება კიდევ სხვა რამეებთან, მაგრამ უპირველეს ყოვლისა სიბრიყვესთან, რადგანაც შეუძლებელია იმ შემკეთებელი ბრიგადების უფროსობას ვერ შეემჩნია ის არეულობა, რაც მათმა გამოჩენამ გამოიწვია. სამაგიეროდ, ისინი უმალ ამჩნევდნენ ფოტოაპარატმომარჯვებულ შუა ხნის მამაკაცს, ანუ მე (დიახ, ყველა ის შემთხვევა გადაღებული მაქვს), და შენიღბული აგრესიით სავსე შეკითხვებს მისვამდნენ, თუმცა ეს შეკითხვები უკვე ჩემ მიერ დასმული შეკითხვების შემდეგ, ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა მათ. ჩემი შეკითხვები

კი ძალიან მარტივი იყო, – „რატომ დღის ამ მონაკვეთში?“ „რატომ არა ღამის თორმეტის შემდეგ?“ ან „რამდენად ძვირი ღირს ღამის საჭურჭლები?“

ზემოთ ვახსენე, საშინაო დავალება გავაკეთე-მეთქი, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა ინტერნეტ საიტზე ბევრი ვიკითხე საჭურჭლო საათებში მიმდინარე საგზაო (თუ სხვა სახის) საჭურჭლებზე და შევბით ამოვისუნთქე, როდესაც დავრწმუნდი, რომ თბილისი ერთადერთი ქალაქი არაა, სადაც ასეთი რამ ხდება. ჩვენი დედაქალაქი თითქმის ყველა განვითარებადი ქვეყნის ქალაქების სიაშია, რადგანაც განვითარებადი ქვეყნებში ასეთ რამეს ძალიან მკაცრად აკონტროლებენ ქალაქის მესვეურები და საერთოდ, იქ უკვე განვითარდნენ და სხვა პრობლემებს წყვეტენ. ჩვენ ჯერ კიდევ ვვითარდებით და ესეც უკვე სასიხარულოა.

ალბათ, უკვე მიხვდით, რის თქმაც მინდოდა, ამიტომაც აქ შევჩერდები, თანაც, 450 სიტყვის ლიმიტიც ამომეწურა.

ახალ წელს გილოცავთ ყველას. დაე, შავ დრაკონს დაეცეცხლოს საჭურჭლო საათებში ქალაქის ცხოვრების ყველა შემამოფოთებელი და შემაფერხებელი! 📌



# ყოველთვის გზადყოფნაში



**Fujitsu LIFEBOOK**- ის AH სერია გთავაზობთ ელეგანტუ და დახვეწილ დიზაინს, ნაჩმოდგენილია: ჰილად, გლუვი, ასევე სხვადასხვა ფეხში შესხელებით. ეს HD მაღალი გაჩრევადობის ჰილად თხევად-კრისტალური ფაჩთოდმხმაცინი 16:9 ეჩანნი, ხომელის ყომბინიებულია Intel® HD გაფიყელ სისტემასთან ან მძღავი დისყეყელ გაფიყელ ვეჩსასთან, მაქსიმალეი ყომდმხს შეგეყმნით და აჩაყველებიყ გამოყდილებს შეგეყნით, ნებისმიეი სითულის სამეშაომბის შესხელებისას.

## LIFEBOOK

Intel® Core™ vPro™ მეიყ თაომბის ჰიყყყყყყით აღყეყილი Lifebook - გაამდიღეყბს თყვენს ცხომეყბას.

**FUJITSU LIFEBOOK AH531/GFO** ტეყნიეყი მასასიათებლები:

- მეიყ თაომბის ჰიყყყყყი Intel® Core™ i5 vPro™
- ნამევილი Windows® 7 Professional
- 39.6 სმ. (15.6 დეიმიანი) დიგონალის, მაღალი გაჩრევადობის 16:9 ჰილად თხევად-კრისტალური ეჩანნი LED ტეყნოლოგიით.
- NVIDIA® GeForce® GT525M 1gb VRAM დისყეყელი გაფიყა და Optimus ტეყნოლოგია
- Blu-ray Disc™ drive (აჩასავადებულ),HD-Audio, 1.3 მჰ. ვებ ყამეყა და მეტეიმედიისთვის განეუთენილი ციფეილი მიყხომონი.
- ახალი ფუნეყეიბი, მაგალითად Alytime USB Charge, საშაყლებს მოგეყმით დამეყყით USB ჰიყტიდან თყვენი სხვადასხვა მოწყობილობეი მაშინაყ ჯი, ხმეყსაყ ნოუთბეი გამმოიულია.



Tel.: 251 01 11  
www.alta.ge





**WWW.LIBERALI.GE**

